43
1881/4
5292

ივერია

1881

№ V, მაისი.

თბილისი.
ძმებთიმე ხელაძის სტამბა.
1881

შინაარსი:

I მუშა-ქალი (ტარას შევჩენკოს პოემა), თარგმანი ნ. ლ-ისა 3

II ვეკფილდის მოძღვარი, რომანი ოლივერ გოლდსმიტისა (დასასრული). 27

III ბაუბედავი სიყვარული (ლუქსი) ჯაკისა . . . 60

IV მოკლე განხილვა სლავიანების ეროვნებათა აღორძინებისა, **-ისა. 63

V ბადაკარგული მხარე (ხევსურეთი და ხევსურები—დასასრული) ს. უაზბეგისა 96

VI შინაური მიმოხილვა 117

VII ხელმწიფის მკვლელები 136

VIII ბანცხადება (უდაზედ).

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი.

43/1881/4

წელიწადი მეხუთე.

№ V.

3088

თბილისი.
ევგენიმე ხელაძის სტამბა, ალექსანის ქუჩაზე.
1881

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Апрѣля 1881 г.

მუშა-ქალი.

(ტარას შევჩენკოს*) პოემა.)

შესავალი.

დიდის ბურუსით დაფარულს
ველს ტკბილად ჩასძინებოდა
და ამ ბურუსში, ამ ნისლში
ერთს სურზედ ნელ-ნელ ჩნდებოდა
უმაწვილი-ქალი ქანწია...
მას სელში რაღაც შაწია
ეტირა, გულში იგრობდა;
და ბურუსთან ბაასობდა:

რატომ არ ჩამოქავ ბურუსო,
ჩემ თვეს-ქვეშ მიწას არ ჭსეთქავ?!
რად არ მიმოკლებ სიცოტცხლეს,
გულის დარდს რად არ მიფანტავ?!
მაგრამ, მოიცა: ნუ ჩამთქავ!...
მსოლოდ აქ სადმე, სადაც სჯობს,
დამმალე ისე, რომ სრულებ

---

*) ტარას შევჩენკო მალოროსიის გამოჩენილი პოეტია.

3086

ვერავინ ველარ მომაგნოს;
რომ ჩემი უბედურება
არ ვინ სცნოს, არ ვინ გაიგოს!...
არა ვარ ერთი ობოლი:
დედ-მამა არ დამხოცია;
კიდევ სხვანი მყავს, ძმობილო,
აი ეს ბავშვიც ჩემია...
შენ ჩემო ბატარა შვილო,
მოუნათლავო, ჯერ ჩვილო;
უბედურ საათს გაჩენილს
სხვები მოგნათვლენ სხვის კარად...
იქნება გულ-მკვდარ დედამ
ვერც კი შეიტყოს ნამდვილად,
თუ იმის ლამაზ შვილიკოს
რას დაარქმევენ სახელად!!
მე ხომ მდიდარი ვიყავი...
ნუ გაჭკიცხავ დედა-შენსა!
ოთვალ დღე ღმერთსა გმადრი,
დავღვრი მრავალ ცხარე ცრემლსა...
და შენთვის, ჩემო შვილიკოვ,
ზეცას ციურ მადლს გამოვთხოვ!"

და გაჭყვა მინდორს ტირილით,
ტირილით ნისლში ჭქრებოდა,
და თანაც სამწუხარო ლექსს
დაბალის ხმითა მღეროდა.
მღეროდა იგი ქვრივზედა,
ქვრივზედ, რომელსაც ერთს დროში

შვილები დაუმარხნია
დუნაის ციცსა ტალღებში.

«მოკრიალებულს მინდორზედ
«გამოჩანს ერთი სათვალავი;
«აქ ერთ-სელ სშირად ვიდოდა
«ქვრივი, საწყალი, ბედ-შავი.
«ჯერ ბალახებსა ეძებდა,
«უნდოდა მოსაწამლავად,
«მაგრამ ვერ ჭშოვა—წავიდა
«შვილების მოსაყვანავად.
«მჩვრებში გამოჭერა ერთადა,
«დაჭთვარა ერთის საბანით;
«ადგა და დუნაისაკენ
«გასწია იმან სირბილით.
«დუნაი, წყნარო დუნაი,
«კარგად გამირთე შვილები!
«შენ, ოქროს მსგავსო, ქვიშაო
«დამალე შენ ქვეშ საწყლები!
«მალმალ აბანე, აჭამე,
«მიმოფეე უდარდელები!

I

იყო, სცხოვრობდა ტკბილადა
ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი;
რეს გულმით ბიდსა დასცქერდა

მათი ბატარა სახლ-კარი.
უერთმანეთოდ ისინი
კარზედ თვესაც არა სდგავდენ;
მათ გაეცნათ ერთმანერთი,
როცა ბატკნებს აძოვებდენ;
და შემდეგ, ერთ ზათხულის დღეს
იმათ ჯვარიც დაიწერეს;
სახლი, ბაღი და წისქვილი
უკელა ნელ-ნელ მოიმართეს;
თუტკარიც კიარ აკლდათ,
უკელა კარგა ბღომად ჭქონდათ;
მხოლოდ, დახე იმათ ბედსა,
საწულებს შვილი არა ჭყავდათ!

სიკვდილი კი აგერ ახლო
მათ გვერდზედ თავის ტელს იქნევს!
ვინ მოუვლის სიბერის დროს,
ან შვილობას ვინ გაუწევს?
ვინ დაყრის საწულებს ტრემლსა,
ან დამარხვას ვინ იკისრებს?
რაც მათ შრომით უშოვნიათ,
ვის დარჩება, ვის ახარებს?

ძნელია რომ ღატაკ სახლში
ბავშვების ჭყავილს ისმენდე!
მაგრამ კი უთრო ძნელია,
რომ საკუ ოჯახს ჭეურობდე
და სხვების გასახარებლად.

უშვილ - უძეოდ კვდებოდე!
მნელია, ძიელ მნელია
უცხოთა შორის სიკვდილი,
ოჯახის სრული დაქცევა,
სახლი კარ-გაძოკეტილი!!

II

ერთ დღესა ჩვენი მოხუცნი
ისხდენ ერთმანერთის გვერდზედ
სუფთა, თეთრ ტანისამოსით,
თავიანთ სახლის კარებზედ.
მზე მხიარულად ბრწყინავდა
მოკრიალებულ ცაშია;
ქმინა გულში სევდასაც,
ვით დაღლილს ნადირს ტუეშია!...

ნეტა რა სევდა აწუხებს
ამ მოხუცებულს ცოლ - ქმარსა?
ძველი რამ ჭირი ეწვია
ხელ-ახლად იმათ სახლ-კარსა?
თუ ახალ რამე ცუდ საქმეს
შეემთხვევნენ დიდას აქედ?
ან იქნება გუშინდელ დარდს
დღეს იშლიან ხელ-მეორედ?
კაი-თუ ღმერთთან წასვლის დრო
მოსულიათ მოხუცებულებს!!

მაშ იმ სიშორე გზისთვისა
ვინ შეუკმაზავს მათ ცხენებს?!

«ნატალო, ვინ დაგვმარხავს ჩვენ?
«არ ვიცი... ჭკითხე უფალსა!
მეც ბევრსა ვფიქრობ მაგაზედ,
მაგრამ ვერ ვხდები თავ-წყალსა!...
ღვთისა მადლით უველა ბევრი გვაქვს,
მაგრამ რისთვის?... რა თავს ვიხლით!...
დავბერდით უბედურადა
და ახლა სიკვდილს მოველით!—
ქაა, მოიცა... ტირილის
ხმა ისმის ეზოს კარშია.
ადექი ვატო, გავიქცეთ,
ბავშვის ხმასა ჭვავს, ბავშვია!...

წამოტვივდენ საჩქარობზედ,
ერთმანერთი გაიტანეს
და დარჩნენ სახტად კარებში,
რა რომ ბავშვი დაინახეს.
ზედ შუა შესავალზედა
ეგდო ის მჩვრებით შეკრული
და იყო თეთხილად, მსუბუქად,
საბანში გამოხვეული...
ეტყობა, დედისგან იყო
იგი აქ გადმოგდებული!...

და ჩვენი მოხუცებულნი

ჭკვირობდენ და ღმერთს მადლობდენ...
სიხარულისგან მათ გულნი
გადმოვარდნასა ლამობდენ.
გაჩუმდა უცებ ბავშვიცა,
ღიმილით მაღლა იწვედა,
და თითქო მოხუცებულებს
შაწია ხელებს უქნევდა.

„ჰაი ბედი და იღბალი!
ესლა რიღას გვეშინიან?
ღმერთმა მემკვიდრეც გვაჩუქა;
მარტოობა რაღას ჭქვიან!
აბა, ჩქარა, დედა-კაცო,
ჩქარა შეიუვანე სახლში,
და მე კი ნათლიებისთვის
ესლავე გავწევ ქალაქში!»

ღმერთმანი, საკვირველია,
როგორ ტრიალობს ქვეყანა:
ერთს შვილი მოსძაგებია
და აგდებს თვის სასლიდგანა;
მეორე ო�ილის გროშებით
სატებ-წინ ანთებს სანთელსა
და შესთხოვს ტრემლით, ვედრებით
შვილსა თვისს დამტირებელსა!!...

III

ეი, მონათლეს პატარა,
სახელად სიკო დაარქვეს;
სამ-სამი ნათლია ჰყავდათ,
ერთიც კი ალარ აკმარეს!
სიკო იზდება; მოხუცნი
ანებივრებენ, უვლიან:
ეოკეულ წამს ხელში უჭირავთ,
რა უყონ, ალარ იციან!...
მიდის დრო, მირბის თვეები,
თავდება წელიწადიცა
და თანაც სალად, ეოჩალად
იზდება ჩვილი ბავშვიცა...
და ამ დროს ერთსა დილაზედ,
მოადგა მოხუც ცოლ-ქმართა
ქალი შავ-თვალა, ლამაზი,
ალვის ხის მსგავსი ტანადა...
და მუშა-ქალის ალაგი
სთხოვა კანკალით იმათა.

«აბა, ნატალო, რას იტყვი?
მოდი ეს ქალი აქ დარჩეს;
გგონებ რომ ამის დაჭერა
ჩვენთვის ურიგო არ იყვეს.
«ენდა, ენდა დავიჭიროთ,
გინდ იყვეს ძიელ ძვირია.

ბავშვი გვყავს, ათას რამეში
ჩვენ მაგის თავი გვჭირია.
ჩვენც ღონე ადარას შეგვწევს,
გაგვიტუდა ჯანი უმაწვილის,
და ვბა ავად რომ დავსდეთ
ჩვენს სიკოს ვიდა მოუვლის?!
«ეგრე სჯობს, კარგი სიტყვაა;
მეც კი ძალიან ვბერდები...
ვბა, შენ ქალო, რას გვეტყვი,
რასა გვთხოვ, რასა გვჯერდები?
«რასაც მიბოძებთ, დაგიჭერთ,
მე ბევრი არა მინდა-რა!
«შვილო, ეგ როგორ იქნება,
არასად არ არის მაგ-გვარა!
თუ გინდა, მოდი ასე ვქნათ:
დაჭუეი ჩემთან რამ ხანი
და ამ დროს შინაურულად
გაგვიცან და გაგვეცანი.
და შემდეგ უფრო თანხმობით
ერთმანერთის მოგურიგდებით.
საქმე გათავდა... ლამაზი
იტქერის მხიარულადა:
თითქო დიდი რამ საუნჯე
იშოვნა საკუთრებადა...
ამ დღიდამ მოკიდებული
ფეხზედ ტრიალებს გარედ, შინ.
საქმეს ხელიდამ არ უშვებს
დილიდამ საღამომდისინ.

ხან ტოტხით ეზოს მოურბენს,
ხან ასუფთავებს ბოსელსა;
შემდეგ იქ სარეცხს დაიდგავს,
აქ მოამზადებს საუზმელსა;
ბავშვი ხომ, აბა, რა გითხრათ!
სწორედ რომ შვიდიეითა ჭყვეს!
რაც ის მას საქმეს უშვრება,
ნამდვილი დედაც ვერ უზავს!
ყოველ დღე თავის სულითა
თავსა ჭბანს ხოლმე თბილის წყლით.
და დაჭყავს გარედ მუდამ
სუფთა ლამაზის ჭერანგით.
ბავშვის გართობა, ალერსი
მას თითქო არა ზარდება:
სათამაშოდა ასწავლა
ბაწაწა ურმის ეეთება.
მოხუცნი სიამოვნობენ,
გულით მადლობენ იმ დროსა,
რომ ბედმა იმათ შეჭყარა
მსგავსურს კი არა — ოქროსა.
და არ იციან, თუ იგი
რა დარდს ატარებს მწარესა,
თუ როგორ ბედის მკრულავი
თეთრად ათენებს ღამესა...
არავინ იცის... სიკვდა?
მაგრამ ამანაც რა იცის.
თუ ასე მწარედ იმასა
ეს ქალი რისთვის დასტირის!!

ათას საქმეში გართული,
ბევრჯელ სიმშილსაც ვერა გრძნობს,
მაგრამ კი თავის შვილებს
არ დაივიწყებს, გაძღობს.
ახ, ნეტა სიკომ რა იცის,
თუ როგორ ბევრსა ღამესა
დაკვნესა ერთი იმისი
ჭეშრის საწყალს ელეთ-მელეთსა!
წამოგვარდება ბარბაცით,
მივა, მძინარეს აკოცებს...
გადასწერს სიმჯერ შირ-ჯვარსა
და მწარედ ამოიოხრებს!

რა მზისა სხივნი ოქრონ-თვრად
მოეფინვიან მიწასა,
ჩვენი სიგუნა ფესვზედ სდგას,
ეხვევა კეთილ გარსასა;
და თანც ტკბილის ტიკტიკით
ეძახის იმას «დედასა.»
ამ გვარად გარბის დროება,
სიკოც ლაღობს და იზდება.

IV

გავიდენ წელიწადები,
გაჭრა მრავალი დროება...
ჩვენს მშვიდობიან ოჯახსაც

ეწვია უბედურება:
ჩვენმა ბებია ნატალომ
წაიღო თქვენი ჯირაო:
კინალამ ჯავრსა გადაჭყვა
იმის მოხუცი ქმარიო.
გაჭრა ეს მავნე გრიგალიც,
გადაირბინა სწრაფვადა
და დაემყარა მშვიდობა
ამ სახლში ძველებურადა.

დიდი ხანია სიმონა
ეწევა ქირურგობასა,
სახლში სრულებით არ სძინავს
მას მთელსა შემოდგომასა.
«ახლა კი დრო», დავნიშნო,
ამბობს მოხუცი სიგოზედ;
ეს ძიელ კარგი ფიქრია,
მაგრამ არ ვიცი—ვის ქალზედ.
აქ ჩვენი მოხუცებული
მიუბრუნდება ბანოსა;
იგი მზად არის—თვით მეფის
ქალი უთხოვოს სიგოსა.
შემდეგ ჭკითხეს სამეფოს,
იმის სიტყვაც მოისმინეს,
და გათქმულ მაჭანკლებისკენ
იმ წამსვე იგი ათრინეს.

მობრუნდა კიდეც სიმონა,

მობრუნდა დანიშნულია:
ქალი იშოვნა ლამაზი,
ვით კალმით დახატულია.
უამათ ესე ამბავი,
ვინც გაიგონა, ყველასა:
თვალზედ ალარ სდგას მოხუცი,
უსარის კეთილ განასა.

«მადლობელი ვარ, ბიჭებო!
იმასის მოხუცებული.
ეხლავ სჯობს, ეხლავ გადავჭრათ,
რომელ დღეს იყვეს ქორწილი.
ნეტავი—დაუმატა მან—
ვინ გვეყოლება დედადა?
საწყალმა ჩვენმა ნატალომ
ცუდ დროს დაგვყარა ობლად!

და მოხუცებულს ლოყებზედ
ცრემლებმა უწყეს დენაი,
ამ დროს კი იქვე კარებთან
თვერ-მკრთალი იდგა განაი.
სახლში სიჩუმე დამყარდა,
ხმა არსაიდამ არ ისმის.
სიკოს დედობას ვინ უზამს?
დედა სად არის, ვინ არის?

V

ითას ნაირი საჭმელი
მზადდება საქორწილოდა;
ტურფანიც ბლომად მოსულან
საღხინოდ, სათამაშოდა.
ამათ ჯგუფაში ჩამდგარი
თამაშობს მოხუცებული:
ხან ბუქნით დახტის მიწაზედ,
ხან ხელებ-ჩაკვანწებული.
და თანაც ორივ ხელებით
ეწევა იგი სტუმრებსა;
სუფველას სახლში ჭპატიობს
გამგელებს—გამომვლელებსა.
ზოგი სჭამს, ზოგი იმღერის,
ზოგნი თამაშით ლხინობენ;
თამაშობს ჩვენი მოხუტიც,
თუმცა მუხლები მტეკნობენ.
მიგორავს დოქი-დოქზედა
სტუმრებისაგან დაცლილი
მხიარულობენ ყველანი;
გაჩაღებულა ქორწილი.
მხოლოდ ეს ყველა უცხოა,
ვაჟები გნებავთ, თუ ქალი;
კეთილი გასა ერა ხჩანს...
ნეტა, სად არის საწყალი?!
— იგი ნიშნობის საღამოს

კიევს წავიდა უცბადა,
წმინდა გვამების სამთხვევლად,
ხატებში სალოცავად.
ბევრსა ეხვეწნენ მიმავალს
ჩვენი მოხუცი და სიკო;
სთხოვეს, რომ დედის მაგივრად
ქორწილში იგი მეჯვარეობა;
მაგრამ ვერ გახდენ ვერაფერს,
იგი დიდს უარსა იყო:
«ბოგო ვარ, რაგორ იქნება,
დედის წილ ჩემი ყოვნა;
შემძლე ოჯახის-შვილი ხართ
დაგტინებთ მთელი ქვეყანა.
მე წავალ, სიკო, კიევში
და შეგავედრებ წმიდათა,
რომ იყვე შენის მეუღლით
მარად ყამს ბედნიერადა.
მხოლოდ გთხოვთ, თუ რომ იქიდამ
მოვბრუნდი ამავ სოფელში,
ნება მომეცით, ვიშრომო
სიკვდილამდისა თქვენს სახლში.
აქ შედგა; თავის სიმონა
დალოცა გულის წმინდითა;
ადგა და გზასა გაუდგა,
გაუდგა გაჩქარებითა!...

ქორწილში მსიარულობენ
თავ-თავის კვალობაზედ:

მოსდევს თამაში თამაშს,
სიმღერა სიმღერაზედ...

და იქაც, ცხრა მთა გადალმა,
ათასი ჭირის მნახველი.
ამოკლებს თავის შორ-გზასა
ჩვენი საწყალი მლოცავი.
აი მივიდა კიევშიც
და არც კი დაუსვენია,
კოკით წყლის ზიდვა დაიწყო
ულოცველ ტისმარე დღენია.
შრომობს და ზიდავს იგი წყალს,
შრომობს, ვით გაჟი-კაცია;
გრილში გრილებზედ დადებით
მან შვიდ მანეთად აქცია.
და ბოლოს კიევისაკენ
ნაწილთ სამთხვევლად წავიდა.
რომ თავი ადარ ასტკივდეს—
აქ სიკოს ქუდი უყიდა.
უყიდა მის ცოლს ბეჭედი
წმიდასა ბარბარეთანა;
ილოცა ყველა სატები
და გამობრუნდა უკანა.

ეზოს კარებში დასვდება
ჩვენ მლოცავს ორივ-ცოლ-ქმარი.
შეჭეკავთ და სადილს უშლიან:
მისთვის სულ ყველა მზად არი!

უალერსებენ, ერთობენ,
მზიარულობენ სუფრაზედ.
სადილის შემდეგ ცოტა ხანს
ბაღსა მართავენ კიევზედ.
და შემდეგ კიტო თვის ხელით
ლოგინს დაუგებს ერთგულად:
რბილად დაწოლა კარგია
დაღლილის დასასვენებლად.
—«ახ, ნუტა რისთვის ვუფვარვარ,
რადა მაქვს ბედი ესრეთი?!
ხომ არ შეიტყეს სუფეფლა,
და არ გამაწყრა მე ღმერთი!
მაგრამ, არა... შობილან
ესენი კეთილ-გულითა...
და თანაც კალთას იფსებდა
იგი მდუღარეს ცრემლითა!

VI

აგერ საძეურ დაჭყინა
და დალსენენ მდინარეები.
საძეურაც ჩვენმა მლოცავმა
ნახა კიევის გორები.
მეოთხედ სიმონას ცოლიც
კარგა გზას გაჭყვა განსა
და ცრემლითა ესვეწებოდა
მას ჩქარა დაბრუნებასა.

უმისოდ მათი სახლ-კარი
თითქო სრულებით არ არი.

ერთხელაც სახლის კარებზედ
მზეს უჯდა მოხუცებული;
მის გვერდზედ თუთარაობდა
სვიმონას უთრთოსი შვილი.
მის უმცროს ქალს კი დედისთვის
იუბვა გამოეპარა
და მასში გამოწყობილმა
ბაბას წინ ჩამოუარა.
მოხუცმა ისიამოვნა
ამ გვარი სტუმრის ნახვითა:
მაშინვე მიიპატიჟა,
მოისვა თავის გვერდითა.
და ამ დროს ეზოს კარებში
ჩვენი მლოცავი გაჩნდება;
მოხუცებული ბავშვებით
იმას წინ მიეგებება.
«სიმონა სახლში არ არის?
იკითხა გზიდამ მოსულმა
«არ არის, ისევ გზაზეა;
მიუგო მოხუცებულმა.
«ოხ, ძლივ მოვედი თქვენამდის:
ავად ვარ, თავ-ბრუ მეხვევა!...
არ მსურდა ჩემის ძვლებისა
უცხო მხარეში გაბნევა...

აქ იმან ხელი მოუსვა
თვის ნასყიდ-მოტანილებსა:
თითო რამ სათამაშოი
მან დაურიგა ბავშვებსა.
კატოს ბეჭედი მიართვა,
წმინდა სტეებთან ნადები;
მოხუცსაც შეხვდა ცოტა რამ:
ნაკურთხი წმინდა სანთლები.
სიკოს კი ვერარ უყიდა
ვერა-რა ამა დროებით:
თუ ალი აქ ჭქონდა, შრომაცა
ალარ შეეძლო სრულებით.

VII

სახლში შეეკანის უმალვე
კატომ თვეხები დაჭბანა;
შემდეგ სამსარი,—მაგრამ
ნაურიც ვერ ნახა იმანა.
«მაზეგ კვირაა, კატო-ჯან,
თქვენს მოძღვარს შეატყობინე
და წმინდა ნიკოლოზში
ჰარაკლიისი ახდევინე.
ხომ ხედავ: ჩვენი სიმონა
არ გაჩნდა, არც დღეს მოვიდა;
ჯვარი ეწეროს, მაგრამ
ავად ხომ არსად გაგვისდა.

ოხ, კარტო! გამოგიცვალე,
ის ადარა გარ, რაც ვიყავ;
სიბერემ წელი მოიწყვიტა,
თვალებსაც ძალე დავხუჭავ!!...

ადარა ხუმრობდა განა:
გახდა ის ავად ძიელა.
ზეთიც უკურთხეს, მაგრამ
ზეთმაც ვერა-რა უშველა!
კარტო გვერდთ უჯდა ამ ღამით,
უვლიდა, უთუთხიდდებოდა;
ჩვენსა მოხუცსა ჯავრისგან
თავ-პირი ჩამოსტიროდა.
ღამ-ღამე სახლის ბანიდამ
ბიუშის ხმა ისმოდა;
ჩვენი საწყალი მდებარეც
თან-და-თან ავად ხდებოდა.
სამი დღეც არის, რაც ნაური
არ ჩაუშვია პირშია...
ოთველ წამს მხოლოდ საწყალი
სიმონას ხსენებაშია!
—«ნეტავი, ნამდვილ ვიცოდე,
რომ ჩვენი სიკო შინ მოდის,
მას მოვუცდიდი ტოტხალი,
არ მოვკვდებოდი მანამდის !!

VIII

შორ გზაზედ მდგომი სიმონა
შინ დაბრუნებას არ ჩქარობს:
ხარებს აძოვებს, იმღერის,
ამხანაგებში ქეიფობს.
მას ორი თოფი მაუდი
მოაქვს საჩუქრად ცოლისთვის
და მოწითალო სარტყელი
თავის მოხუცის პაპისთვის.
არც განა, არცა ბავშვები
მას არ ჭყავს დავიწყებული:
მათთვისაც მოაქვს თითო რამ
თვის შრომით შეძენებული.
ამ გვარის ძღვენით სიმონა
მოდის შინისკენ, იმღერის
და რას მიხვდება საწყალი,
თუ იმას სახლში რა ელის?!

აგერა ჩვენი სიმონა
ძღვის სახლსაც უახლოვდება.
მივიდა, კიდეც დაიწყო
მან ეზოს კარის გაღება.
—«კატო, კატო-ჯან არ გესმის?
სიკო მოვიდა გზიდგანა!
გასწი, წინ დახვდი, საჩქაროდ
შემოიყვანე ჩემთანა.

ურემს გარს ურბენს მოხუცი,
თან სარეებს უშვებს მარდადა.
კატოც ქმარს გამოეგება
და მიესალმა ჩუმად.
«კატო, სად არის განია?
რად არ გამოდის კარზედ?
ხომ რამე უბედურობა
არ არის იმის თავზედ?!
«არა, მაგრამ... რა ვიცი...
ვერ არის განა კარგად:
აგერ თვეც არის, რაც იგი
გაგვისდა ძიელ ავად!
შენს ხსენებაში ატარებს
იგი დღესა და ღამესა.
წამოდი ჩქარა, ნახეგი;
ბაბა მოუკლის ხარებსა!

შედიან სახლში, სიმონა
დადგა კანკალით კართანა.
«მადლობა ღმერთსა! სიკო-ჯან,
მოდი აქ ახლო ჩემთანა!
და შენ კი, კატო, გეთაყვა
გადი ესლავე კარზედ:
სიკოსთან ერთი საქმე მაქვს —
მსურს ვუთხრა რამე მასზედ...

კატო კარს გადის საჩქაროდ:
ასრულებს ამა თხოვნასა;

სიმონა დაღონებული
გვერდზედ უჯდება გონასა.
«სიკო-ჯან, ჩემო სიცოცხლეკ,
შემომხედეი რაღა ვარ!
მთლად ჩემი დღენი ტანჯული,
დღეს სიკვდილს დავმსგავსებივარ.
ეწ გეტუვი ერთსა ამბავსა:
მე მუშა ვანო არა ვარ...
მე.....

ექ მან სიტუვა გასწუვიტა.
სიმონა გაოცებითა
უმზერდა მწოლარს და თანაც
კალთას იკსებდა ცრემლითა.

მან კვალად ბირი გაადო
განუგრძო სიტუვა სიკოსა.
«შვილო-ჯან, გოხოვ ნუ გამკიცხავ
ამდენის ტანჯვის მნახველსა!
მთლად ჩემი წუთი-სოფელი
ასე სხვის კარად დავდივარ...
მაპატიეკი, შეგცოდე;
შვილო, მე შენი დედა ვარ...»

ამა სიტუვებმა სიმონას

უეცრად დასცა თავ-ზარი,
მიეკრდა იგი დედასა,
მაგრამ ხელთ შერჩა მას მკვდარი.

ნ. ლ.

კიევი.
1877 წ.

ვეკვილდის მოძღვარი.

(დასასრული *)

თავი XXX

უკეთესი ბედი მოგველის. ნუ გავუტყდებით ტანჯვას და არ იქნება, ბოლოს სიკეთე არა გველირსოს-რა.

ეს დარიგება რომ გავათავე და ტუსაღები წავიდ-წამოვიდენ, ციხის მცველი მომიახლოვდა და მითხრა, ნუ კი გეწყინებათ და ჩემი მოვალეობა უნდა შევასრულო, თქვენი შვილი უფრო მაგრად ჩაკეტილს ოთახში უნდა დავამწყვდიო. ეს ციხის-მცველი ძალიან კეთილი კაცი იყო და დამშვიდდა, ოთხელს დილით ნება ექნება თქვენის ნახვისაო. დავუმადლე ამ სიკეთისათვის, მოვწიდე ხელი ჩემს შვილს, გამოვესალმე და მოვაგონე, მოემზადე შენის მძიმე მოვალეობის ასასრულებლად-მეთქი.

დავწექ ისევ ჩემს ლოგინზედ, ერთი ჩემი ბატარა მოიჯდა გვერდით და კითხვა დაიწყო. ამ დროს შემოვიდა ჯენკინსონი და მითხრა, თქვენის ქალის ახალი ამბავი ვიცი: ორის სათის წინად ერთს უცხო კაცთან ენახათ, აქვე ახლო

*) «ივერია» №№ 1, 2, 3 და 4 1881 წ.

სოფელში ბურის საჭმელად ჩამომხდარიყვნენ და თურმე აქეთ-კენ მოდიოდნო. გაათავა თუ არა სიტყვა, შემოვიდა სახჭარად ცისის-მცველიც მხიარულის სახით და მომაძახა, თქვენი ქალი გამოხნდაო. ბატარა ხანს უკან მოსეც ყვირილით შემოვარდა, სოფიო და ჩვენი უწინდელი მეგობარი ბორჩალი ქვეით არიან და სანაა აქ მოვლენო.

ეს რომ მოგვახარა, ჩემი ძვირ-ფასი ქალიც შემოვიდა ლ ალტაცებული ელზად შემომეხვია. ჩემს ცოლს სიხარულისაგან თითქო ხმა ჩაუვარდა და თვალთაგან მხოლოდ ცრემლები სცვიოდა.

— აი მამა, მითხრა სოფიომ, აი ეს არის ჩემი მხსნელი; ამან გამათავისუფალა ტყვეობიდამ... ბორჩალის კოცნამ გაანუყვეტინა სიტყვა. იმას უეცრად ჭქონდა კმაყოფილება სასეზედ გამოხატული, ვიდრე თითონ სოფიოს.

— ოჭ, ბატონო ბორჩალ! წარმოგსთქვი მე. მეტად ავს ადგილასა გვხედავთ ჩვენ; ეს იმ სადგურს არა ჭვავს, სადაც უკანასკნელად გვნახეთ. თქვენ ოკეელთვის ჩვენი კეთილის-მოფელი იყავით: დიდი სანია, რაც მივხვდით ჩვენს შეცდომას და შეგინანიეთ ჩვენი თქვენდამი უმადურება. ისე ცუდად მოგეპყარით მაშინ, რომ ეხლა მრცხვენიან, პირში გიყურთ, მაგრამ იმედი მაქვს, მომიტევებთ, რადგან მაშინ შემაცდინა იმ უსინიდისომ, რომელიც თავის მეგობრად გვასახავდა ჩვენ და დასალუპავადაც კი არ დაგვზოგა.

— რა უნდა მოგიტევოთ, რომ არა დაგიშავებიათ-რა ჩემთვის. მე ვიგრძენ მაშინ რომ შემცდარი იყავით და რადგან ვერ შეგიძელ თქვენი ჩაგონება, მებრალებოდით მხოლოდ.

— მე ოკეელთვის დარწმუნებული ვიყავ, რომ კეთილშობილური გული გქონდათ და ეხლა კიდევ უფრო დავრწმუნდი.

მიგუგე მე. ახლა მიამბე შვილო, როგორ დაგიხსნეს, ან ვინ იყვნენ ის ავაზაკები, რომელთაც მოგიტაცეს.

— ვინ წამიყვანა, ჯერაც არ ვიცი; მიპასუხა ჩემმა ქალმა. მე და დედა-ჩემი დავსეირნობდით, უკანიდამ მოგვეპარა და ისე მტაცა ხელი, ეკიპაჟში ისე ჩამსვა და ისე გამაქანა, რომ დაყვირებაც ვერ მოვასწარი. გზაზედ ბევრნი შემომხვდენ, ბევრსაც ვეხვეწე, მიშველეთ-მეთქი. მაგრამ ეური არავინ მიგდო. ის ავაზაკი ცდილობდა, საშველად არავისთვის დამეძახნა: ხან მეალერსებოდა, ხან მემუქრებოდა; მეფიცებოდა, თუ გაჩუმდები, ცულს არას დაგმართებო. მაინც მოვასწარ ეკიპაჟის ფანჯრის დახვევა და როგორ გგონიათ, ვინ დავინახე?... ჩვენი ძველი მეგობარი ბორჩელი! თავისებურად სწრაფად მიდიოდა და ხელში ერთი დიდი კომბალი ეჭირა, რომლისათვისაც ხშირად აგვიგდია მასხარად. როცა დავუახლოვდით, მაშინვე დავუძახე და მიშველებას შევეხვეწე. რამდენჯერმე გავიმეორე ხვეწნა და ამანაც მაღლის ხმით შემოსძახა კუჩერს, გაჩერდიო! კუჩერმა ეური არ ათხოვა და უფრო საჩქარად გასწია. მე მეგონა, ეხლა ველარ მოგვეწევა-მეთქი. მაგრამ ერთს წუთს ცხენების გვერდით გაჩნდა და კომბლის ერთის დაკვრით კუჩერი ძირს ჩამოაგდო. ცხენებიც თავისით გაჩერდენ და ის ვიღაც იყო, გამოავარდა ეკიპაჟიდამ, ხმალი ამოიღო და უთხრა, გამშორდი, თორემ გაგათავეო. მაგრამ ბორჩელმა ხმალი დაუმსხვრია, გაიგდო წინ, თითქმის ნახევარ-მიღი არბენინა და მაინც გაექცა. ამ დროს მეც გონზედ მოვედი, მოვინდომე მეშველა ჩემის მსხნელისათვის, მაგრამ თითონაც ძალე დაბრუნდა. კუჩერიც მოსულიერდა და გაქცევა დაუპირა; ბორჩელმა უბძანა, ესლავე დაჯექ და ქალაქშიგე დაბრუნდი, თორემ ვაი შენ გინდაო. უარის თქმა აღარ მოხერხდებოდა, დაუჯდა და გამოგ-

წიეთ. საწყალი კუჩერი მგონი ძალიან დაშრილი იყო: გზაზედ სულ ტკივილსა სჩიოდა; ბორჩელს შეებრალა და ჩემის თხოვნით მასლობელს სასტუმროში გამოსტვა.

— მადლობა ღმერთს, შვილო, რომ მშვიდობითა გნახეთ. მობძანდი შენც, ჩემის შვილის მსსნელო! თუმცა მდიდარი სუფრა არა გვაქვს, მაგრამ გულიანად კი დაგიხვდებით. ბატონო ბორჩელ, რადგან ჩემი ქალი თქვენ დაისსენით, თუ გინდათ თქვენვე მიიღეთ ჯილდოდ. თუ ჩვენისთანა ღარიბს ოჯახთან დამოყვრებას არ ითაკილებთ, ეგ თქვენია. რადგან მაგისი გული მოგებული გაქვთ და ჩემი გულიც. იცოდეთ, რომ მცირე საუნჯეს არ გაძლევთ; მართალია, სილამაზის ხმა აქვს დაყრილი. მაგრამ სილამაზე თავისთვის იყოს. მაგისი გული და გრძნობაა საქებური.

— თქვენ მგონი შეტყობილი გექნებათ. მომიგო ბორჩელმა, რომ დიდი შეძლება არა მაქვს და მაგის შენახვა ისე, როგორც ეკადრება, არ შემიძლიან.

— თუ მაგ მიზეზით ჩემი თავიდამ მოშორება გინდათ. არა მეთქმის-რა. მაგრამ მე არა მგონია იყოს ვინმე თქვენზედ უფრო ღირსი ჩემის ქალის შერთვისა; და რამდენიმე ათასი ოქროს მიცემაც რომ შემეძლოს და რამდენიმე ათასი თხოულობდეს მას, მაინც ჩემს ძვირ-ფასს ბორჩელს სსვას ვერავის დავამჯობინებ.

ბორჩელმა ჯერ ხმა არ ამოიღო და თავის სიჩუმით გული მოგიკლა; შემდეგ, ნაცვლად ბასუხისა, გვკითხა, არ შეიძლება სასტუმროდამ საუმეტესები ამოვატანოთო. რა შეიტყო, შეიძლებოდა, კაცი გაგზავნა და ისეთი კაი საჭიდი მოატანა, რასაც კი ისე მალე მოამზადებდა მოსერდებოდა. თორმეტი ბოთლი საუკეთესო ღვინო დაბარა აგრეთვე და ჩემთვის სხვა-

და-სხვა ჯანის მოძტემი სასმელები; ღიმილით გვითხრა, დღეს მინდა ერთი კარგად გავმხიარულდე, რადგან ასეთს ქეიფზედ არსად არა ვეოოეილვარ, თუმცა ტისეში კი ვარო. ბიჭმა მალე სუფრა ლ სუფრის იარაღი შემოიტანა; სტოლი ტიხის-მცველმა დაგვიდგა; ღვინოები და საჭმელებიც ჩამოაქწკრიკეს. ტიხის-მცველი მეტად ზდილობიანად იქცეოდა იმ დღეს.

ჩემს ქალს ჯერ არ გაეგო თავის ძმის უბედური შემთხვევა და ჩვენც არ გვინდოდა იმ ამბით ეს მხიარულება ჩაგვემწარებინა. ბევრს ვეცადე, მაგრამ მაინც მხიარულება არ დამეტეო სასეზედ; სულ ჩემის უბედურის შვილის ამბავი თვალ წინ მიდგა. მეტი გზა არ იყო, ვუამბე ეოველისეერი და სურვილიც გამოვაცხადე, კარგი იქნება ჩვენთან ერთად ბატარა ხანს მაინც იმხიარულოს-მეთქი.

ჩემმა სტუმრებმა საშინლად გაიოცეს ჩემი ნაამბობი და როცა დამშვიდდენ, ვუთხარი, ურიგო არ იქნება ერთი ჩვენი ნაცნობი ტუსადი—ჯენკინსონიც მოეწვიოთ-მეთქი. ტიხის-მცველმა მაშინვე შეასრულა ჩემი სურვილი.

ამ დროს მოგვესმა დერეფნიდამ ჩემის შვილის ბორკილების ხმა და ჩემი ქალი სოფიო საჩქაროდ გაიჭრა იმის მისაგებებლად. ბორჩელმა მეითხა თქვენს შვილს გეორგ ხომ არა ჭქვიანო. მე ბასუხი მივუგე და მასუკან ადარა მითხრა-რა.

შემოვიდა თუ არა ჩემი შვილი, მე შევამჩნიე, რომ ბორჩელს .განცვიფრებითა და მორიდებით შეჭხედა.

— მოდი, შვილო, ვუთხარი მე. თუმცა დაბლა კი დავეცით, მაგრამ განგებამ ინება ჩვენის უბედურების ტოტალოდნად შემსუბუქება. შენი და დაუსხნიათ და ი იმისი დამხსნელი. ამ კეთილის-კაცის მადლიერი უნდა ვიყო, რომ მე ერთი ქა-

ლი კიდევ მუკვს. მიეცი ხელი ამას შვილო და მეგობრად ჭსადოდე. ეგ ჩვენგან უზომო მადლობის ღირსია.

ჩემი შვილი ამ ლაპარაკს თითქო ყურს არ უგდებდა და იდგა შორს გაჩერებული.

— რატომ არ ეტყვი, ძმაო, მადლობას ჩემს დამხსნელს? ჭკითხა დამ. ვაჟ-კაცურის გულის პატრონთ უნდა ერთმანერთი უყვარდეთ.

გეორგ მაინც აღგილიდამ არ იძრაოდა და იყო გაჩუმებული. ბოლოს ჩვენმა სტუმარმა თითონვე მოინდომა თავისთავის გამოცხადება, მედიდური სახე მიიღო და უბძანა ჩემს შვილს, წინ წამოდექიო. ჩემს დღეში არ მინახავს ისეთი დიდებული შეხედულობა, როგორიც ეხლა ბორჩელს დაეტყო. ერთი თვალოსანი ამბობს, იმაზედ უკეთესს სანახავს ვერავინ ვერა ნახავს, როდესაც კეთილი კაცი უბედურებას ებრძვისო; მაგრამ ამაზედ უკეთესი კიდევ ის არის, როდესაც სხვა კეთილი კაცი იხსნის ამ ბრძოლისაგან.

ბორჩელმა პატარა ხანს მედიდურად უყურა ჩემს შვილს და შემდეგ უთხრა:

— თქვენ კიდევ გაბედეთ, უგუნურო, იგივე ავ-კაცობა....

უეცრად სიტყვა ერთმა ტიხის-მტვერმა გაწყვეტინა; შემოვიდა და ბორჩელს უთხრა, ეს არის ეხლა ქალაქში ერთი დიდი-კაცი მობძანდა ეკიპაჟით და თან ბევრი მხლებლებიცა ჰყავსო; მოკითხვა მოგასხენათ და გთხოვათ უბძანოთ, როდის გექნებათ მიღების დროო.

— უთხარი, მოიცადოს, ვიდრე მოვიცლიდე. სთქვა ჩვენმა სტუმარმა და ისევ ჩემს შვილს მიუბრუნდა:

— თქვენთვის კიდევ იმავე დანაშაულში მოუსწორიათ, რომლისათვისაც ერთ-ხელ ჩემგან საყვედური მიიღეთ და ეხლა სა-

სამართლის განრისეული სასჯელი დაუნიშნავს. იქნება გგონიათ რომ, რა კი თქვენს სიცოცხლეს არად აფასებთ, ნება გქონდეთ სხვის სიცოცხლის მოსპობისა? ერთი ეს მიბძანეთ, რა განსხვავებაა დუელში გამომთხოველსა ჯ ფარულად კაცის-მკვლელს შორის, გარდა იმისა, რომ ერთი ხელს იღებს ყველასთვის უვარგისს სიცოცხლეზედ და მეორე კი არა? განა ქალაქდის ყალბი მოთამაშე დამნაშავედ აღარ ჩაითვლება, რა კი თითონაც თულს ჩამოდის?

— ბატონო ჩემო, თუმცა კი არ ვიცი, ვინა ხართ, მაინც გევედრებით, შეიბრალოთ ეგ საცოდავი! ვუთხარი მე. მაგას ბრალი არა აქვს-რა; ეგ მხოლოდ დაემორჩილა მოტეუებულის დედის თხოვნას. რომელსაც შეეთვალა, არ ეღირსები ჩემს დალოცვას, თუ ჩვენს შეძაწუსებელს არ გადაუხდიო. აი ბატონო, ის წერილიც, რომელიც ამტკიცებს ჩემის ცოლის დაუთვალრებლობას და ამცირებს მაგის ბრალსა.

ჩვენმა სტუმარმა გამოძართვა წერილი და საჩქაროდ გადიკითხა.

— ეს თუმცა სრულად ვერ ამართლებს მაგის ავ-ქცევას, მაგრამ ისე ამსუბუქებს კი, რომ თითქმის მზა ვარ, მივუტევო.

მერე ტკბილად ჩამოართვა ჩემს შვილს ხელი და უთხრა:

— მე ვიცი, გაგიოცდებათ, რომ აქა მსედავთ, მაგრამ მე კელავაც კი დამითვალიერებია ციხეები, რადგანაც დასათვალიერებელი მაგდენად შესანიშნავი არა ყოფილა-რა. ესლა იმიტომ მოვედი რომ სამართალი გაუჩინონ ერთს ღიარსეულს კაცს, რომლისაც დიდი პატივის-მცემი ვარ. მე დიდ ხანს სხვათერივ ვიყავ ჩაცმული და მაია-შენის კეთილ-მოქმედებას თავლს ვადევნებდი; მაგის პატარა ხასლში მე ველირსე პატივისცემას, რომელსაც პირმოთნეობა არ ერია და მაგის ბუსრის გვერდით

ბევრი ისეთი ტკბილი სიამოვნება მიმიღია, რომელსაც სასახლეშიაც კი ვერ ვეღირსებოდი. ჩემს ძმის-წულს შეუტყვია, რისთვისაც მოგვედი აქა და თითონაც მოსულა ჩემს სანახავად. საქმის გაუხსრეკელად რომ დავსაჯო იგი, არც თქვენთვის იქნება კარგი, არც იმისთვის. ვინც უსამართლოდ მოიქცა, უნდა გადახდეს მას და დაუკვეხრად ვიტყვი, რომ უილიამ ტორნჭილის სელიდამ ჯერ უსამართლობა არა გამოსულა-რა.

ახლა კი შეგიტყეთ, რომ ის კაცი. რომელსაც ისე უბრალოდ და შინაურულად ვეძებოდით, იყო გამოჩენილი უილიამ ტორნჭილი, რომლის ახირებულ სასიათისა და კეთილის გულის ამბავი ყველასა ჭქონდა გაგონილი. საწყალი ბორჩელი თურმე დიდ-ძალის ქონების პატრონი იყო და დიდი ხმაცა ჭქონდა. ბევრი საბელმწიფო კაცი იმის სიტყვას შესჩერებოდა და ყველანი ურიდებით ისმენდენ მისგან რჩევას. ის იყო კეთილის-მყოფელი თავის ქვეყნისა და ერთ-გული თავის ხელმწიფისა.

ჩემს ტოლს გაახსენდა, როგორ უკმეხად ეძებოდა ბორჩელს და შიშით თითქმის დადგა. სოფიომ კი ძლივს შეიმაგრა ტრემლები: წინად ეგონა ამის თავს ახლა ვერავინ წამართმევსო და ახლა კი ნახა, რა უზომო უფსკრული იყო მათ შორის.

— ოჭ, ბატონო! შეჭყვირა ჩემმა ტოლმა სატოდავის ხმით, როგორდა უნდა მოკელოდე თქვენგან მოტევებასა. რადას პირითდა უნდა გთხოვოთ, მაპატიეთ-მეთქი, შემდეგ იმისა, რაც შეურაცხ-ყოფა მოგაყენეთ ჩვენს სახლში უკანასკნელ ნახვის დროს და რაც ისე სასაცილოდ აგიგდეთ!

ტორნჭილმა მიუგო:

— ნუ სწუხართ, ბატონო! მეც მგონი დაცინვაში უკან არ

ჩამოგრჩით და დეე სჯობან ამათ, ვინ დარჩა გამარჯვებული. მართალი უნდა გითხრათ, მე ეხლა სხვაზედ არავიზედ ვარ გაკვირებული, გარდა იმ უმგზავსისა, რომელმაც ჩემი ბაწია სოფიო შემიშინა. ტუდი ეს არის, კარგად ვერ დავაკვირდი იმ სალახანას სახეს, თორემ გამოუცხადებელს არ დავაგდებდი. რომ შეგხვდეთ სადმე, იცნობთ, სოფიო?

— არ ვიცი, ვიცნობ თუ არა, მაგრამ ეს კი შეკამჩნიე, შუბლზედ რაღაც ნიშანი ჭქონდა.

— უკაცრავად თუ არ ვიქნები, გაანწყვეტინა სიტყვა ჯენკინსონმა, არ შეიძლება მიბძანოთ, წითელ-თმიანი ხომ არ იყო?

— მგონი წითელი თმა ჭქონდა, მიუგო სოფიომ.

— თქვენ ხომ ვერ შეამჩნიეთ ბატონო, ჭკითხა ჯენკინსონმა უილიამს, გძელი თვესები ჭქონდა თუ არა?

— გძელი თვესები ჭქონდა, თუ არა, არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ძალიან ჩქარა გარბოდა მე იმას ვერ მოვეწიე, და ძვირად თუ ვინმე მაჯობებს სირბილში.

— ეხლა კი ვიცნობ, ვინც არის, სთქვა ჯენკინსონმა. სწორედ ის უნდა იყოს. იმისთანა მარბენალი მთელს ინგლისში არ მოიძებნება. იმას ტიმოთი ბაქსტერი ჭქვიან. მე იმას კარგად ვიცნობ და ისიც ვიცი, სად იმალება ეხლა. თუ უბძანებთ ცისის მცველს რომ ორი კაცი თან გამომატანოს, ამ ერთს საათში იმას აქ მოვიყვან.

დაიბარეს ცისის მცველი და მაშინვე გამოცხადდა. უილიამმა ჭკითხა, მიცნობ თუ არაო.

— როგორ არ გიცნობთ, ბატონო! მიუგო ცისის მცველმა. თქვენ უილიამ ტორნჭილი ბძანდებით და ვინც კი გიცნობთ, უფრო დაჭლოებით ნდომულობს თქვენს გაცნობასა.

— მაშ ამასა გთხოვ, უბძანა უილიამმა; ამ კაცს ორი შენი კაცი გაატანე, ჩემს საქმეზედ უნდა წავიდენ და თუ მოხდეს რამე, მე ერთი მსაჯულთაგანი ვარ ამ მხარეში და მე მიგეხმარა ყოველისფერი.

— თქვენი სიტყვა საკმარისია. ბატონო, და თუ თქვენ ისურვებთ. სადაც გნებავდეთ, გაგზავნეთ ეგენი.

ჯენკინსონი მაშინვე წავიდა ტიმოთი ბაქსტერის სახლზედ და ჩვენ, ვიდრე ის დაბრუნდებოდა, ბევრი ვიცინეთ ჩემს ბატარა უილიამზედ, რომელიც ის იყო შემოვიდა ჯ მოინდომა ჩვენს სტუმარს ყელზედ შემოხვეოდა და ეკოცნა. დედამ დაუშალა ეს კანონიერება, მაგრამ იმ ღირსეულმა კაცმა არ გაუშვა, აიყვანა და მუსლზედ დაისვა. თუმცა კი ბავშვს დაგლეჯილ-დაბეღლეთიანი ტანისამოსი ეცვა.

— გახსოვს შე ეუდანონ, შენი ძველი მეგობარი ბორჩელი? ჭკითხა იმან. რიჩარდი სადაა? ჭხედავ არ დამეწყებისართ. ორიეკ მახსოვსართ. ამოიღო ჯიბიდამ და ორიეკს თითო შაგრის-ბური მისცა. საწყალმა ბავშვებმა გულიანად შესწამეს; იმ დიდით ძალიან ტოტა საჭმელი ჭქონდათ საუზმეკ.

დაესხედით სადილად, რომელზედაც თითქმის მხოლოდ ცივი საჭმელები მოიტანეს. სადილს წინად, რადგან მკლავი ძალიან ამტკივდა, უილიამმა რეცეპტი დამიწერა და გაგზავნა. ის საგმოდ გასწავლული იყო ექიმობაში და კარგადაც არჩენდა. ბატარა ხანს უკან წამალი მომიტანეს, გავიკეთე და მაშინვე უკეთობა დავატყე.

ტისის მცველი სადილზედ თითონვე გვემსახურებოდა და ყოველის ღონისძიებითა სცდილობდა ჩვენი სტუმარი ესიამოვნებინა. ვიდრე სადილს გავათავებდით, მეორე კაცი მოუვიდა

ტორნჯილისა, სთქოვდა, ნება მოემეცითო თქვენს წინ გამოვცხადდე და ჩემი სიმართლე და პატიოსნება დავამტკიცოო. უილიამმა ნება მისცა და პატარა ხანს უკან შემოვიდა ტორნჯილიც.

თავი XXXI

უწინდელმა სტუმრის-მოყვარეობამ მოულოდნელი სიამოვნება გვიჩვენა.

შემოვიდა ტორნჯილი ღიმილით, რომელიც ძვირად მოშორდებოდა სოლმე სახიდან და თავის ბოძს მაძრთა, უნდოდა გადასხვეოდა, მაგრამ უილიამმა არ იკადრა იმის მოხვევა.

— ჯერ ნუ მეფერები, ნუ! უთხრა უილიამმა ბძანების ხმით. ჩემს გულში ადგილი მარტო პატიოსანს კაცს უნდა ჰქონდეს და ჯერ მე ვსედავ მხოლოდ სიცრუეს, ღალატსა და ავ-კაცობას. რად მოიქეცი ესე სასტიკად ამ სწორულ კაცს, რომელსაც უწინ შენს მეგობრად სთვლიდი? მაგის სტუმრის-მოყვარეობის სამაგიეროდ ქალი გაუუპატიურე და თითონ მაგასაც ციხეში უკარ თავი—ალბად იმიტომ რომ შეურაცხყოფა არ იგისრა. მაგის შვილსაც კი, რადგან კაჟ-კაცურად ვერ დაუსვდი....

— ნუ თუ თქვენ ავ-კაცობად სთვლით იმას, გაწყვეტინა სიტყვა ძმის-წულმა, რისგანაც თქვენ თითონ რამდენჯერმე გაგიფუსილებივართ!

— კეგ მართალია, მაგ საქმეში კი კარგად ჰ წესიერად მოქცეულხარ, მაგრამ ისე კი არა. როგორც მამა-შენი მოიქცეო-

და. ჩემი ძმა თვით განხორციელებული პატიოსნება იყო, და შენ.... ჭო, მაგაში სრულიად მარათლი ხარ და ქების ღირსიც.

— მე იმედი მაქვს, სხვაშიაც არ გიყო გასაკიცხი. მე ამ კაცის ქალთან ერთად ზოგიერთა ადგილს მნახეს და ხმა დაჭყარეს. ვითომ მე გავაუპატიურე იგი; თავისუფალ ქცევას ისეთის ცუდის თვალით შეჭხედეს. მე თითონ წავედი ქალის მამასთან, მინდოდა ყოველისფერი ამეხსნა, მაგრამ ამან ლანძღვა-გინებით მიმიღო. რაც შეეხება ამის ცისფერში ჩასმას, ეგ ჩემმა ადვოკატმა და სახლის გამგემ იციან, რადგან ეს საქმე იმათთვისა მაქვს მინდობილი. თუ მაგან კარი აიღო და არ შეუძლიან, ან არა ნდომულობს გადახდას, იმათ ნება აქვთ ასე მოექცენ მაგას; ეგ არც სასტიკობაა და არც უსამართლობა, რომ კაცი კანონის ძალით ეცადოს გადახდევინებას.

— თუ როგორც ამბობ, სწორედ აგრე მოქცეულხარ, მოგეტეგება და თუმცა შეგეძლო უფრო სულ-დიდად მოქცეულიყავ და ეს პატიოსანი კაცი არ დაგეტანჯვინებინა, მაინც უსამართლობა არა მოგიქმედნია-რა.

— თითონ ეგეც ვერ უარ-ყოფს ჩემს ჩვენებას, მიუგო ტორნჭიდმა. აბა, თუ იტყვის რასმე; ჩემი მსახურებიც დამტკიცებენ ჩემს სიმართლეს.

რა ნახა რომ ხმა ვეღარ ამოვიღე, რადგან დამრღვევი საბუთი არა მქონდა, განაგრძო:

— ხომ ხედავთ, ბატონო, ჩემს უბრალოებას. მაგრამ ეხლაც კი მზადა ვარ, ვაპატიო ყოველივე მაგისი დანაშაული; მხოლოდ იმას კი ვერ ვაპატიებ, რომ თქვენთან დამაბეზღა და ჩემზედ კინაღამ გული აგაურევინათ. ეგ თქვენთან მაბეზღებდა და მაგის შვილს კი ჩემი მოკვლა ჭქონდა განზრახული. ეს ისეთი დანაშაულობაა, რომ თითონ კანონს უნდა მივან-

დო გადახდევინება. აი იმის დუელში გაწვევის ბარათი და ორი მოწამეცა მყავს: ერთი ჩემი მსახური საშინლად დაჭრილია იმისგან და თუნდა თქვენც რომ დამიშალოთ, ბიძა-ჩემო, მაინც იმისი სამართალში მიუცემლობა და დაუსჯელობა არ იქნება; მაგრამ დაშლას, კეცი. თქვენ არას დროს არ ინებებთ.

— ოჰ, შე ასპიტო, წამოიძახა ჩემმა ტოლმა. ის არ გეუოთოდა, რაც ტანჯვა ჩვენ მოგვაყენე, რომ ეხლა ჩემს შვილსაც გესლი არ გადაასხა? ეს ბატონი, იმედი მაქვს, დაგვიფარავს შენგან; ჩემი შვილი ბავშვსავით უმანკოა და თავის დღეში არავისთვის არა უწყეინებია-რა.

— მეც თქვენსავით მტკივა გული თქვენის შვილისოვის, უთხრა ჩემს ტოლს უილიამმა, მაგრამ ამასა ვწუხვარ, რომ იმისი დანაშაული მეტად ცხადია და ჩემმა ძმის-წულმა რომ მოინდომოს....

ამ დროს შემოვიდენ ჯენკინსონი, ორი ციხის ყარაულები და მიიქციეს ჩვენი უურადღება. იმათ წავედოთ ხელი ერთის მაღალ-მაღალის კაცისთვის და ძალით მოჭყავდათ. უცხო კაცი კარგად იყო ჩაცმული სწორედ იმ კაცსა ჭკვადა თურმე, რომელმაც ჩემი ქალი მოიტაცა.

— ესეც ხელში გვეკვს! სთქვა ჯენკინსონმა. საღრჩობელა ამას მოუსდება აი!

ტორნჭილმა რომ უცხო კაცი და ჯენკინსონი დაინახა, თითქო შეკრთა და უკან დაიწია; თვერი ეცვალა და გაქცევა დააპირა, მაგრამ ჯენკინსონმა შეამჩნია ესა და არ გაუშვა.

— გრცხვენიათ თქვენის ძველის ნაცნობებისა, თუ რა არის? უთხრა იმან. ველარ გვიცნობთ ჯენკინსონსა და ბაქსტერს. მაინც დიდმა-კაცებმა თავიანთ მეგობრების დავიწყება იციან; მაგრამ მე როდი დაგიგიწყებთ.

მასუკან მიუბრუნდა ჯენკინსონი უილიამს:

— ეს კაცი რომ დავიჭიროთ, ოთველისთვრში გამოგვიტყდა: ესა ბძანებულა, რომ ამბობდენ სასიკვდილოდ დაკრილიაო; გამიტყდა, რომ ტორნჭილმა წამყვანისა ამ მოძღვრის ქალი, თითონვე ჩამცვა ეს ტანისამოსი და ფოსტის კეიშეიც თითონ მიქირავა. ბირობა ჭქონდათ თურმე, ამას უნდა ის ქალი შორს სადმე წაეყვანა და იქ შეშინებით მოენდომნა დაოლიება. უცებ. ვითომ-და შემოხვეით, უნდა ტორნჭილი წამოსწრებოდა, მიშველებოდა ქალსა, პატარა ხანს ებრძოლთ და ეს გაქცეულიეო. ამ გზით ტორნჭილს უფრო გაუადვილდებოდა ქალის გულის მოგება, რადგან მეორეულობას დაიჩემებდა.

უილიამმა იცინა, რომ რაც დაკერილს ეცვა, თავის ძმისწულის ტანზედ ენახა და თითონ დაკერილმაც ოთველისთვრი დაწვრილებით გვიამბო და ბოლოს გვითხრა, ტორნჭილს რამდენჯერმე უთქვამს ჩემთვის რომ ორივ დანი კარგები არიანო.

— ძმერთო ჩემო! წამოიძახა უილიამმა. რა გვეული გამოგიზდია ამ გულთან! მერე სამართლიანობასაც რომ ჩემულობდა! ჭო. ელიარსენა სამართალი მაგას. ცისის მცველო, დაიჭირე ეგეც და ნურასად გაუშვებ... მაგრამ მოიცა, ჯერ კანონიერი საბუთი უნდა გვქონდეს რამე მაგის დასაჭერად.

ტორნჭილმა ითხოვა დიდის მოწიწებით, რომ მაგ ორის ავაზაკის მოწმობას ნუ მიიღებთ და ჩემს მსასურებს გამოჭეითხეთ ყველასთვრიო.

— შენს მსასურებსა! უთხრა უილიამმა. ნუღარ უძახი იმათ შენებს, უბედურო; მაინც მოგიხმოთ, ვნახოთ რას იტყვიან. დაუძახეთ მაგის კარის-კაცს.

შემოიყვანეს კარის-კაცი და იმან მაშინვე სასეზედ შეატ-

ულ თავის ბატონს, რომ ბატონობა წართმეოდა და მიეგრეზ-ბა ადარ იყო სასწორო.

— სწორედ მითხარი; უბძანა მკაცრად უილიამმა; გინახავს რადისმე ერთად შენი ბატონი და ეი ის კაცი, მაგის ტანი-სამოსი რომ აცვია?

— რაგორ არ მინახავს, ბატონო. სულ მაგას არ დაჰყავ-და ქალები მაგასთან.

— რას მიჰქარავ? შეუტია ტორნჰილმა. მაგის თქმას ჩემთა-ნა ჭბედავ!

— ვინც უნდა იყოს, მაინც მართალი უნდა გთქვა; მიუგო კარის-კაცმა. სწორე მოგახსენოთ. მე თქვენ ჩემს დღეში არა მეკარებისართ და ესლა მზადა ვარ ყოველისფერი წარმოგსთქვა, რაც კი გულში მიდევს.

— აბა, მაშ მოახსენე ამათ, უთხრა ჯენკინსონმა, რაც კი იცი ჩემზედ.

— შენზედ ბევრი კარგი არა ვიცი-რა. ამ მღვდლის ქალი რომ მოიტაცეს და ბატონისას მოიყვანეს, შენ იმ საქმეშიაც ერიე.

— ეს კაი მოწამე მოიყვანე შენის უბრალოების დასამტკი-ცებლად! უბძანა უილიამმა. ოჰ, შე კაცობრიობის შემარცხვე-ნელო. რაგორ გაუმბასაგდი ამ უბედურებს!

შემდეგ გაანგარძო მან ისევ საქმის გამოკვლევა და მი-უბრუნდა კარის-კაცს:

— შენ მეუბნები. რომ ამ კაცმა მოჰკვარა ამ მოძღვრის ქალი?

— არა, ბატონო, ქალის მოტაცება თითონ ბატონმა იკის-რა, მაგრამ მაგან მღვდელი მიიყვანა, რომელმაც ტეუილი ჯვა-რის-წერა მოასდინა.

— მართალს ამბობს, სთქვა ჯენკინსონმა. ტუუილს ვერ ვიტ-ყვი, ჩემდა სამარცხვინოდ უნდა გამოვტყდე, რომ მე ეგ საქ-მე მქონდა მონდობილი.

— ღერთო ჩემო! წარმოსთქვა კიდევ უილიამმა. მაგისი ახალ-ახალის უსინიდისობის გამსელა უფრო-და-უფრო მიშ-ფოთებს გულსა. ესლა ცხადია მაგისი დანაშაული; ცხადია, რომ იმიტომ სდევნიდა ამ პატიოსანს ოჯახს, რომ მაგ და-ჩარს და ბოროტ-სულს ამათი ჯავრის ამოყრა ნდომებია.— გთხოვ, ციხის-მცველო, რომ განთავისუფლო ეს ახალ-გაზ-და ჯარის-კაცი ჩემის თავდებობით. ვეცდები მალე ავუხსნა ეს საქმე ჩემს მეგობარს, მოსამართლესაც, რომელმაც ეგ დაჯე-რინა.—სად არის ახლა თითონ ის ყმაწვილი-ქალი? სთხოვეთ, მოვიდეს, რომ დავუბირდებირთ ამ უბედურს; მე მინდა შე-ვიტყო, რა ღონისძიებით შეაცდინა იგი. წადით და მოიყვა-ნეთ.

— ოჰ, ბატონო! ვუთხარი მე. მაგ სიტყვებმა სელმეორედ გულში ისარი გამიყარეს. თუმცა ერთხელ ბედნიერი ვიყავ და ქალი მყავდა, მაგრამ იმისმა უბედურებამ...

ამ კიდევ სიტყვა გამაწყვეტინეს და ოთახში შემოვიდა ჩვენდა განსაცვიფრებლად არაბელა, უილმოტის ქალი, რომელ-ზედაც მეორეს დღეს ტორნჰილს ჯვარი უნდა დაეწერა. იმასაც საშინლად გაუკვირდა, რომ იქ ერთადა ნახა უილიამი და იმი-სი ძმის-წული, რადგან სრულიად მოულოდნელად მოვიდა ჩემ-თან. თურმე არაბელა და იმისი მოხუცებული მამა მიდიოდენ თავიანთ ნათესავ-ქალთან, რომელსაც მოენდომნა, რომ ტორნ-ჰილისა და არაბელას ქორწილი იმის სახლში ეოფილიყო. გზად ჩვენს ქალაქზედ გავევლოთ და ერთს ციხეზედ კარგა მო-შორებულს სასტუმროში ჩამომხდარიყვნენ. ქალს თვანჯრიდამ

დაესახა რომ ჩემი პატარა ბავშვი ქუჩაში ისმაშობდა, გამოეგზავნა ბიჭი, აეყვანებინა და იმისაგან შეეტყო ზოგიერთი ჩვენი უბედურება, მაგრამ ჯერ კი არ იცოდა, რომ მიზეზი-ტორონჭილი იყო. მამას თურმე ბევრი ეშალა, არ არის წესი, ციხეში წასვიდე იმათ სანახავად, მაგრამ არაბელას მაინც არ დაეშალა. ბავშვი წინ წამოეძღოდა, წამოსულიყო და რომ შემოვიდა, გაოცდა, რა კი იმისთანა სიზოგადოება ნახა თავმოყრილი.

ბევრი მოულოდნელი შემთხვევა მოხდება ხოლმე ყოველ დღე. მაგრამ არ გვიკვირს, ვიდრე გასაოცარს რასმე არ შევეყრებით. ბევრი რამ რაც ჩვენს საცხოვრებლად და სასიამოვნოდ საჭირო, მხოლოდ შემთხვევის ნაყოფია. ვინ იცის რამდენ შემთხვევას უნდა ვმადლობდეთ, რომ საჭმელ-სასმელი და ჩასაცმელ-დასახურავი გვაქვს. თავის დროზედ მიწა რომ არ მოიხნას, თავის დროზედ წვიმა რომ არ მოვიდეს, ან ქარმა იალქნებს არ დაჭბეროს, ვინ იცის რამდენი ხალხი ამოწყდებოდა ამიშალით.

ჩვენ ყველანი რამდენსაც წუთს ჩუმად ვისხედით. ჩემს მშვენიერს მოწაფეს—დიაღ მე არაბელას ჩემს მოწაფეს ვეძახდი—სიბრალული და გაოცება ეტყობოდა და ეს უფრო უხდებოდა იმის ლამაზს სახეს. იმას ეგონა, რომ ტორონჭილი ჩვენს საცანჯველად კი არა, ხელის გასაძართავად მოსულიყო და უთხრა:

— მე ცოტა გაჯავრებული ვარ თქვენზედ, ტორონჭილ, რომ უჩემოდ მოხვედით აქა და არა მითხრით-რა ამ ოჯახის ყოფა-ცხოვრებაზედ, რომელიც ჩვენ ორივესთვის ძვირ-ფასია. თქვენ კარგად იცით, რომ ჩემთვისაც ისე სასიამოვნო იქნებოდა შემწეობა მიმეცა ჩემის პატივ-ცემულ მოხუცის მოძ-

დვრისთვის, როგორც თქვენთვის არის სასიამოვნო. მაგრამ მე გაკუოლობთ, რომ თქვენც თქვენს ბიძასავით სიკეთეს გუგარებიათ კეთილი საქმე.

— მაგას უეგარს კეთილი საქმე! შეეფეგორა უილიამმა და სიტეგა გაუწეგეტინა არაბელას. არა, ჩემო საყვარელო. მაგის სიამოვნებაც მაგასავით ულირსია. თქვენ მაგისთანა წაქცდარი ბ გარეგანილი კაცი თქვენს დეგში არ გინახავთ. მაგან შეაცდინა ამ საწყალის კაცის ეგოი ქალი, მეორესაც უბირებდა ნამუსის ახდას; მამა ციხეში დაამწყვდია და ძმას ბოგიალები გაუგარა ფესებში. რადგან თავის შეარცხვენილის დის გამოსარჩლება გაბედა. სწორედ ღირსი სარო მოლოცვისა. რომ მაგისთანა სიზიზღარ ქმნილებას სელში არ ჩაუარდით.

— ღმერთო, ნუ თუ ეგ მართალია! წარმოსთქვა არაბელამ. მე კი დამარწმუნა, რომ ამ მდვდლის უფროსმა შვილმა. კაპიტანმა ბრიმროზმა ჯვარი დაიწერა და ცოლით ამერიკაში გადასახლდა.

— ტეუილი უთქვამს, ჩემო საყვარელო, ტეუილი! მიუგო ჩემმა ცოლმა. ჩემი გეორგ ინგლისიდამ არსად არ წასულა და არც ცოლი შეურთავს. თქვენ თუმცა დაგვიწყდით. მაგრამ მაინც ისე უყვარხართ, რომ თავის დეგში სხვის შერთვას გულშიაც არ გაიკარებს. იმისაგანგე გამიგონია, რომ არაბელას გამო საუკუნოდ უცოლო უნდა დაგრჩეო.

ამ სიტეუვების შემდეგ ჩემმა ცოლმა აგვიწერა ჩვენის შვილის დრმა სიყვარული, ნამდვილი მიზეზი ტორნბულის დუელში გამოთხოვისა; მერე გვაიმბო ტორნბულის გარეგანილი ქცევის ამბები. იმის ტეუილი ჯვარის-წერა და ბოლოს ვგის სიტეუებით მოიხსენია იმისი უსინდისობა.

— ღმერთო ჩემო! წამოიძახა არაბელამ. უფსკრულის ნა-

ბირზედ ვფოფილვარ და კინალამ შიგ არ ჩავვარდი! რა სიცრუე, არ მითხრა. ამდენი მოსერსება კი ჭქონდა, დავეკერებინე. რომ ჩემს ბირობას იმ კაცთან, რომელიც ბირველად გადავიდა მას, ძალა ადარა ჭქონდა. ძაგისმა სიცრუემ შემაძულა იმათთანა სულდიდი და გულადი უმაწვილი კაცი.

ჩემის შვილისათვის ამ დროს ბორგილები აესხნათ, რადგან ის კაცი, რომელიც დაშრილი ეგონათ, თურმე ტრუობდა და სრულებით უგნებული იყო. ჯენკინსონი მსახურსავით მოსმარებოდა, ბირი დაებანინებინა და ისე მოერთო, რომ რიგიანს საზოგადოებაში შეეძლო თავის გამოჩენა. გეორგ შემოვიდა ჩვენს ოთახში, მშვენიერად ჩაცმული თავის ტორმის ტანისამოსში და კარგი ეს არის, რომ ამბარტავნობა არა ეტყობოდა-რა. ისე შვენოდა საამსედრო ტანისამოსი, რომ სხვა უმაწვილკაცს ძვირად დაშვენდება.

შემოვიდა თუ არა, შორიდამ ზდილობიანად თავი დაუკრა არაბელას. ჯერ იმან არ იცოდა, რა მოქმედება იქონია იმის დედის მწკვრ-მეტეველებამ იმ უმაწვილ-ქალზედ. წესიერების შეუფერებლობამ ვერ შეიძაგრა არაბელა, საშინლად შერცხვა და მოკრძალებით ითხოვა მიტევება. ტრემლებზედ, სახეზედ ეტყობოდა, რომ მეტადა სწუხდა, როგორ დაივიწყა თავისი დაბირება და რაგორ დაუკერა სიტყვა იმ მატყუარს. ჩემი შვილი გაცვიცარა ამ გვარმა არაბელას ქცევამ და ეგონა სიზმარში ვარო.

— სწორედ ოცნება უნდა იყოს ესა! ამბობდა იგი. რა დიაცი ვარ მე ამ ამბისა! ვინ მოიცა ამდენი ბედნიერება!

— არა, მე მოვატყუეს, მოვატყუეს უსინიდისოდ, ამბობდა არაბელა, თორემ ჩემს დღეში არ დავარღვევდი ჩემს ბირობას. თქვენ იცით, რაგორ დიდ-სანს მეგობრულის თვალით

გიტქერდით: დაივიწყეთ ჩემი სიავკაცე და მე მზა ვარ უწინდელებურად სასტიკის თვიცით დაგიმტკიცოთ ჩემი ერთგულება. დამერწმუნეთ რომ თუ არაბელა თქვენი ვერ გახდება, სხვა ქმარსაც თავის დღეში არ შეირთავს.

— თუ მე მამა-თქვენთან სიტყვა გამივა, სხვა ქმარს თქვენ არავინ შეგრთავთ; უთხრა უილიამმა.

ეს სიტყვები რომ გაიგო ჩემმა მოსეემ, მაშინვე გაექანა იმ სასტუმროსკენ, სადაც არაბელას მოხუცებული მამა იყო და ყოველისთვრი შეატყობინა, რაც მოხდა.

ტორნჭილი მიხვდა, რომ ყველასაგან თავ-დანებებული იყო და არც არავთვრი პირმოთნეობითა და სიცრუით გამოდიოდა; ითვიქრა, ისევ სჯობს სხვათვრივ მოვიქცე და ჩემს მოპირდაპირეებს წინ დავუდგეო. ნამუსიდამ სული აიღო და გამოაცხადა სრული თავისი ავ-კაცობა.

— მე ვხედავ, თქვა იმან, რომ აქ სამართალს ვერ ვეღირსები, მაგრამ თუ ამ გზით არა, სხვა გზით შაინც მოვნახავ.

მერე მიუბრუნდა უილიამს:

— იცოდეთ, ბატონო, რომ მე თქვენგან არავერს გამოველი და არც საჭირო გახლავთ. არაბელას ქონებასაც არა უჭირს-რა და, ღმერთმა დაუმადლოს, მაგის მამამ ისე მოახერხა, რომ იმ ქონებას ესლა ვერავინ შემოაცილებს. პირობა და თამასუქი სულ-მოწერილია და ჯიბეში მიწუკია: მე მაგის ქონებაზედ ვიწერდი ჯვარს, მაგაზედ ხომ არა; ერთი ხომ სულში მაქვს და მეორე ვინც უნდა წაიუვანოს!

ამ ამბავმა ყველას თავ-ზარი დაგვცა. უილიამიც მიხვდა, რომ ტორნჭილს ქონების ჩამორთმევის უფლება ჰქონდა; მზითვის ქალდადების გაკეთებაში ის გამოცდილი იყო. არაბელა-

მაც გაიგო რომ საუკუნოდ დაეკარგნა სრული ქონება, მიიხედა ჩემის შვილისკენ და ჰკითხა, სიღარიბე ხომ არ დამამცირებს თქვენს თვალშიო.

— ქონება კი წამერთვა, მაგრამ ჩემის გულის პატრონი მე კარ და ვისაც მინდა მივცემ, დაუმატა იმან.

— მეც თქვენის გულის მეტს არას ვეძებდი, მიუგო ჩემმა შვილმა. გეფიცებით, არაბელა, თქვენის ქონების დაკარგვამ უფრო მასიამოვნა. ესლა შემიძლიან დაგიმტკიცოთ, რომ ოჯველთვის წრფელის გულით მიყვარდით.

არაბელას მამა უილმოტიც შემოვიდა. ის ძალიან კმაყოფილი იყო, რომ იმისი ქალი გადურჩა საშინელს ბედსა და სრული თანხმობა გამოაცხადა მათის გაურისა; მაგრამ ძალიან შესწუხდა, როცა მიხვდა, რომ იმის ქალის ქონება სრულიად დაკარგული იყო და თამასუქით ტორინჭილისადმი ჩაბარებული. იგრძნო, რომ ეს ქონება ამდიდრებდა იმისთანა კაცს, რომელსაც თავისი აღარა ჭმონდა-რა. ის ბევრ არათერად შეიმჩნია, რომ თავის ქალის სასქმრო ავაზაკი გამოდგა, მაგრამ ქონების დაკარგვა კი გულზედ დაღად დაესვა. იჯდა რამდენიმე ხანი მეტად შეწუხებული, ვიდრე უილიამი არ ეცადა მის გამორკვევას.

— უნდა გაგიტუდეთ, უთხრა იმან, რომ ეგ თქვენი უბედურება ძალიან არ მაწუხებს; მაგით დაისაჯა თქვენი უზომო სიუკარული სიმდიდრისა. თუმცა თქვენს ქალს სიმდიდრე აღარა აქვს, მაგრამ იმდენი კი აქვს, რომ სიამოვნებით იცხოვრონ. აი ამ პატიოსანს ჯარის-კაცს სურს მაგისი უმზითვოდ შერთვა. მაგათ დიდი ხანია ერთმანერთი უყვართ და მეც ისეთი პატივსმცემელი ვარ მაგ უმაწვილის მამისა, რომ ვეცდები ეგ მალე წინ წავწიო. დანებეთ თავი პატივის-მოყვარეობას, რო-

მელმაც ხელი აიღო თქვენზედ და მოსჯიდეთ ხელი მაგ ბედნიერებას, რომელიც თითონაკე გაგეგდებათ.

— ბატონო უიღიამ, მიუგო ბერი-კაცმა. დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ მე ჩემის ქალიშთვის ჩემს დღეში ძალა არ დამიტანებია და არც ესლა დავატან. თუ მაგას ეს უმაწვილი-კაცი კიდევ უყვარს, ღმერთმა ორივ ერთმანერთს შეაბერაოს. დგთის მადლით ცოტა ქონება კიდევ დარჩენია და თუ თქვენ მოწყალე მეუოლებით, სიცოტავეს არად შეგიმჩნევ. მხოლოდ ამას გითხოვ, რომ ჩემმა ძველმა მეგობარმა — ეს რომ სთქვა ჩემსკენ მოიხედა — დაუმტკიცოს ჩემს ქალს ექვსი ათასი გირვანქა სტერლინგი, თუ თავის უწინდელი ქონება კიდევ როდისმე ხელში მოიგდო და ამაღამვე მზადა ვარ თანხმობა გამოვაცხადო.

ესლა ჩემზედ იყო დამოკიდებული ახალ-გაზდა ქალურმის ბედნიერება და მეც სიამოვნებით დავეთანხმე უილმოტს იმის თხოვნის შესრულებას; ეს დიდი თავ-გამოდება არ იყო ჩემის მხრივ, რადგან ქონების აღდგენის იმედი აღარა მქონდა.

გეორგ და არაბელა გაგაცნეს ერთმანერთს და გეორგმა აღტაცებით წარმოსთქვა:

— ეს ჩემის ტანჯვის სამაგიერო ჯილდოა, მაგრამ რა ჯილდო! სიზმარში კი წარმოვიდგენდი ამ ბედნიერებას?! როგორ გავუძღო ამ გამოუთქმელს სიხარულს იმდენის მწუხარების შემდეგ!

— დეე წაიღოს ჩემი ქონება იმ კაცმა! მიუგო იმისმა სიტოლომ. თუ შენ ბედნიერი იქნები, სიღარიბე ვერც მე შემაშინებს. ოჰ, ღმერთო, რა საზიზღარი ქმნილება მეავდა საქმროდ და როგორს კარგს და ძვირ-ფასზედ გავცვალე! ბედნიერი ვიქნები სიღარიბეშიაც, ბედნიერი!

— გარწმუნებთ, წარმოსთქვა ტორნჭილმა დაცინვით, რომ მეც არ მოვაკლდება ბედნიერება იმ ქონების წყალობით, რომელსაც თქვენ ესლა ეგეთის ცუდის თვალით უცქერით.

— მოითმინეთ, ბატონო, მეც მათქმევინეთ ორი სიტყვა; სთქვა ჯენკინსონმა. მაგ ქალის ქონებისა თქვენ ერთი გროშიც არ გერგებათ. აბა, თქვენ მიბძანეთ, ბატონო უილიამ, უფლება ექნება რამე ამ ბატონს მაგ ქალის ქონებაზედ, სხვაზედ რომ ჯვარ დაწერილი იყოს?

— ეგ რა საკითხვაა; რა უფლება უნდა ჭქონდეს!! მიუგო უილიამმა.

— ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, სთქვა ჯენკინსონმა. ეს ყმაწვილი-კაცი და მე ამსანაგები ვიყავით ჯერ ტოტა გულიცა მტკივა მაგისთვის; მაგრამ მეტი გზა არ არის, მაინც უნდა გამოვაცხადო, რომ არაბელას მამასთან შეკრულს პირობას არათერი ძალა არა აქვს-რა, რადგან ტორნჭილი ჯვარ-დაწერილია.

ტორნჭილი ამ სიტყვებზედ ძალიან გაცხარდა და წამოიძახა: სტყუი, შე არამზადა, სტყუი; მე ჯერ კანონიერად ცოლი არ შემირთავს!

— კიდეც ეგ არის, ბატონო, რომ შეგირთავთ; მიუგო ჯენკინსონმა. და მე მგონია, კიდევ უწინდელებურად მეგობრულის თვალით შემომხედავთ, თქვენი ცოლი რომ მოგგვარეთ. ბატარა ხანს მოითმინეთ და ესლავე აქ მოვიყვან.

სთქვა თუ არა ესა, კარში თავისებურად საჩქაროდ გავარდა და ჩვენ გაშტერებული დაგვაგდო. არ ვიცოდით, რას ნიშნავდა იმისი სიტყვები.

— დეე წავიდეს, ამბობდა ტორნჭილი; ვნახოთ, როგორ გამამტყუნებს! მე ბავშვი რადაა ვარ, რომ მაგისთანებმა შემაშინონ.

— არ ვიცი, რას ამბობს ის კაცი, სთქვა უილიამმა; ალბად უნდა უსვირო ხუმრობით გაგვაგვირვოს.

— იქნება, მართლა იცოდეს რამე, ბატონო; ვუთხარი მე. ბევრი ეშმაკობა მოუქმედნია ამ ვაჟ-ბატონს თავის სიცოცხლეში, მაგრამ იქნება გამოჩნდა ვინმე მაგაზედ უფრო თვალთმაქცი და შეაცდინა როგორმე. ვინ იცის, რამდენი დალუპა, რამდენს დედ-მამას გაუუბედურა შვილი, რამდენი უბედურება დაატეხა თავსა და რა გასაკვირველია, რომ რომელსაღმე მათგანს.... ოჰ ღმერთო! ეს ჩემი დაკარგული ქალი არ არის! ეს ის არის, ისა! ჩემი სიცოცხლე, ჩემი ბედნიერება! შვილო ოლივია, მე შენ მკვდარი მეგონე და აქ კი გხედავ, ცოცხალს, სულ-დგმულს მამი-შენის სასიხარულოდ!

გატაცებული სუფრელი ისე არ მიეგებება თავის სატრფოს, როგორც მე ჩავიკარ გულში ჩემი მკვდრად-გონებული შვილი, რომელიც ჯენკინსონმა შემოიყვანა. სასიხარულმა ოლივიას ენა ისე ჩაუგდო რომ სიწყალმა ქალმა ვერარაფერის თქმა ვერ მოასწრო.

— კიდევ დამიბრუნდი შვილო! ვამბობდი მე. კიდევ მოხვედი ბებერის მამი-შენის სანუგეშოდ! ნუ თუ შენ ოლივია ხარ?!

— ოლივიაა, თქვენი ქალი; მითხრა ჯენკინსონმა და გიჩვევთ, კარგად მიიღოთ, რადგან ეგ ღირსია თქვენის შვილობისა და კანონიერად ჯვარ-დაწერილიც არის. იცით, ბატონო ტორნჰილ, რომ ამ ქალზედ წესიერად ხართ დაქორწილებული? აი, თუ არა გჯერათ, ის ქალაღდიც, რომელშიაც თქვენის ქორწილის დღეა ჩაწერილი.

ეს რომ სთქვა, ქალაღდი უილიამს წარუდგინა; იმანაც წაიკითხა და სრულიად კანონიერად იცნო.

— მე ვხედავ, განგრძო ჯენკინსონმა, რომ ეს ამბავი გაოცებთ თქვენ, მაგრამ ორის სიტყვით აგიხსნით. ჩვენში კი დარჩეს და მაგ გამოჩენილ მებატონისთვის ბევრი სამსახური გამიწევია, რადგან მეგობრულის თვალით ვუცქერდი. მაგან, სხვათა შორის მომძინდო, რომ ტუილი მღვდელი მომენახა, ჯვარი დამეწერინებინა ამ ქალზედ და ტუილი ქალაღდი შემედგინა ქორწინებისა. მე ისე მიყვარდა იგი, რომ ტუილ მღვდლის მაგიერად, ნამდვილი მოგვეყვარე, ტუილ ქალაღდის მაგიერადაც, ნამდვილი შევადგენინე და ისე გადავწერე ჯვარი. იქნება გეგონოთ, რომ მე ამით კეთილის საქმის ჩადენა მინდოდა. სრულებითაც არა. ჩემდა სამარცხვინოდ უნდა გაგიტყდეთ, რომ მე მინდოდა ეს ქალაღდი ხელში მჭეროდა და მაგ ბატონისთვის მეცინობებინა, რომ თუ თვალს არ მოვცემდა, რადესაც კი დამჭირდებოდა, ამ ქალაღდს წარვადგენდი, საცა რიგია.

მთელს ჩვენს საზოგადოებას სახეზედ სიხარული გადაეფინა; ჩვენმა მხიარულებამ საზოგადო დარბაზამდე მიაღწია და თვით ტუსაღებსაც კი დაეტყო:

«ჩვენს სიხარულსა ხმა მოსცა მათ ჯაჭვთა ჩხარუნმა.»

უკეღას ბედნიერება დაეტყო ჯ თიოქმის ოლიკიასაც სიამოვნებამ ლოყებზედ სიწითლე მოჰგვარა. უეცრად ეღიარა მას უწინდელი ხასალი, მეგობრები და ბედნიერება და ამ ამბავმა შეჰყარა მისი ავად-მყოფობა და მიანიჭა ჯანის სიმრთელე და სიცოცხლე. მაგრამ იმ სალხში მგონი ჩემისთანა სიამოვნება არავის არ უგრძვნია: ჩემი ძვირ-იფასი შვილი გულში ჩაკრული მუკვდა და კიდევ არა მჯერდა რომ სიზმარში არ ვიყავი.

— ენა რაგორღა მოგიტრიალდა, ვუთხარ მე ჯენკინსონს, რომ ჩემს ტანჯვას კიდევ ამის სიკვდილის ამბავიც ზედ და-

ურთე? მაგრამ არა უშავს-რა. რაც მე ესლა ამის პოვნით სიამოვნება ვნახე, სრულებით საკმარისია ჩემის მწუხარების საზღვევლად.

— მაგის პასუხს ადვილად მოგახსენებთ, მითხრა ჯენკინსონმა. მე მეგონა, რომ თქვენი დახსნა ციხიდამ მხოლოდ ერთის გზით შეიძლებოდა: დამორჩილებოდით ტორნჭილს და დათანხმებულიყავით იმის ქორწილს ბატონ უილმოტის ქალთან. მაგრამ თქვენა ბძანეთ, რომ ვიდრე ჩემი ქალი ცოცხალია, მაგას არ ვიზამო. მეტი ღონე არ იყო, უნდა თქვენის ქალის სიკვდილი მომეგონა. თქვენი ცოლიც მოვიყოლიე და ის ამბავი დავაჯერეთ. მხოლოდ დღეს მოგვეცა შემოხვევა ნამდვილის ამბის გამხელისა.

ჩვენ შორის მხოლოდ ორის სახეს არ დაეტყო მხიარულება. ტორნჭილს დაეკარგა თავისი მედიდური შესედულობა, კარგადა სედავდა რა შერცხვენისა და სიღარიბის მორევში უნდა ჩამხდარიყო იგი და შიშმა აიტანა. დაიჩოქა თავის ბიძის წინ და საბრალოს ხმით შეწყალებას ევედრებოდა. უილიამს ჯერ უნდოდა ზურგი შეექცია, მაგრამ ჩემს თხოვნას პატივი სცა, ზეზედ წამოაყენა და პატარა ხანს უკან უთხრა:

— შენ ისეთი დამნაშავე, უმადური და ბიწიერებით სავსე ყოფილხარ, რომ არა ხარ ღირსი შეწყალებისა; მაგრამ სრულებით უეურადღებოდაც დაგდება არ შეიძლება; მე იმდენს მოგცემ რომ საცხოვრებლად გეყოფნიდეს და სიფლანგვად მოცემის იმედი კი ნუ გაქვს. ამ ქალს, შენს ცოლს, კაძლევ მესამედს იმ ქონებისას, რომელიც შენ გეკუთვნოდა და თუ მოგცემს რასმე მეტს, იმან იცის.

ტორნჭილს უნდოდა მადლობა გადაეხადა, მაგრამ უილიამმა გაჩერა და უთხრა, ნუღარ იმცირებ უამისოდაც დამცირე-

ბულს თავსაო. მასუკან უბძანა, ესლა კი წადი და შენს მსა-ხურებში მხოლოდ ერთი ამოიჩიე, რომელიც საუკეთესოდ გეგულებოდესო; მხოლოდ ერთის უოლის ნება გაქვსო.

გავიდა თუ არა ტორნბჭილი, უილიამი მივიდა მხიარულად თავის რძალთან და მიულოცა. იმის მაგალითს უილმოტის ქალმა და თითონ უილმოტმაც მიჭბაძეს. ჩემმა ცოლმაც სიყ-ვარულიანად გადაჭკოცნა ოლივია. ესლა კიდევ ბატიოსანი ქა-ლი გახდიო. ჩემს ცოლს მიჭყვნეს მოსე და სოფიო. ჯენკინ-სონმაც კი მოწიწებით გვთხოვა, მეც მომეცით ნება მივუ-ლოცოო.

ჩვენს სიამოვნებას მომატება თითქმის ადარ ეტირვებო-და. უილიამს ისე არა უყვარდა-რა, როგორც კეთილი საქმე და ესლა ის გარ-შემო მზესავით მხიარული იცქირებოდა და უველგან მხიარულებასა ჭხედავდა; მხოლოდ სოფიოს რადაც დარდი ეტყობოდა და მიზეზს კი ვერ მიმხვდარვიყავით.

— მგონი ესლა უველანი კმაყოფილნი არიან, გარდა ერთის თუ ორისა; თქვა უილიამმა ღიმილით. ახლა მეც უნდა სი-ბეთე გავდამიხადოთ.

მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— თქვენ მოგეხსენებათ, ბატონო, როგორ დავალებულნი ვართ ჩვენ ორნივე ბატონ ჯენკინსონისაგან და სამაგიერო უნ-და მივუძღვნათ. მე მგონი მაგას თქვენი ქალი სოფიო დიდად გააბედნიერებს; მეც ხუთასს გირვანქა სტერლინგს მივცემ მზითვად და იცხოვრებენ სიამოვნებით.— რას იტყვით, სო-ფიო, ამ ჩემს განზრახვაზედ. შეირთავთ ჯენკინსონს, თუ არა?

ეს საშინელი ამბავი რომ გაიგო ჩემმა საწყალმა ქალმა, მოეხვია თავის დედას და წაიღუღღუღა:

— ეგ უნდა შეკერთო! თავის-დღეშიაც არა.

— როგორ თუ არა! გაიკვირვა უილიამმა. ჯენკინსონი თქვენი დამსსნელია, ახალ-გაზდა, კარგის სახისა, ხუთასი გირვანქა სტერლინგი ექნება და კაი ბედ-იღბალი.

— მე გთხოვთ, ბატონო, ძლიგს წარმოსთქვა ჩემმა ქალმა, მაგას ნუღარ მეტყვით, ნუ მოინდომებთ ჩემს უბედურებას!

— ნუ თუ მართლა უარს ეუბნებით იმ კაცს, სთქვა კიდევ უილიამმა, რომლისაგანაც თქვენი ოჯახი საუკუნოდ დავალებულია, რომელმაც თქვენი და დაიხსნა და რომელსაც ხუთასი გირვანქა სტერლინგი აქვს?! მართლა უარს ამბობთ?!

— არა, ბატონო, არას დრეს, მიუგო სოფიომ უკმაყოფილოდ. სიკვდილი მირჩევნია მაგის ქმრობასა!

— რა კი ეგრეა; სთქვა უილიამმა. თუ ჯენკინსონსა სწუნობ, ისევ მე უნდა წაგიყვანო.

ამ სიტყვაზედ გულთან მიიკრა სოფიო და წამოიძახა:

— ოჰ ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო! როგორ დაიჯერე, რომ შენი ბორჩელი გიღალატებდა; ან უილიამ ტორნჭილი თავს დაანებებდა იმისთანა ქალს, რომელსაც უყვარდა იგი მხოლოდ იმის გულისთვის. ვინ იცის რამდენი წელიწადი ვეძებე იმისთანა საცოლო, რომელსაც არა სცოდნოდა ჩემის შეძლების ამბავი და ისე შეგეყვარე. ბევრი ვეძებე ტუალად თვით მაზინჯებსა და სულელებშიაც კი და წარმოიდგინეთ ჩემი ალტაცება, რომ ბოლოს ამისთანა ჭკვიანსა და ანგელოზსავით მშვენიერს ქალს მივაგენ.

მერე მიუბრუნდა ჯენკინსონს და უთხრა:

— მე ამ ქალს ესლა ვეღარ გავეყრები, რადგან ცოტითი მოგეწონე, და თქვენთვის მაგის სამაგიეროდ მომიცია მხო-

ლოდ მაგის ქონება. ხვალვე ჩემი საზინადარი თქვენ ხუთასს გირვანქა სტერლინგს ჩაგაბარებთ.

ჩვენ ხელ-მეორედ დავიწყეთ მილოტვა და უილიამ ტორნჭილის სატოლოსაც ისე მივულოტეთ, როგორც იმის დას. ამ დროს შემოვიდა უილიამის კაცი და შეგვატყობინა, ეკიპაჟები მზად გახლავან, სასტუმროში წამობძანდით და იქაც ყოველის ფერი მომზადებულია თქვენს დასაბინავებლადო.

მე და ჩემი ცოლი წინ წავუძღით სხვებსა და დავტოვეთ ის ბნელი და სატანჯავი სადგური. კეთილმა უილიამმა ორმოცი გირვანქა სტერლინგი დაურიგებინა ტუსაღებს; უილმოტმაც მიჭბაძა იმის მაგალითს და ოცი გირვანქა სტერლინგი იმანაც გასცა.

გარედ, იმ ქალაქის მცხოვრებთ დიდის სიხარულით მიგვიღეს და მეც ძალიან მიამა, რომ მათ შორის ორი თუ სამი ჩემი სულიერი მოწაფე ვნახე. უველანი წამოგვყვნენ სასტუმროში, სადაც ჩინებული სუფრა იყო ჩვენთვის მომზადებული და ხალხისთვის ბლომად საჭმელ-სასმელი.

ვახშმის შემდეგ დაღალულობა ვიგრძენ, რადგან მთელი დღე მაღელვებდა ხან სიამოვნება, ხან მწუხარება. ბოდიში მოვითხოვე, მინდა დავისვენო-მეთქი, დავტოვე ისინი მხიარულად და რამწამს მარტო დავრჩი, გამოვსთქვი გულითადი მადლობა სიხარულისა და მწუხარების მომნიჭებელისადმი და ტკბილს ძილს მივეც თავი მეორე დილამდე.

თავი XXXII

ბოლო.

მეორე დიდას რომ გამოვიღვიძე, ვსახე, ჩემი უფროსი შვილი გვერდით მომჯდომოდა და კიდევ რაღაც სასიამოვნო ამბავი მოეტანა ჩემთვის. ჯერ გამათავისუფლა გუშინდელ ეჭვსი ათას გირვანქა სტერლინგის დაბირებისაგან და შემდეგ მითხრა, ის ვაჭარი, რომელსაც თქვენი ქონება გაბარა და გაკოტრდა, ანტვერპენში დაუჭერიათ და გამოჩენილა, რომ უფრო მეტი შეძლება ჭქონია, ვიდრე ვალი. მე ეს მოულოდნელი გამდიდრება ისე არ მიამა, როგორც ჩემის შვილის სულდიდობა, მაგრამ ვეჭვობდი, არ იქნება კარგი ჩემის შვილისაგან ეს საჩუქარი მიგიღო-მეთქი. ამ თვიქრში რომ ვიყავ, შემოვიდა უილიამი და ჩემი ოჯუმანობა შეკვატობინე. იმან მითხრა, რა კი თქვენს შვილს თავის ცოლის მზითევიც ბევრი აქვს, უნდა მიიღოთ ეგ საჩუქარიო. მე კი იმისთვის შემოვედი, რომ დღეს დილითვე უველანი გაგვაბედნიეროთო. ჩემს ქალაღდებზედ კაცი გავგზავნე და ძალე მოვეღიო. ამ დროს ერთი მსახური შემოვიდა და შეგვატყობინა, გაგზავნილი კაცი დაბრუნდა და ქალაღდები მოიტანაო. მეც მზად ვიყავი და მაშინვე ჩავედით ბირსა. იქ უველანი მხიარულად იყენენ, როგორც შეჭეფერის კმაყოფილებასა და უმანკოებას. მე მხოლოდ ეს არ მომეწონა რომ მძიმე საქმისათვის ემზადებოდენ და იტინოდენ, ხარხარობდენ კი. ავუხსენ მათ რომ რიგიანად და წესიერად უნდა იდგეთ ამ საიდუმლოების ასრულების დროსა-მეთქი და მათის გონების მოსამზადებლად წა-

ვუკითხე ორი სიტყვა და ერთი სჯა ჩემგან შეთხზულნი ამ გვარსავე შემთხვევისათვის; მაგრამ მაინც ვერ გავწვრთენ იგინი და ვერ დავამშვიდე. საყდარში რომ წავედით, მაშინაც კი უმართებულოდ იქცეოდენ და ხშირად განრისხებული შემოგიხედავდი ხოლმე უკან, რომ დაჩუმებულიყვნენ.

საყდარში ახლა სხვა გაჭირება დაგვხვდა და არც ადვილად თავიდამ ასაცილებელი იყო: რომელ ტოლ-ქმრისთვის უნდა დაგვეწერა ბირველად ჯვარი? ჩემი სარძლო ამბობდა, რომ მოთავეობა უფრო უილიამ ტორნჰილის მეუღლეს ეკუთვნისო; მაგრამ ესეც უარზედ იდგა და ამბობდა, ქვეყანა რომ დიმითმოთ, აგრე უზღვლად არ მოვიქცევიო. ორივ თავ-თავიანთის სიტყვაზედ იდგნენ და არას გზით არ აბირებდენ გადათქმას. მე ამ ტილაობის დროს გადაშლილი წიგნი მეჭირა ხელში და რომ დავიღალე, შეეკეცე და ვთქვი:

— მე როგორც ვატყობ, არც ერთი ჯვარის-წერას არ აბირებთ და უკეთესი იქნება ბინაზედ დავბრუნდეთ. დღეს საქმე არა გაკეთდება-რა, ასე სჩანს.

ამ სიტყვებმა ისინი გონზედ მოიყვანა: ჯერ უილიამმა და იმისმა ცოლმა იქორწინეს და მათ მოჰყვა ჩემი შვილი ბეორგ და იმისი საყვარელი საცოლო.

ამ დილითვე ჩემს მეზობელ ფლამბოროსთან ეკიპაჟი გავგზავნე მოსაყვანად და როდესაც სასტუმროში მივედით, დიდად გვიამა, რომ ფლამბოროს ქალები კიდეც მოსულიყვნენ. უფროსი მათგანი ჯენკინსონმა შეირთო და უმცროსი მოსეს. მასუკან დავატყე, რომ მოსეს მართლა შეუყვარდა ის ქალი და ამ კეთილის გულის გამოჩენისათვის, მე მზა ვარ ოთხეულისეურით ხელი გავუმართო მას, როდესაც კი დასჭირდება.

ჩემს სამრეკლოსაც გაეგო ჩემი ბედნიერება და როდესაც

სასტუმროში გადავედით, მოვიდენ მოსალოცავად. მათ შორის იყვნენ ისინიც, რომელთაც უნდოდათ უწინ ჩემი გამოხსნა და ისე სასტიკად გვეცხა. ის ამბავი მე უილიამს, ჩემს სიძეს ვუთხარი; გავიდა და იმანაც ძალიან დასტუქსა, მაგრამ რა ნახა, რომ ამ გაიცხვამ ისინი დაალონა, ნახევარ-გინეა მისცა, ჩემი სადღეგრძელო დალიეთ და გამხიარულდითო.

პატარა ხანს უკან მშვენიერს სადილს შევექეცით, რომელიც ტორნჭილის მზარეულს მოემზადებინა. ბარემ ეხლავე ვიტყვი, რომ თითონ ტორნჭილი ერთის თავის ნათესავის სახლში დადგა და იმ ნათესავს ძალიან შეჭყვარებოდა, თავის გვერდიდამ არ იშორებდა და თითქმის შინაურულად ექცეოდა. ტორნჭილის საქმე სულ ეს იყო, რომ ნათესავს დროს ატარებინებდა, რადგან იმ ნათესავს ხშირად დარდები დაწვებოდა ხოლმე გულზედ, და ღორღოტოტოს დაკვრას ასწავლიდა. ჩემი უფროსი ქალი მაინც ამას ხშირად ნაღვლიანად იგონებს ხოლმე და ერთხელ კიდეც გამიტუდა საიდუმლოდ—და ეს საიდუმლო არც მე დამირღვევია—რომ, თუ დაიშალა ტუდი ყოფაქცევა, მზადა ვარ ვაპატიოთ.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ამბავს და გადახვევ-გადმოხვევას თავი დავანებოთ.

პურის საჭმელად რომ ვსხდებოდით, იქაც ტერემონიებს მოვუფეთ. დაიწყეთ იმაზედ ტილაობა, ჩემი უფროსი ქალი უნდა თავში დამჯდარიყო, თუ არა; მაგრამ ეს ტილაობა გეოორგმა მოსპო და სთქვა, როგორც მოგვიხდეს ისე დავსხდეთ; ყველანი თავ-თავიანთ ტოლებს მოუსხდენ გვერდითა. ეს ყველას მოგვეწონა, გარდა ჩემის ტოლისა, რომელსაც იმედი ჭქონდა, პირველს ადგილს დამსმენ და საჭმელსაც მე დავარიგებო. ყველანი მეტად გავმხიარულდით. არ ვიცი ჩვეულებრივ-

ზედ მეტად ვოხუნჯობდით, თუ არა, ეს კი ვიცი რომ სიცილით ბევრი ვიცინეთ და ოხუნჯობას რას დავდევდით. ერთი სასაცილო ამბავი დამახსოვდა. უილმოტმა დალია სადღეგრძელო მოსესი, რომელსაც თავი მეორე მხარესა ჭქონდა მიშვერილი; მოსემ მიუგო: მადლობას მოგახსენებთ ქალ-ბატონო. უილმოტმა გვანიშნა, რომ ალბად მოსე ამ დროს თავის საყვარელზედ ჭფიქრობდაო. ფლამბოროს ქალები კინაღამ დაიხოცნენ სიცილით ამ ხუმრობაზედ. სადილი რომ გავათავეთ, ჩემის ჩვეულებისამებრ სტოლი მეორე ოთახში გავატანინე; მინდოდა ჩემი სახლობა კიდევ მსიარულ ბუხართან თავ-მოყრილი მენახა. ჩემი პატარანები მუხლებზედ მისხდენ და ახალ ჯვარდაწერილებიც ერთმანერთს მოუსხდენ.

მე საჭიროს აღარა მენატრებოდა-რა მეტი, ჩემი კმაყოფილება ენით არ გამოითქმებოდა. ესლა მეჯირვებოდა მხოლოდ რომ ჩემი მადლობა ამ ბედნიერებისათვის აღმატებოდა იმ მოთმენას, რომელიც მე უბედურებაში გამოვიჩინე.

გაუბედავი სიყვარული.

ათი წელი,
მწარედ მწველი
გულს მიდაგავს ტრფიალება!

და უბრალოდ,
სავალალოდ
ჩემს გულშივე იმალება !!!

მიძგერს გული,
აგზნებული,
მაგრამ გონი მიბამს ენას.

მისის სხივით
სანთელივით
ვსდნები ლ თანც ვმადლობ ზენას!!

თუ ისიც მცნობს
და ისიც გრძნობს,
ჩემებრ იწვის უხმოდ ერთი...

მაშ, ოხ, ღმერთო,
რად წაგვერთო
ჩვენ კავშირი შემაერთი ?!

ლექსი

ვიცი, გზნობის
ნამდვილ გრძნობის
ნიშანია მდუმარება,

ცხადად ტკბილი
რამ ღიმილი,
ჩუმად ცრემლი, მდუღარება.

მაგრამ მაინც
მეტრფის მე ვინც,
მსურს, რომ ერთხელ გამაგონოს:

«შენ ჩემი ხარ!
«გულს მიზიხარ!»
მითხრას ეშხით... დამადონოს !!

ორთავ ვიცით,
თვიცით მტკიცით
გრძნობა ჩვენი შეგვიტყვია!

თუმც კი ვხედავთ,
თქმას ვერ ვბედავთ,
გულზედ გვაწვს, როგორც ტყვია!

ათი წელი
მეტად მწველი
გულში გვაქვს ეს ნეტარება!...

ვუგდებთ რა ყურს,
ორივეს გვსურს
და ვერ გვითქვამს აღსარება!...

აკაკი.

1873 წ.

მოკლე განხილვა სლავიანების ეროვნებათა აღორძინებისა.

«... ცხადია, რომ საჭირო იყო ხალხის ცხოვრების შესწავლა და მისი დაცვა, რადგან ეს არის წყარო ნორმალურ, ნაციონალურის ცხოვრებისა. რაც უნდა პატარა იყოს ეროვნება, იმას აქვს თავისი ზნეობითი უფლება, და ეს უფლება არის საუკეთესო დამრიგებელი და წყარო, როგორც ზნეობისა ისე პოეზიისა.» (Н. Пыпинъ и В. Спасовичъ. «Исторія славянскихъ литературъ.» Т. II, стр. X. Спб. 1881 г.)

ბევრი რამ შესანიშნავი სდება, მკითხველო, ჩვენს დროში. მეცხრამეტე საუკუნის ცხოვრების მოუსვენარი ზღვა თან-და-თან მატულობს და შმაგდება. მისი აგორებული და ამღვრეული ტალღები თან-და-თან მომეტებულის მრისხანებით და ძალით ეჯახება საკუთარ ზღუდეებს და ეთართოებს მათ, რადგან მათში ვეღარ ეტევა. ღამის ამ ზღვამ ჩვენც ჩაგვითრიოს და ან ჩაგვულაბოს, ან გაგვაგდოს უკეთესს ნაპირებზედ;— არა თუ ჩვენ, მგონი განთქმული ჩინეთის კედლებიც მალე შეღეწოს. ამისთანა მოგლეშის დროს ხელს არ მოგვცემს ლუარსაბიანით ტახტზედ გორაობა და პატივ-ცემულის ღიმის ზელა; მტანარობა ადარ გვარგია; უნდა მივიხედ-მოვიხედოთ, თვალები მოვიფშვნიტოთ, ჩვენს თავს ანგარიში მივსცეთ ოდესღა თვალ-საჩინო მოგლისებაში, ოდესღა საზოგადო მოძრაობაში,—რომ ჩვენც შევიმცნათ რამე მაგალითებით, გამოვიყენოთ სხვის შეცდომა ან გამარჯვება, გავიგოთ, და შევირგოთ

სხვა სალხის კარგი გრძნობა, აზრი და აღმოვფხვრათ ჩვენში რაც კი ამის საწინააღმდეგო და ამასთან შეუთავსებელია. სხვისი კარგი მაგალითი ჯერეასაც გვასწავლის და იქნება იმედებიც გაგვიცხოველოს.

დიდი სანი არ არის რაც რუსთ-ოსმალთა ომი გათავდა. ამ ომს ჩვენთვის უმნიშვნელოდ არ ჩაუვლია: მას შემდეგ ჩვენ შემოგვიერთდა ისტორიის იღლით დიდის ხნით ჩვენზედ დაშორებული ჩვენისავე ტომის სალხი. მგონია ესეც საკმაო იყოს, რომ აღიძრას ჩვენში სურვილი გასგიხილოთ, რა მიზეზმა და რა ძალამ გამოიწვია ეს მოკლენა, რომელსაც, ჩვენის ძმების ჩვენთან შემოერთება მოჰყვა. მეც ამ შემოხვევას არ დავკარგავ და გაკვრით გადავალებ თვალს სალვიანების ბატარა ერთეულებათა ისტორიას და მათ აღორძინებას.

არც ერთი შესანიშნავი ისტორიული მოკლინება არ იბადება, ასე ვთქვათ, არ ითვეთქს უეცრად, მოულოდნელად. თუ კაცი თვალს დაკვირვებს, ადვილად შენიშნავს, რომ ყოველ თვალ-საჩინო ისტორიულ მოძრაობას წინ-უსწრებს ხანგრძლივი და ნელი დამზადება და დაგუბება იმ ნაწულულევან ბალღამისა, რომელიც სიმწიფის დროს წარმოხეთქს და სწმენდს საზოგადობრივ გვამს და ხან კიდეც სისხლისაგანა სცლის მას. სალვიანების უკანასკნელი მოძრაობა ამას ცხადად გვიჩვენებს. რამოდენიმე საუკუნე სალვიანთა ერთეულებანი ერთის მხრით გალეწილნი და გასრესილნი ოსმალთაგან და მეორეს მხრით ნემეცებისაგან განგმირულნი საცოდავად მცოსარეობდენ. ისინი შეიქნენ დამცირებულნი, გვარ-ტომობის შეგინებულნი, მაღალ ჯ განათლებულ წოდებას მოშორებულნი; ეს უკანასკნელი შემოხვევა მათთვის არ იყო საშველავთო არც ეკონომიურად და

ზნეობის მხრითაც ხომ მეტის-მეტად სავნო იქნებოდა. უამმა-დალწოდებოდ მათი ტკვინის მოძრაობა და მუშაობა მოისპო, მათი ტკვინის საუნჯე თითქო გაქარწყლდა.

სლავიანების ჩუმი დამორჩილება არა ნიშნავდა სიკვდილს: ხალხი ცოცხლობდა და ლაპარაკობდა თავის ენით; თვით-არსებობის გრძნობა ვერ მოისპო და თხოულობდა თავის დაცვას ბუნების კანონისა-მებრ. მაგრამ ეს ძლიერ საძნელო იყო სლავიანებისათვის იმ დროს, როცა მათ აწვათ კისერზედ ოსმალების ჯაპანსაწყვეტი უღელი და ნემეცების ნაციონალური პოლიტიკა, რომელ ისინი იყვნენ წვრილ-წვრილად დაკუწულნი და გამაცხოველებელ აზრს მოკლებულნი. ბოლოს ეს აზრი ერთად შეკავშირებისა, მსარი-მხარს მიცემისა, გვარ-ტომობის ნათესავობისა დაიბადა მათში ამ საუკუნის დასაწყისს. გაიზარდა, ხალხს სული ჩაუდგა და მიძინებულ ძალას თერთები შეასხა.

ეს აზრი წოდებული პან-სლავიანობად (ყოველ-სლავიანობა, ანუ უმეტ ესთქვათ ერთ-სლავიანობა) ქადაგობდა ერთი-ერთმანერთის დახმარებით სხვის უღელისაგან თავის დახსნას, მერმე თავისუფლად შეკავშირებასა და ერთის სლავიანურ ოჯახის შედგენას. ეს აზრი ტკვინში გაეთქვიფათ არა თუ მარტო სლავიანების პატარა ერონებათა, არამედ დიდი თანაგრძნობა მოიპოვა თვით რუსეთშიაც. სლავიანების პატარა ერონებათ გაუღიმა იმედმა და ზნეობითი ძალა მისცა; დაიწყეს მათ შმაშური და მოქმედება; შეიქნენ უფრო მგრძნობიერი თავიანთ ტომების დამცირებისა და შეურაცხ-ყოფისა; მწვავად ესმოდათ, რაგორ ცუდად ეპურობოდა სხვა ტომის ხალხი მათ, რაგორ მტარვალობდა.

შესანიშნავი თვისება თვით-შეგნებისა ეს არის, რომ კაცი ხდება მგრძნობიერი; ყოველისფერი, რაც კი მას შეეხება,

სტოკვებს ნიშანს მის გულსა და ტკივნში. მისი ტკივნი გაჯრ-ეკვეს ყოველს მოგლეჯნას, მოინელებს და აქცევს მას თავის სიცხლად და ხორცად. მტერს ავის თვალით შესდავს, მოყ-ვარეს დაუმეგობრდება, ერთის სიტყვით გულ-გრილობას ველარ ასერხებს.

სლავიანები დიდი ხანია ვედრებით შეჰყურებდენ თავის ძალა-მოსილს ძმას რუსეთს და ელოდენ მისგან შემწეობას; ჯ როცა შეძრწუნებულნი და ათას-გვარ წვალებით გაბოროტე-ბულნი წამოდგნენ თავის დასაცველად, ისე რიგად ჰქონდათ რუსეთის გული მოგებული, ისეთი თანაგრძნობა ჰქონოვეს მთელს რუსეთში, რომ თითქმის საეჭვო აღარ იყო, რუსთ-მმართებ-ლობა გაერევოდა მათს საქმეში. დიდი, ბატარა, მოხუცი, ქა-ლი. კაცი, ყოველი წოდების და ქონების კაცი შეირყა რუსეთ-ში და ხმა მოსცა თავიანთ მოძმის გულ-ნატკენ ბლავილს. გა-გმირულის ხალხის დასაცველად ისინი არ ზოგავდენ არც ფულს, არც სიცოცხლეს; ათასობით მიეშურნენ მათ რაზმში ჩასარეკად და მათის წმინდა საქმისათვის საბრძოლველად. მრ-თალია, ბევრი მაგანი იღვწოდა მხოლოდ თავის სვავურის მადის დასაკმაყოფილებლად, ზოგს უნდოდა თავისი თავი მბრძა-ნებლად ენახა და თავისი მხეცური ბუნება გამოეჩინა, მაგრამ საეჭვო არ იყო, რომ უმეტესი ნაწილი გამოვიდა წრფელის აზრით და გულით სალხის საქმისათვის თავ-დასადებად: ერ-თის მხრით გამოვიდენ განათლებული უმაწვილი-კაცები, რო-გორც დოლმატოვი, ერუშენკო, ვასილენკო,—მეორეს მხრით მუდამ კეთილი და უმზაკვრო უბრალო ხალხი. თითქმის მთე-ლი რუსეთი საკვირველის ერთის სულით და გრძნობით იყო მოცული და ერთ-რიგად უცემდა მაჯა. რუსთ-მმართებლობას აღარ შეეძლო გულ-გრილად ეცქირა ამ საზოგადო აღტაცები-

სათვის, და საზოგადოებისაგანვე ზნეობით გამაგრებულმა მიჭ-ყო ხელი ამ დიდ საქმეს. იშვიათად მოხდება ხოლმე ესეთი თანაგრძნობა მმართებლობისა და საზოგადოების შორის ომიანობის დროს.

როგორც თვით მეომრები, ისე ლიტერატორები მისდევდენ ორს სულ სხვა-და-სხვა მიმართულებას. ზოგნი მათგანნი იუ-ვნენ გატენილნი დაობებულ ბიზანტიურ აზრებით, ნისლიან ფრაზებით და რაღაც ახირებულ ნაციონალურის თვალით უტ-ქერდენ თავიანთ ასპარეზს. ეს მიუწვეველად სლავიანთა ფეხ-ზედ დამყენებელნი ახირებულად ჩემობდენ იმ მამების მტნების შენახვას, რომელთაც ბირველად გამოადგიმეს სლავიანობა; და ჩემობდენ იმიტომ რომ ერთმა მოსკოვის სწავლულების პატა-რა გროვამ — ძმებმა კირეიევსკებმა, ხომიაკოვმა და მერმე აკ-საკოვმა—გაატნო რუსის საზოგადოებას სლავიანთა გამოჩე-ნილ მწერლების—დობროვსკის, იუნგმანის, შაფარიკის, პო-ლაცკის, კოლლარის და სხვათა თხზულებანი და ნაწარმოებნი და ამ მოსკოველმა მწერლებმა ჩაუდგეს სული ხსენებულს ბირ-ველს მიმართულებას.

რაღა ლაპარაკი უნდა რომ ამ გვარი შრომა მოსკოვის სწავლულებისა, სლავიანოფილებისა— იქნებოდა დიაღ პატივ-ცემული და ისინი რომ მხოლოდ ამ გზას დასდგომოდენ, სცდილობენენ მხოლოდ სლავიანების განვითარებას და მაგრად მოეჭიდნათ ხელი ეგრეთნაულ მეცნიერებისათვის,—მაშინ ისი-ნი დაიმსახურებდენ თანაგრძნობას ყოველ პატიოსანის და ეკ-თიელ-მოაზრე კაცისას. მაგრამ. საუბედურად, მათ ეს ტოტსა-ლი აზრი გაახვიეს ნაციონალურ ვიწრო სუდარაში და უკმიეს მისტიციზმის სუმეველი. მის მაგივრად, რომ მოეკიდათ ხელი სლავიანების უფლებისათვის, სცდილობენენ მათის დამოუ-

ჭიდებლობის ადგენას, მათს ლიტერატურის შემუშავებას,— მოსკოველმა სლავიანოფილებმა დაიწყეს ლაპარაკი სლავიანების რაღაც ისტორიულ მისიაზედ — წარმოგზავნილობაზედ, რომელმაც უნდა განაახლოს მთელი ქვეყანა; ისინი ჰფიქრობდენ რომ რუსის ხალხი თვით განგებისაგან უნდა იყოს მოწვეული დედა-მიწაზედ ახალის აზრის ჩასანერგებლადა. ამ გვარ ქადაგებით გატაცებულმა სლავიანოფილებმა უარ-ჰყვეს დასავლეთ-ევროპის განათლება. ისინი ამბობდენ: «დასავლეთი დალპა, გაირყვნა, თავის დრო მოსწყამა, დაჭირხანდა ათას ნაირი სენით: რაციონალიზმით (ესე იგი გაუგებარ აზრების არ მიმდევრობით), ულმერთობით, დემოკრატიზმით (მებატონეების და მტარვალების უარ-ყოფით.) მათ არ უყვართ მმართებლობა, სურთ ეკონომიური თანასწორობა; ერთის სიტყვით დასავლეთელები დაჰგლეჯენ ერთმანერთს და დაიღუპებიან, თუ...» თუ არ მოეშველებიან მათ სლავიანები, ის სლავიანები, რომელნიც არიან სარწმუნოების ბურჯნი და იმყოფებიან მმართებლობის შიშსა და კრძალვაში, რომელსაც საშუალო საუკუნოების უმოქმედობა და უდარდელობა საისხლში აქვს გამჯდარი და პოლიტიკურ უფლებების დარდი თავს არ უტკივებს.

ადვილად გასაგებია, რომ რა კი სლავიანოფილებმა დაიმკვიდრეს ეს აზრები და შეხედულობა, უნდა თავიანთი იდეალი წარსულში მოეძებნათ, დაეხიათ უკან და თავისთან საზოგადოებაც მიეწვიათ, მაგრამ, სიბედნიერად რუსებისა და სლავიანებისა საზოგადოებამ მათ ქადაგებას დიდი ყურადღება არ მიაქცია-რა და მათი ხმა დარჩა ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა. სლავიანოფილები დარჩნენ მარტოდ და თუმცა ზოგნი მათგანნი იყვნენ დიდის ნიჭის პატრონნი და წრფელის გულისანი, მაგრამ იდგნენ გარეშე იმ საზოგადოებისა, რომელსაც სურ-

და ევროპიულად განვითარება. ნიჭიერმა სლავიანოფილებმა— კირეიევსკებმა, იური სამარინმა, გილფერდინგმა— შეიმუშავეს, შეისწავლეს სალხის ლიტერატურა და მისი ყოფა-ცხოვრება, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მიუწვევია ევროპიულ მეცნიერების და მის განათლების უმაღლეს თვარდებამდე.

ამ ორიოდ ნიჭიერ პირთ, რომელთაც დაბეჯითებით რწმენდათ თავიანთი აზრები, ჩაავლო კალთაში სული მთელმა ურდომ დაშმორებულ ალაგებში მცხოვრებთა, რომელთ წადილი იყო ალაგმა ყოველ-გვარ კეტობრიულ თავისუფლებისა და შებორკვა აზრისა. უკანასკნელებმა შეიფარეს თავი მაღალ ფრაზების ქვეშ: უბედობდენ სლავიანების შეერთებაზედ, მათს ოსმალებისა და ნემეცების უღლისაგან დახსნაზედ და თვით ესენი, რომელნიც ეხლა ღაღადებდენ, რომ ნემეცებს და ოსმალებს უნდათ სლავიანების განემეცება და გაოსმალება,—თითონ ძალიერ მოწადინენი იყვნენ გაერუსებინათ წინად პოლეში და ამ უკანასკნელ სლავიანების აჯანყების დროს ბოლგარია და სერბია რუსეთის ადმინისტრაციის და რუსულ ენის შემოღებით. ი ასე ესმოდათ ამ ვაჟ-ბატონებს ის სლავიანობის იდეალები, რომელნიც სათუთად იყვნენ ჩანერგილნი შატარიკისა, შეგჩენკოსა და სხვა გამოჩენილ პირთაგან.

მათი წადილი არ ასრულდა. მათმა უმზგავსმა სურვილმა მხოლოდ გამოათხიზლა ბოლგარები, სერბები და სხვა სლავიანები, თვალთაგან ახადა ის ბადე, რომლის გამო სლავიანოფილებისა და მათ თანამოაზრეთაგან ისინი თავისუფლებას და ყოველ-გვარს სიკეთეს მოელოდენ, და რა კი ტრუ-მხსნელების ნამდვილი სახე დაინახეს, ღირსეულად დააფასეს მათი მოქმედება. თუ გავიხსენებთ «ახალ დროების» და «ხმის» კორესპონდენტიებს, რომელშიაც მათი მჯღაბნავები საშინლად ლან-

ძღვადენ და სთითხნიდენ საწყალ სერბებს და ბოლგარებს, ლაჩრებს და უმადურებს ეძახოდენ,—ადვილად წარმოვიდგენთ, რა რიგი განწყობილება დაარსდა «კეთილის-მეოთვალთა» ‌ᲓᲐ მათგან «გაბედნიერებულთა» შორის. ჩვენ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს სიმის საუკუნის გაქელილი ხალხი დაუწყენარებლად ომობდა თავის დასაცველად, მამაცურად ებრძოდა მუსრეულების ომჯერთ და კიდევაც ემადლიერებოდა თავის ტრუ-მსსნელებს, რომელნიც აბრეგებივით მიეიდენ იქ მათრახებითა და ჯოხებით შეიარაღებულნი.

რუსის საზოგადოებაში იყვნენ ამათ გარდა სხვა მიმართულების მიმდევარნი, სულ სხვა ფერის ლიტერატორები, სხვა გზით დამცველნი ალავიანებისა, მათის დამოუკიდებლობისა, მათის განათლების გაგითარების და გავრცელებისა. ამათ აზრით არც რუსებმა და არც ალავიანებმა წარსულში არ უნდა ჩაიდრჩონ თავი და იქ ჩიჩქნონ თავიანთი იდეალები,—მათ უნდა დაანდონ თავიანთ სასოება და იმედი ევროპიულ მეცნიერებაზედ, ევროპიულ თავისუფალ სახელმწიფოების მაგალითზედ, რომელიც ისე რიგად იყო ძაგებული ალავიანოფილებისაგან. ამ მეორე ბანაკის კაცებმა ბევრი შრომა დასდვეს ალავიანობის შესწავლისათვის, ბევრი ნათელი მოჭეინეს ალავიანების ურთი-ერთშორის განწყობილებას და დამოკიდებულებას. ამ მხრით გრიგორეოვიჩის, სრეზნევსკის და კიევის სწავლულთ კოტლარევსკის, ანტონოვიჩის, დრაგომანოვის და სხვების თხზულებანი შეადგენენ უმეირფასესს განძს ალავიანობის ლიტერატურაში.

საუბედუროდ, მწერლობა იმისთანა ტუდს მდგომარეობაში იყო, რომ ამ მეორე ბანაკის კაცებს—დასავლეთელებს, ანუ დასავლეთ ევროპის მეცნიერობის და მოქალაქობის მომხრეთ—

არ შეეძლოთ გულ-ახდილად ლაპარაკი; არ შეეძლოთ პირ-ღ-პირ გაემხილათ თავიანთ შეხედულობა და ეთქვათ, როგორი პოლიტიკური ღ საზოგადობრივი წყობილებაა საუმჯობესო სლავიანებისათვის. მათ მხოლოდ შეეძლოთ აეტეხათ ბასი ღ ცდილიყვნენ დაემხოთ ის დაძველებული საზოგადო წყობილება, რომელსაც სლავიანოფილები ძალით ახვევდენ თავს სლავიანობას. ისინი იყვნენ შერაცხულნი მეხანათებად და სლავიანობის მტრებად, მისთვის რომ ამბობდენ: არ შეიძლება ერთის ხელით სლავიანების განთავისუფლება, მათ ლიტერატურის ფეხზედ წამოუყენება და მეორე ხელით მალო-რუსიის ლიტერატურის ჩაქოლვა. იუ დრო როცა ამ მარტივის აზრის წამოთქმა თითქმის საგმირო საქმედ ითვლებოდა; მაგრამ დროება შეიცვალა, ისტორიის მსვლელობამ გაამართლა ის გულადი ხალხი და თვით მმართებლობამ მოსპო ის აკრძალვა, რომელიც ლოდივით აწვა მალორუსიის ლიტერატურას. იმედია, რომ სხვა იმათი აზრებიც ამ რიგადვე გაიმარჯვებენ. აი თუნდა ამ ჭეშმარიტს აზრს დავაკვირდეთ: არ იქნება ურიგოო, ამბობენ ისინი, რომ რუსეთის საზოგადოებამ მიჰყოს ხელი თავის შინაურ საქმეს, მის მაგიერ რომ დატვირთოს სლავიანები ან სხვა რომელიმე ხალხი მისთანა განძით, როგორიც არის რუსული კულტურა, განათლება და ენა. მართლაც და ახირებულია ამ გვარი თავ-აღება, რადგანაც რუსეთი თითქმის ორი საუკუნეა მისდევს ევროპიულ განათლებას უკან და ჯერ კიდევ ვერ დასწეია მას და პოლშა, ჩეხია, დოლმაცია კი დიდი ხანია იცნობენ ევროპას და მასთან ულელსა სწევენ.

მგონი რუსების სლავიანებთან შეჯახებამ 1876—78 წ. გააგებინა რუსის საზოგადოებას რომ, თუ რუსეთს აქვს უზენაესი დანიშნულება გაანთავისუფლოს სლავიანები—მისთვის კი

არა, რომ დაჭყოს იგინი რუსეთის გუბერნიებად და რუსული ენა ასწავლოს, არამედ მისთვის რომ ისინი იყვნენ მართლა თავისუფლები და თავის ნება-ყოფლობით ერთმანერთს დაუკავშირდენ.

თუ ამ რიგად იქნა საქმე გაგებული, მაშინ გაჭრება სლავიანოფილების ახირებული აზრიც; შეწყდება ლაპარაკი ხალხის თვით-არსებობის მოსპობაზედ, მის განსხვავებულ თვისებათა აღმოფხვრაზედ; აღარ იქნება საეჭვო, რომ ყოველ ხალხს, რაც უნდა მცირედი იყოს იგი, უნდა მიენიჭოს უფლება თავისებურად გავითარებისა. მაშინ გაუქმდება სლავიანოფილების მიხმახული აზრებიც, რომელთაც სურთ ერთად შეჭრიბონ ყველა სლავიანები, გაამართლ - მადიდებლონ, რუსულ ენაზედ აჭიეჭიონ, ევროპის ცივილიზაციას დაანშორონ და წარსულ დროების იდეალებს დაუახლოვონ.

* * *

სლავიანების ისტორიის განხილვა საზოგადოდ და კერძოდ მათის აღორძინებისა უნდა მოხდეს უსათუოდ ერთად მთელის ევროპის გავითარების ისტორიასთან; იმათი ერთმანერთთან დაშორება შეცდომა იქნება. მართალია, გუსსა და იმის სწავლას გარდა სლავიანების ეროვნებათ არ გადუტანია ევროპისათვის არავითარი ახალი აზრი, მათ არა ჭქონიათ არავითარი წინ-წამწევი გავლენა გერმანო-რომის ტომებზედ; მაგრამ თითონ მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი ევროპის მოძრაობასთან ‌ ‌ მოქმედობდენ მის გავლენის ქვეშ. საუკეთესო ისტორიული წამები სლავიანთა რომელიმე ეროვნებისა არიან ის წამები, როცა სლავიანები მომეტებულის გულ-მოდგინებით მიმართავენ ევროპის განათლებას და მის საძოქალაქო წყობილებას. დუბროვნიკის რესპუბლიკის ესრედ წოდებული ოქრის საუკუ-

ნე ლიტერატურისა და შინაგანის ისტორიისა შეეთანხმება იმ დროს, როცა ის დაუახლოვდება ვენეციის რესპუბლიკას და დაიწყებს შესწავლას საუკეთესო იტალიურ თხზულებებისას. იმ დროს შესანიშნავი სლავიანური მწერლები სწავლობდენ იტალიის უნივერსიტეტებში, შემოჰქონდათ თავიანთ სალხში მოწინავე აზრები და სთარგმნიდენ გამოჩენილ თხზულებებს პეტრარკისას, ტასსოსას, სოფოკლისას, კატულისას და სხვათა. აგრეთვე შესანიშნავი დრო ჩესიისათვის იყო ის დრო, როდესაც გამოჩენილი იოანე გუსი ჰქადაგებდა თავის სწავლას და შესძრა მთელი განათლებული ევროპა და იმ დროში ჩეხები დაუახლოვდენ ევროპის მეცნიერებას. იმ დროს არა თუ მარტო გუსი, იერონიმ პრაგელი, ია კუბსკი და სხვანი იყვნენ შესანიშნავნი სწავლულნი და განათლებულნი ჩეხიაში, არამედ საზოგადო განათლება ჩეხიისა იმ ეპოქაში იყო საჩინო თითონ ევროპის განათლებასთან შედარებით. იმ დროს ჩეხის დედა-ქალაქის, პრაგის უნივერსიტეტი იყო საუკეთესო. ევროპის ყოველ კუთხიდგან იქ მიეშურებოდენ სასწავლებლად. მოსწავლეთა შორის იყვნენ ფრანცუზები, ინგლისელები და მრავალი ნემეცებიც.

რაც უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს გუსის სწავლას, მაინც არ უნდა დავიივიწყოთ რომ ის არ იყო ნაყოფი მხოლოდ სლავიანობისა. გუსი ჰქადაგობდა რეფორმაციის დროს, რომელიც მოდებული იყო მთელს ევროპაში და ამ მოძრაობაში მთელი ალაგი თითქმის მხოლოდ ღვთის მეტყველების მეცნიერებას ეჭირა და არა ნაციონალურ აზრებსა და ლტოლვილებას. რაც შეეხება გუსის სწავლის გავითარებას, ჩელჩიცკის ქადაგებას ერთ-მორწმუნეთა ძმობაზედ, არც ამაში იყო იმისთანა რამ ახალი, რომელიც შეადგენდეს განსაკუთრებულს კუთვნილებას სლავიანობისას, როგორც ამტკიცებდენ კმაყო-

ფილებით აღვსილი პაგოდინი, და სლავიანოფილები — ხომიაკოვი, კირეიევსკი და კ. აკსაკოვი. ყოველ მოძრაობას, რომელშიაც კი მონაწილეობა ქანც-გაწყვეტილ ხალხს მიუღია, დასდებია ის მწუხარების ფერი, რომელიც ერთს წუთსაც არ ასვენებს მას. ხალხის ყოველს მოძრაობას აზიის ეკონომიური ბეჭედი, დღიურ პურზედ მზრუნველობა ატყვია. ამ აზრის დასამტკიცებლად გავიხსენოთ გლეხების ომები გერმანიაში მიუნცერის წინამძღომლობით, ანაბაპტისტების ისტორია ჰოლანდიაში და ბელგიაში, ჰუსკერებისა — ინგლისში, ლაცარონისტებისა — იტალიაში, ბიბლეელ კომმუნისტებისა და სხვ. ამერიკაში. ყველა ეს მოძრაობა სარწმუნოების ნიადაგზედ იყო დაფუძნებული, თუმცა მის ახსნაში ეკონომიური წყობილება არ უნდა დარჩეს სახეში მიუღებელი.

თითონ აღმოსავლეთის ეკლესიის მართლ-მადიდებლობაც კი არ არის სლავიანების სრული კუთვნილება, მათი საკუთარი სარწმუნოება. ორივე შტო ქრისტიანობისა: მართლ-მადიდებლობა და კათოლიკობა მათ სხვა ხალხისაგან მიიღეს და არც ერთს ამ შტოს არა ჭქონია მათ ცხოვრებაზედ ყოველთვის კარგი გავლენა. აი რას ამბობს ამაზედ პიპინი:

«სლავიანების ერთგულებანი ღებულობდენ ქრისტიანობას ორის წყაროდამ, როგორც მათს გეოგრაფიულს მდებარეობას შეეფერებოდა. ამის გამო ეს ტომები შეიქნენ დაყოფილნი ორ მტრულ, სხვა-და-სხვა სარწმუნოების ბანაკად. საზოგადოდ, საშუალო საუკუნოებში სარწმუნოების ომების გამო უფრო მომეტებული განხეთქილება იყო, და რადგან ამ განხეთქილებას ზედ დაერთო აგრეთვე ამავე თვისების პოლიტიკური გარემოებანიც, დაარსდა ორი სხვა-და-სხვაგვარი მიმართულება სლავიანობის საზოგადობრივ განვითარებაში.

«ბიზანტიამ გადმოსცა სლავიანობას საეკლესიო დებულებასთან თავის პოლიტიკური დებულებაც და ის ჩვეულებანი, რომელთაც დასცეს ძველი დემოკრატული წყობილება სლავიანურის თემობისა. ბიზანტიური წარმოდგენა პოლიტიკაში ძალმოსილს ავტორიტეტზედ ისე რიგად გაუჯდათ ძვალსა და რბილში სლავიანებს, რომ არ შეიძლება არ მიექცეს მას ყურადღება, როცა აღმოსავლეთ-სლავიანებზედ არის დაპარკი. ბოლგარია და სერბია წარმოგვიდგენენ ბიზანტიურ მმართველობისა და ბიზანტიურ სასახლის პატარა კოპიოს, მოსკოვის მეფე საკუსე იყო ბიზანტიურ თეოკრატიულ თვისებებით.» (T. I, გვ. 22).

ახლანდელ ისტორიკოსებისაგან ჯეროვნად არის გამოკვლეული, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ცხოვრებისათვის მოსკოველ მეფობის თვით-მპყრობელობას, რომელმაც ხალხი თითქო მიიბა მის ძველებურ წყობილებას, თვით-მმართველობას მეხი დასცა და სახელმწიფოს ნაწილების ჯერმოცხოვრებას ძალი მოსტეხა. აგრეთვე ცნობილია, რა ნაირად ეწეოდა რუსეთის სამღვდელოება მოსკოვის ტახტის გამაგრებას და ამაღლებას.

როგორც რჯულის საქმეში სლავიანების ერთვნებანი არ წარმოგვიდგენენ რამე თვის-თვერს ანუ თვით-მოქმედ ძალას, აგრეთვე ვერც თავიანთ საზოგადობრივ დებულებაში და წყობილებაში ვერას გვიჩვენებენ იმისთანა ახალს რასმეს, რომელიც ევროპის ცივილიზაციას ეუცხოებოდეს. სლავიანებში და განსაკუთრებით აღმოსავლეთის სლავიანებში ძველადგანვე დარჩენილან ზოგიერთი დემოკრატიული ჩვეულებანი, და საზოგადობრივი და ეკონომიური წყობილება, როგორიც არის მაგალითებრ თემობა (община) დიდ-რუსებშეა, და ეს წყობილე-

ბა კარგად ასრულებს კატობრიულ მოთხოვნილებებს, კარგად ეთანხმება საზოგადობრივ და ეკონომიურ მეცნიერებას და დიდი თანაგრძნობაც აქვს მოპოებული თითონ ევროპის ახალ განათლების შვილებისაგან. მაგრამ ჩვენ წინადვე ვთქვით რომ ამ ჩვეულებასა და წყობილებას რადი სძეკს სლავიანების განსაკუთრებული ხასიათი. ხალხთა დიდ-გადმოსახლების დროს, უველა ველურ ტომებს, რომელნიც სწეწდენ რომის იმპერიის სწორედ ამ გვარივე წყობილება და ჩვეულება ჰქონდათ. ოვველი მწეკრი გერმანიელების გემაინდისა (Gemeinde—община —თემობა) თანასწორ მონაწილეობას იღებდა საზოგადო და ეკონომიურ საქმეებში და ეს საქმეები თემობაშივე სწყდებოდა. ოვველი საზოგადო სამსახურის კაცი უნდა ამორჩევით დაენიშნათ; თითონ კონუნგებსაც (სარდლებსაც) გემაინდის მწეკრნი ირჩევდენ. მაგრამ შემდეგში რომის ცივილიზაციის გავლენის ძალით ეს ჩვეულება შეიცვალა და ამ ნაირად არჩეულნი სამსახურის კაცნი რჩებოდენ თავიანთ ალაგზედ სიკვდილამდის. ბოლოს ეს თანამდებობა სამკვიდროდ გახდა და მამიდამ შვილზედ გადადიოდა.

დიდ ხანს ებრძოდა კიდევ ძველი ჩვეულება ახალ შემოღებულ წესებს. შემდეგ იმისა, რაც სამსახურის არჩევნობა მოისპო კიდევ დიდ ხანს არსებობდა სათემოდ მიწის მფლობელობა გერმანიაში, ნიდერლანდში, ინგლისში და თითონ საფრანგეთშიაც. ზოგიერთი სწავლულები ამტკიცებენ, რომ ელზასში და ბევრ სხვაგანაც სათემოდ მიწის მფლობელობა არსებობდა მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლომდე და თითქმის მეოვრამეტე საუკუნის პირველ ნახევრამდე. შვეიცარიაში ესლაც არის ამ გვარი წყობილება.

ძლიერ და ძლიერ უსაფუძვლო აზრი იქნება რომ თემო-

ბა და სხვა დემოკრატიული ჩვეულებანი მარტო სლავიანებს დავუსაკუთროთ, რადგანაც არც ერთი ევროპიელი ხალხი, არც თითონ ინდუსები, რომელნიც უველა ევროპიელ ხალხთა წინაპრებად ითვლებიან, ამ ჩვეულებას არ არიან მოკლებულნი.

დასავლეთში თემობა იყო დაკარგული სხვა-და-სხვა ისტორიულ გარემოებათა გამო. თითონ იმ სლავიანებმაც კი, რომელნიც ევროპაზედ დაახლოებულნი და მის ცივილიზაციის გავლენის ქვეშეიყვნენ, დაჭკარგეს თემობა და ყოველი ის თვისებანი, რომლითაც სლავიანოფილებს თავი მოაქვთ. ჩეხიაში, მორავიაში და პოლშაში ეკრძო საკუთრებამ სძლია საოთემოდ მეფლობელობას იმავე დროს, როცა ეს მოხდა დასავლეთ-ევროპაში.

ალმოსავლეთის სლავიანებიც, მაგალითად ბელორუსები და მალორუსები, რა კი ისტორიულს ასპარეზზედ გაქმოვიდენ და შეეკავნენ რომო-გერმანიის ეროვნებათ,—დაჭკარგეს თემობის ეკონომიური წყობილება. მალორუსების «გრომადა,» პოლშელების «გმინა» არ მიაგვანან რუსულს თემობას და უფრო პოლიტიკური და ადმინისტრაციული მნიშვნელობა აქვთ ვიდრე ეკონომიური. თუ ველიკორუსებს დაუცავთ თემობა, ეს უნდა დაბრალდეს იმას რომ რუსეთი იყო დაბშული ევროპის განათლებისათვის თითქმის ამ უკანასკნელ ხანამდის. მართლადაც, თუმცა რუსეთი პეტრეს დროამდე ჩაირიცხა ევროპის საზოგადოებს შორის, მაგრამ მაინც არ დაეტყო კეკლი ევროპიულ მოქალაქობრივ ცხოვრებისა, ოჯახობის გამართვისა და წარმოებისა. მხოლოდ მალალ წოდებამ და ისიც მცირედმა მისმა ნაწილმა გადიკრა თერანტუზების და ნემეცების გარეგანი დარბაისლობის მბზინავი კანი. საშუალო წოდება—ვაჭრები და მწარმოებელნი დარჩნენ ერთგულნი მამა-პაპურ ჩვეულებისა. რა

კი გაიმართა ალებ-მიცემობა და გაცვლა-გამოცვლა რუსეთის ნაწარმოებისა დასავლეთ-ევროპის ნაწარმოებთან. რუსებიც იძულებულნი იყვნენ შემოელოთ ის საშუალებანი წარმოებისა, რომელნიც ევროპაში არსებობდენ. ევროპასთან დაახლოვებამ შეარყია თემობა შიგ შუაგულ რუსეთშიაც და ეს ეკონომიური წყობილობა ისეთივე სუსტი გამოჩნდა თავის არსებობისათვის ბრძოლაში, როგორც სხვა ტომთა თემობა.

შეიძლება მკითხველმა მკითხოს: დავიჯერო, სლავიანოფილების სწავლაში და ქადაგებაში არა იყო-რა ამოებისა, სიჩურჩუტისა და ბაქიობის მეტი; განა შეეძლოთ მაშინ იმათ დაემსახურებინა საზოგადოების ყურადღება და გაერთოთ ხანგრძლივად მისი გონება და აზრი?—არა, სლავიანოფილებში ღვიოდა რაღაც ტოტსალი სული, რაღაცა ჭეშმარიტი აზრი, მაგრამ იმათ ეს ტოტსალი სული და ეს ჭეშმარიტი აზრი ისე დაამახინჯეს, ისეთს ბურუსში გაახვიეს, რომ მათი გამოჩხრეკა და გაგება თითქმის შეუძლებელი იყო უბრალო ადამიანისათვის. ეს ტოტსალი ძარღვი არის თემობა—ის ღირს-შესანიშნავი თემობა, რომელიც დღემდის არსებობს ველიკორუსებს შუა, და ერთვნებათა ოვით-არსებობის დაცვა. თუ გვინდა, ჯეროვანად გავიგოთ და დავაფასოთ თემობის მნიშვნელობა, გავიხსენოთ რა მნიშვნელობა და სასიათი უნდა ჰქონდეს საზოგადოებას. საზოგადოება არის ადამიანთა კრება; აზრად აქვს ადამიანის ოკეელ-გვარ მოთხოვნილების უმჯობესად შესრულება. ერთს კაცს თავის დღეში არ შეუძლიან ის შესრულოს, რის შესრულებაც კაცთა გროვას შეუძლიან. რა კი ეს ასეა, საზოგადოებისაგან განაპირება, განკერძოება, მარტო თავიანთი პირად სარგებლობის მიდევნა, მთელის ცხოვრების შეტილებაზედ დაფუძნება—საკვნოა საზოგადობრივ წყობილე-

ბისათვის, ეწინააღმდეგება და ეურჩება მის ქვა-კუთხედს. ამ ნაირ პირადის მიმართულების მომხრეთ გაუხდიათ საზოგადოება თავის საპირსავ ცხვრად და პირსვენ, რომელ კი მოისურვებენ. თემობა არის სწორედ იმისთანა წყობილება, რომელიც უფრო შეშვენის საზოგადობრივ ცხოვრებას; ის არის საზოგადად ანუ საზიარად მეფობელობა მიწა-წყლისა და წარმოების ყოველ-გვარ იარაღისა. იმ მეცნიერებამ, რომელმაც ეხლანდელ დროში ამოჭყო თავი — სოციოლოგიამ (მეცნიერება საზოგადოებაზედ) იცნო თემობის ადა-ზარი ჭეშმარიტ ზარად და დასავლეთელებმაც (западники) დაუთვესეს და აღიარეს თემობის დიდი მნიშვნელობა, მაგრამ თან ამბობენ რომ ველიკორუსების თემობა ძველი ფორმაა, ბევრს შემავიწროებელ პირობებს წარმოუდგენს მწეკრის თავისუფლებას, ბევრი შეჭეოება და გაუმჯობესობა სჭირია და ეს გაუმჯობესობა ჩვენ უნდა შემოვიღოთ ისევ იმ «დამპალ» ევროპიდამ, რომელიც თითქმის ყოველთვის ჩვენის ჭკვის დამრიგებელი იყოო.

რაც შეეხება სლავიანოფილების მეორე ტოტსაღ ძარღვს-ეროვნებათა თვით-არსებობის დაცვას,—ეს ისეთი მარტივი და უველასათვის ცხადი აზრია, რომ განმარტებას არ საჭიროობს, მაგრამ სლავიანოფილებმა ესეც კი დაამახინჯეს. მათი დევიზი, «მართლ-მადიდებლობა, თვით-მპყრობელობა და ეროვნება» თხოულობს ბოლოს უველა სლავიანების გადარჯულებას, უველა სლავიანთა ტომების ერთ მმლავრ სახელმწიფო გვარში გადასაღისებას. მგონი ამ უკანასკნელ დროს სლავიანოფილები ტოტათი მორჯულდენ. ზოგნი მათგანნი (ლომანსკი მაგალითებრ) აღიარებენ რომ ავსტრიაში სლავიანობა თუმცა რიცხვით მეტობს, მაგრამ ნემეცები უფრო ძლიერნი არიან, როგორც თავის ისტორიით ისე განათლებითაო.

***

სლავიანობის გამოღვიძება და აღორძინება იმითი კი არ არის შესანიშნავი რომ ვითომ მას შეეძლოს ქვეყნის განახლება და გაკეთება. სრულიადაც არა. ის არის შესანიშნავი ისე, როგორც ცოცხალ არსების გამოფხიზლება, მის ცხოვრებაში გამოწვევა. ამ მოძრაობითა ვსწავლობთ ჩვენ სალხთა-შორის განწყობილებას და მათ ერთი-ერთ შორის დამოკიდებულებას და ეროვნებათა უფლებების დაცვას. ამ რიგად იყო შესანიშნავი ყოველივე სალხის მოძრაობა, ყოველივე ნაციონალური აღდგენა, რომელნიც ჩვენს საუკუნეში მოხდენ, მაგალითებრ: იტალიის აღდგენა, სებერძნეთის განთავისუფლება, გერმანიის პატარა სახელმწიფოების შეერთება. ეს შესანიშნავნი მოვლინებანი ეროვნებათა გამოღვიძებისა და თვით-შეგნებისა იუვნენ დაბადებულნი მეთვრამეტე საუკუნის ჭკვა-გონების მოძრაობის გამო.

ამ მოძრაობის წინადაც ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა ევროპაში; სარწმუნოების ომებს, რომელნიც რეფორმაციის წყალობით იუვნენ გამოწვეულნი, მოჰყვა შემდეგი: განთავისუფლებულმა ნიდერლანდმა დაარსა ფედერალური, ანუ შეკავშირებული რესპუბლიკა; ინგლისში მოხდა პირველი რევოლიუცია; გერმანიაში დამკვიდრდა თავისუფლება სამეცნიერო გამოკვლევისა და სარწმუნოებისა. მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს იმავე ომების გამო პოლიტიკური რუკა ევროპისა ძლიერ შეიცვალა: დაირღვნენ საშიშარი და ძლიერი მონარხიები, როგორიც იყო ფილიპე მეორის მონარხია; მის მაგივრად აღიმართენ დემოკრატიული სახელმწიფოები, რომელთაც დაიცვეს თვით-მართველობა, სალხისა ს მოქალაქეების შემწეობით. ცხადია, რომ ამ დროს სალხის თვით-მართველობას უნდა მოე-

ბოგა მომსრენი ლიტერატურაში და იმ მეცნიერებაში, რომელს საგნად ადამიანის უფლების გარჩევა აქვს. თვით-მართველობა ვერას გზით ვერ შეურიგდებოდა თვით-მეფურობელობას და ეს უკანასკნელი უნდა დაცემულიყო ისე, როგორც დაცა კათოლიკობა.

ამასთანავე მეცნიერებამ იესი მოიდგა და მოსულიერდა. საშუალო საუკუნოებში ძლიერ ცუდად იყო მეცნიერების საქმე. ყველაფერი ჭქონდა დაკვებული სამღვთო წიგნებს, ღვთის მეტყველობის მწერლობას და ამ საგნებზედ ბაასს. რაც ამ საგნების წრეს გადასცილდებოდა, რასაც ცოტათი მაინც ეტყობოდა მეცნიერების ნიშანი—ყოველივე წინადვე იყო განსჯილიცა და დასჯილიც. ქრისტეს სახელობით ბევნი თავის ურჩებს და მათ თხზულებებს ჭურიდა ცეცხლის ქურაში. მაგრამ ვის შეუძლია შებორკოს კაცის ჭკუა-გონება! ჯორდანო ბრუნოს, გუსს, იერონიმ პრაგელს, რომელნიც იყვნენ დამწვარნი აზრისა და სარწმუნოების თავისუფლებისათვის—მოუვნენ მრავალი სხვები.

როცა სარწმუნოებისთვის ომები გათავდა, სამეცნიერო გამოკვლევის და სარწმუნოების თავისუფლებამ გაიმარჯვა, მაშინ გაჭრა გაუგებარი და გამოშრალი შუა საუკუნოების სქოლასტიკა უნივერსიტეტებში. თავისუფლებამ გაიკეთა ბუდე ნიდერლანდში და შეიფარა თავის ფრთის ქვეშ მეცნიერება და ხელოვნება. მეცნიერების მოღვაწენი დიდის წუერვილით დაეწაფენ ბუნების შესწავლას და დაუკვირდენ ადამიანთა ცხოვრებას: ყოველივე მეცნიერული შეეძინა ევროპოლებდა კაცობრიობის ჭკუა-გონებას, მის შესედულებას; თან-და-თან სპობდა ცრუ-მორწმუნეობას, ბოლოს უღებდა მავნე და დამაღუნ ძალებს. კაცს მეტი რწმენება მიეცა თავის ძალიერებისა, ეერო

თამამად დაიწყო უურება, წელში გაიმართა. ბეკონმა მთლად ერთიანად გადმოატრიალა მეცნიერება, ამოუჩინა მას მძლავრი ლონისძიება და საშუალება ჭეშმარიტების საძებნად. შესანიშნავ მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისური მეცნიერება და ფილოსოფია გადმორგეს საფრანგეთში და ისეთის ადგილის ენით ახსნეს, ისეთი სინათლე მოჰფინეს, როგორც ფრანცუზებს შეშვენოდათ. საფრანგეთიდამ მეცნიერება და ფილოსოფია მოეფინა მთელ ქვეყანას. საფრანგეთის ენციკლოპედისტებმა წამოაყენეს ფეხზედ ლონე-მიხდილი ადამიანი. მაშინდელ საფრანგეთის ლიტერატურას და ჭკუა-გონების მოძრაობას დიდი გავლენა ჰქონდა ყველა სახელმწიფოებზედ და მათ შორის რასაკვირველია გერმანიაზედაც. გერმანიაში ის იყო განთავისუფლდა ლიტერატურა მჩატე და მომაკვდინებელ სქოლასტიკისაგან და აყვავდა ლესსინგისა, გერდერისა და მენდელსონის ჩელის შეწყობით. ისინი აღვიძებდენ საზოგადოების მიძინებულ გრძნობას, ჰქადაგობდენ სხვა-და-სხვა ტომთა და მერჯულთა თანასწორობას, აღძრეს პატრიოტობა და შეუდგენ ნაციონალურ ფილოსოფიის აღშენებას.

ამ ეპოქამ მოიტანა საყოველთაო გამოცოცხლება, შეიტანა კატობრიული აზრი ყოველ-გვარ ცოდნაში, სახელმწიფო და საზოგადობრივ მოქმედებაში. რასაკვირველია მანვე იქონია დიდი გავლენა სკოლასა და უნივერსიტეტებზედ. მოაწია საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ თავის წინამორბედით — შეერთებულ შტატების თავისუფლებისათვის ომიანობით, რომელმაც გაიტაცა საუკეთესო საფრანგეთის უმაწვილ - კაცობა. იქ სალსმა გაიმარჯვა და დაარსდა შეკავშირებული რესპუბლიკა. ყველანი სიხარულით და სასოებით შეჭუურებდენ ახალ-დაბადებულ რესპუბლიკას და მის შესანიშნავ მოღვაწეს — უაშინგტონს.

კაცის უფლებათა გამოცხადებამ (დეკლარაციამ) და სახელმწიფოს ყოველ ნაწილებისადმი თავისუფლების მინიჭებამ ისეთი იმედები დაჭბადა კაცობრიობაში, რომ მან დაიწყო ფიქრი იმ სოტნებო დროების დასასრულებაზედ, რომელზედაც წინასწარმეტყველებდენ ტომას მორი და რუსო.

რა მდგომარეობაში იყვნენ ამ დროს სლავიანის სხვა-და-სხვა ტომები?

*
* *

სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს სლავიანთა განთლების და საზოგადოების მდგომარეობა წარსულ საუკუნეში. სლავიანობა (რუსეთის და პოლშას გარდა) იყო დაგლეჯილი და დანაწილებული პატარა ტომებად. უცხო სალხის ულელი მძიმედ აწვათ მათ ყველას და თუმცა სათითაოდ კი ცდილობდენ დაეცვათ თავის ერობენება, საერთო მოქმედება არ ეტყობოდათ: ბოსნიელები, ჭერტეგოვინელები, სერბები, ბოლგარები, ხორვატები, სლოვენცები ისეთ რიგად იყვნენ გაგმირულნი ოსმალებისა, ნემეცებისა და ვენგრიელებისაგან, რომ დაჭკარგოდათ ყოველივე კავშირი და გვაროვნული გრძნობა. ბოლგარებზედ პირველად შლეცერმა (ნემეცმა) ამოიღო ხმა. შაფარიკს, რომელიც ითვლება საზოგადოდ სლავიანობის ფილოლოგიის დამაარსებლად, თითქო დაგიწყებია ეს სალსიო.

ამას გარდა სხვა-და-სხვა სარწმუნოების სლავიანები კინკლაობდენ ერთმანერთში. სლავიანე – კათოლიკე ექიშებოდა მართლ-მადიდებელს სლავიანს; ეს უკანასკნელი ეშურებოდა რეფორმაციის მომხრეს. ამათ ყველას ემტერებოდა და სდევნიდა გათათრებული სლავიანი. კათოლიკე სლავიანებ შუა განათლების სადავე ეჭირა ხელში იეზუიტებს, რომელნიც ცდილობდენ სალსისათვის გზა აერიათ და აეცილებინათ ნამდვილ

განათლებას და მეცნიერებას. მართლ-მადიდებელ სლავიანობაში სამღვდელოება ძლივს იცავდა სამღვთო-წერილის წიგნების ცოდნას და ცდილობდა არ გამქრალიყო ეს უკანასკნელი საუნჯეც.

ამას ისიც დაურთეთ რომ მაღალ-წოდებამ მიატოვა ხალხი, სელი აიღო თავის რჯულზედ, თავის დედა-ენაზედ. ლეკანი ამბობს: «ბოსნიის მაღალ-წოდებამ მიიღო ისლამი მისთვის რომ დაენარჩომნა თავის ადგილ-მამული. მთელ სოსამალოში ის ენა ითვლება ყველაზედ უფრო უკან ჩამორჩენილად ჭკუა-გონების გავითარებაში და ფეოდალურ წყობილების შემნახველად. ეს არის არისტოკრატია არა ოსმალური, არამედ გოსმალებული და ძლიერ სამძიმო მის ხელ-ქვეითებისათვის.»

ამ შეკიწროებულ ყოფაში იყვნენ საზოგადოდ ყველა სლავიანის ტომები გარდა რუსებისა და პოლშელებისა, და რასაკვირველია მათ არ მოეთხოვებოდათ არც ნაციონალური მეცნიერება, არც საზოგადო განათლება.

ახლა გადავალოთ თვალი სათითოდ სლავიანის დავარდნილ ერთა. დავიწყოთ პოლშიდგან, რომელსაც, თუმცა არ მიუღია მონაწილეობა ამ უკანასკნელ სლავიანების მოძრაობაში, მაგრამ იგი ეკუთვნის სლავიანების გვარ-ტომობას და მაშასადამე მონაწილეობას უნდა იღებდეს იმ აზრის (პანსლავიანობის) შესასრულებლად, რომელიც ყველა სლავიანებს ერთმანერთთან აკავშირებს.

პოლშა წარსულ საუკუნეში ჯერ კიდევ არ იყო დანაკუწებული, მაგრამ პოლიტიკური ავად-მყოფობა სწვევოდა და ძლიერსა იდგავდა სულსა. ახლა თითქმის ერთ-ხმად ამტკიცებენ ისტორიკოსები, რომ ამ სნეულების მიზეზი ერთ-ხელ ძლევა-მოსილის და სიტოცხლით სავსე პოლშისა იყო მისი

მაღალ-წოდების და სალხის ერთმანერთთან დაშორება. მაღალი-წოდება ჩაიფლა ცხოვრების განცხრომაში, მიეცა ნებივრობას და სხვის არაფერის დარდი არა ჰქონდა. აი რა სურათს წარმოგვიდგენს მაშინდელ პოლშისას სტაშიცი (1790 წ.): «ვინ შემოიტანა სეიმებში (მაღალ-წოდების კრებაში) ვერაგობა, ზნეობის სიმდაბლე და ძალადობა? პანებმა (მებატონეებმა). ვინ აღორძებს, სეიდულობს და ათრობს შლიახტას (აზნაურობას)? პანები. ვინ აუქმებს კანონ-მდებელ ძალს და არღვევს სეიმებს? პანები. ვინ გახადა სამართალი საკუჭრო ფასთლად? პანებმა. ვინ ჰყიდდა ხალმე სამშობლოს და ჰყიდულობდა სამეფო გვირგვინს? პანები. ვინ შემოუსია მტრის ჯარები სამშობლოს? პანებმა.»

მაღალ-წოდებას არ ესმოდა, რომ ის თავის საკუთარ ფესვებს სთხრიდა, თავის ღვიძლ შვილებს სამარეს უმზადებდა. განადგურებული და უმეცარი სალხი ვერ შეელიდა სამშობლოს, რადგან მას თავის დარდები აწუხებდა და მის სულსა და გონებას მოსვენებას არ აძლევდა. მეტის-მეტი უთავბოლობა ჩამოვარდა პოლშაში. აი რა რიგად დასტირის ერთი პოლშელი მწერალი თავის სამშობლოს ბედს: «რა არის ჩვენი ქვეყანა? მონარხია არ არის მას აქედ, რაც იაგელლონების ტასტი დაემსო. რესპუბლიკა მას არ დაერქმის, რადგან ორს წელიწადში მხოლოდ ექვსის კვირეი იკრიბება სეიმი. მაშ რაღაა? ის არის წამხდარი და გაფუჭებული მაშინა, რომლის ამუშავება ერთს კაცს არ შეუძლიან, ყველას არა სურს, და მის გაჩერება კი სათითოდ ყველას შეუძლიან? (ეს არის ნათქვამი veto'-ს უფლებაზედ. ყოველ შლიახტიჩს შეეძლო წარმოეთქვა სეიმზედ veto—ესე იგი «არ მსურს», რომლის გამო წინადადება გაუქმდებოდა ხალმე.) ერთის სიტყვით პოლშა ადარ

წარმოადგენდა იმ მჭიდროდ შეკავშირებულს და თანაბარს სხეულს ურომლოდ სიმაგრე და სიმრთელე შეუძლებელი საქმეა. დაუძლურებული ბოლშა დანებდა თავის უმადურს ხეედრს და გაიყო სამს ნაწილად.

განაწილების შემდეგაც ჭეავდა ბოლშას ლირს-შესანიშნავი მწერლები—მიცკევიჩი, კრასინსკი, სლოვიცკი და სხვ. სწავლულებიც, მაგრამ ის არ მისდევდა სლავიანთა შემაერთებელ აზრს და ლტოლვილებას. ორი-სამიოდ მისი მწერლების მეტი არავინ არ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას ამ აზრსა და ჩვენის თვალთაც კი ეს აზრი სლავიანების ძმურად შეუღლებისა და ერთმანერთის დახმარებისა მიხთოვისაც ძლიერ საჭირო იყო.

მეორე სლავიანის ტომი, რომელსაც ჭქონდა თავის დამოუკიდებლობა, იყო დოლმატები თავის ქალაქით დუბროვნიკით (რაგუზა). მისი განათლების და ლიტერატურის ისტორია ძლიერ მტკიცედ ერის შეწნული იტალიის განათლებასა და მეცნიერებასთან. იტალიის პატარა რესპუბლიკების შინაგან ცხოვრების ტურფად გაფურჩქვნისა და აყვავების დროს, რომელიც იყო მეთუთხმეტე, მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნოებში, დუბროვნიკმა მიაღწია უმაღლესს ხარისხამდე განათლებისა და ცხოვრების გაუმჯობესობისა (კულტურისა). მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდამ მოკიდებული, ესე იგი მას აქედ, რაც მიწის ძვრამ (1667 წ.) დაამხო დუბროვნიკი, 5000 სული გაყლიტა და უკვლა ქვით-კირის შენობები დაანგრია,—მას აქედ დუბროვნიკის განვითარებამ უკან დაიხია. რესპუბლიკა, როგორც იყო კიდევ ბორძიკობდა 1809 წლამდე, როცა ნაპოლეონ პირველმა მიაკერა დოლმატია მისგანვე შედგენილ «ილირიას.» ამ უანასკნელს სახელმწიფოს

იგივე ბედი ჭქონდა, რაც უკეთესნ ნაპოლეონისაგან შედგენილ სახელმწიფოებს: ისიც სხვებსავით მალე დაირღვა. 1814 წელს დოლმატია დუბროვნიკით ვენის კონგრესის გადაწყვეტილების ძალით დარჩა ავსტრიას.

შემდეგშიაც გამოჩენილან დუბროვნიკში მწერლები სალხურ ენაზედ ეკრიპიულის აზრით და განათლებით. მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დარჟიჩის, კაჩიჩის და მათის თანამშრომლების მოდვაწეობით თითქმის კიდეც გამობრუნდა მიხრწნილი ლიტერატურა, — ძაგრამ არც პოეზიის ამ ასად გამარჯვებას ჭქონია დიდი დღე და მწერლობამ ისე ვერ იხეირა, რომ დაეცვა ეროვნება... დოლმატების მწერლებმა, რა კი ერთ-ხელვე დაიმკვიდრეს ის ლიტერატურული აზრები და შეხედულებანი, რომელნიც ლათინურიდამ და იტალიურიდამ გადმოიღეს, ისე რიგად მიაცილეს მათ, რომ, როცა მთელ ევროპაში დაიწყო ჩუხჩუხი ახალმა აზრებმა და შეხედულობამ, ისინი მაინც სწერდენ სასულიერო პოემებს, ტრაგ-კომედიებს, ეპოპეებს, სამეფნურო ლექსებს. მართალია ამ ლიტერატურასაც ეტყობოდა ხალხის ფერი, მაგრამ უმეტესი ნაწილი მაშინდელ მწერლებისა სწერდენ გაუგებარ ენაზედ და ვერ იქცევდენ საზოგადოების ყურადღებას; ლიტერატურა არ უგდებდა ყურს იმ განმანათლებელს მოძრაობას, რომელიც მაშინ გადაედო მთელს ევროპას საფრანგეთიდამ და რომელსაც შეეძლო გაეღვიძებია საზოგადობრივი აზრი და შეეკავშირებია ლიტერატურა სასალხო საქმესთან.» (პიპინი, 196 გვ.)

არც ჩეხიის საქმე იყო უკედ. სარწმუნოებისთვის ომებმა მთლად აოხრა და დაამხო ადრინდელი კეთილ-დღეობა თავისუფალ ჩეხიის სამეფოსი, რომელმაც სამუდამოდ დაკარგა

თავისუფლება თეთრ მთაზედ (ბელაია გორა) დამარცხების შემდეგ (8 ნოემბერს 1626 წ.) ნაციონალური ჯგუფ-გონების მოძრაობამ ჯერ დაჭბადა საქვეყნო ისტორიული პირები, მაგრამ ეს მოძრაობა ჩაჭქრა თავისუფლების დაკარგვის შემდეგ. «ჩეხებს ისე აწვალებდენ, რომ საკვირველია, რატომ მთლად არ მოისპო მათი ისტორიული ცხოვრება.» თეთრ მთაზედ დამარცხების შემდეგ ჩეხებს სტანჯავდენ ტანტალით, რეინით, საშურობილეთი, სდევნიდენ ეოველს ადამიანს, ლიტერატურას, დაწესებულებას, რომელსაც კი გუსსიტობის, რეფორმის ანუ თემობის ბეჭედი ესვა. ძალ-დატანებით უნდოდათ გაეკათოლიკებინათ ჩეხები, ამოეფხვრათ მათ ტვინიდამ ეოველივე კეთილი აზრი. ფანატიკი იეზუიტობა სდევნიდა ჩეხურ წიგნებს მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე.»

იმ დროის პატრიოტები დიდის მწუხარებით და სასოწარკვეთილებით სჩივიან:

«ეველამ იცისო, ამბობს კ. ტომი 1783 წ., რომ სამის წლის წინედ იეკნენ გამოსეულნი ეანდარმები, რომელნიც ტოფიან მგლებივით კარი-კარს დაეთრევოდენ, ათვალიერებდენ ეოველ კუთხეს, და თუ სადმე შენიშნავდენ ჩეხურ წიგნს, კარგი ეოფილიეო, თუ არი, ჭბლეკდენ ხელიდგან, ჭრეკდენ და სწვავდენ.»

დევნილი და შეეიწროებული ჩეხობა თან-და-თან დაეცა; ჩეხური ენა ერთ-ხელ ძლიერ მდიდარი და სამეცნიერად გაწვრთნილი საშინლად გაღარიბდა. მეთვრამეტე საუკუნის მეცნიერობის და განათლების მოძრაობამ უმნიშვნელოდ ჩაიარა ჩეხებისთვის. ძალამ წოდებამ მიატოვა ხალხი, განემეცდა, თაკილობდა დედა-ენაზედ ლაპარაკს. ჩეხური წიგნები აღარ გამოდიოდა, გარდა იმ წიგნებისა, რომელნიც იეკნენ გამოცე-

მულნი იეზუიტებისა და რეაქციის მომხრეთაგან და უფრო
საგნებელნი იყვნენ, ვიდრე სასარგებლონი. ჩეხიის პატრიოტებს
სასოება წარეკვეთათ და იმედი წაერთვათ, რა კი ნახეს ესეთი
დაცემა თავის ეროვნებისა. მათ ეშინოდათ, რომ ჩეხები პაულა-
ბის სლავიანებსავით არ შერეოდენ მთლად ერთიანად ნემეცებს.
ეშინოდათ და შიშის მიზეზიც ჰქონდათ მათ... ვაი იმ ხალხს,
რომელსაც არა ჰყავს მზრუნველი და თავ-დადებული დამხმარე
ენის და ეროვნების დასაცველად. ამისთანა ხალხი წამ-და-უწუმ
უნდა მოელოდეს თავის სიკვდილს! მაგრამ არც მარტო ენის
შენახვით შეიძლება კამოწვეულ იქმნას ხალხის ძალა და დად-
გინდეს გონიერული ცხოვრება. ეროვნებაც, რაც უნდა მატო-
ხელებელი ძალა იყოს, მაინც ვერ გაუმართავს ხელს ისტორიულ
განვითარებას, თუ თავის ბუდეში ჩაიკეტა. მხოლოდ მოწინა-
ვე ხალხთა მეცნიერების და განათლების შეთვისება მისცემს
მას ალაგს ისტორიაში. მაგრამ სხვა ხალხთა ნაყოფი ეროვ-
ნების გულში უნდა ჩაინერგოს, უნდა შეიმოსოს ნაციონალურ
თვისებით და ხასიათით. ასე რომ ერთის მხრით შესწავლა და
განმარტება ხალხის ყოფა-ცხოვრებისა, მის ჩვეულებისა, ეკო-
ნომიურ წყობილებისა—და მეორეს მხრით მისი მონაწილეო-
ბა განვითარებულ ევროპის მეცნიერებასა და ცხოვრებასთან—
შექმნის საკუთარს თვით-არსებობას.

ამ გვარს შრომას მოჰკიდეს ხელი ბირველმა საქმის დამ-
წყობებმა, როცა ავსტრიის ტახტზედ ავიდა ენციკლოპედის-
ტების მეგობარი და თავისუფლების მოყვარე იმპერატორი
იოსებ მეორე. ის არა თუ ხელს არ უწყობდა რეაქციას და
იეზუიტების საქმეს, არამედ ძლიერ მტრობდა მას და კიდე-
ვაც მოშალა იეზუიტების ორდენი. მას წრფელის გულით სურ-
და შემოეტანა განათლება ხალხში, მაგრამ თან რწმენდა, რომ

ამ განათლების გადმოტანემი ნემეცური ენა უნდა უოფილიუო; მართლაც 1774 წ. სასწავლებლებში და სასამართლოებში შემოიღეს ნემეცური ენა, რომელიც ჩვენს განემეცებას უქადდა.

«მაგრამ ეს განზრახვა ჩვენების განემეცებისა ერთ დროს დაიბადა სლავიანების ლიტერატურის აღდგენასთან. ეს ორი მოვლენა და-ძმანი არიან, რადგან ერთის წყარდგან მომდინარეობენ. ეჭვი არ არის, რომ მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებელი და კატობრიელი აზრები, რომელთ დიდი მოძმრე იუო იოსებ მეორე, იუო მიზეზი ჩვენურ ლიტერატურის აღდგენისა.

«იოსებ მეორისაგან ხმარებული ღონე ეწინააღმდეგებოდა ჩვენების ერეოვნებას, მაგრამ მასთანავე აძლევდა მას ბრძოლის ღონისძიებას, სამოქალაქო და სარწმუნოების თავისუფლებას, რომელიც თავისითვე აღაგზნებდა საზოგადობრივ ძალას. რამდენადაც საშიშო იუო ერეოვნებისათვის იოსებ მეორის პოლიტიკა, იმოდენადვე სასიკეთო იუო მისთვის ესეთი აღმგზნები გავლენა. საუკეთესო ჩვენის შვილებს წელი მოსწუვიტა ენის ამ გვარმა ცხოვრებიდამ გამორიცხვამ და ჩაუფიქრა იგინი; ნუ თუ მართლა მოისპო სალხში ნაციონალური შეგნების ნიჭიო, ან იქნება საკმაო იუოს მისი გამოღვიძება და ერთბაშად აღორძინდება იგიო! ეხლა შესაძლო იუო ამის გამოცდა; ნაციონალურ ლტოლვილებას შეეძლო მხარი-მხარს სიარული იმ დროების მოთხოვნილებასთან, რომელმაც დაბადა იოსებ მეორის პოლიტიკა. მოწინავე კაცების პატრიოტული გრძნობა მოქმედობდა იმავე განათლებისა და ხალხის სიკეთისათვის, მხოლოდ სხვა გზა აირჩია. ისინი ცდილობდენ აღეძრათ ნაციონალური სული და სალხის ენას ამჟღობინებდენ სალ-

ხში განათლების გასავრცელებლად. მეორეს მხრით განემეტების შიშმა გაულვიძათ დიდი ხნით დაჩაგრული ისტორიული მოგონება და ამან უფრო გაუახლა ეროვნების დაცვის სურვილი. ამ წყაროებიდგან მომდინარეობს ის ახალი მოძრაობა ჩეხურის ლიტერატურისა, რომელსაც აღორძინებას უწოდებენ (პიბინი და სპასოვიჩი. ისტორია სლავიანურ ლიტერატურისა. ტ. II გვ. 918—919).

***

სამწუხარო ჯ გულ-საკვდავ სურათს წარმოგვიდგენს ბოლშის, დუბროვნიკის და ჩეხიის დაცემა, მაგრამ ეს სურათი კრთობა, როცა მოვიგონებთ დამდაბლებულ, დაგლეჯილ ბოლგარიას და სერბიას, როცა მოვიგონებთ მათ გაოხრებას, გაბინძურებას და გატიელებას ბერძნებისა და ოსმალოებისაგან. როცა დაეკითხებით ისტორიკოსებს, ამ შესაძრწუნებელ საქმეების მოწმებს, უნებურად ჩათვიქრდებით, რა იღბლით, რის მეოსებით და ხალხის გამძლეობით შეუნახავთ მათ თავიანთი ენა და არ გამქრალან უგზო-უკვლოდ ისტორიიდამ? ჯეშმარიტად, არსებობს რაღაც გაუგებარი, თითქო არა-ქვეყნიური ძალა ხალხში, რომელმაც შეარჩინა თავისი ენა და ნაციონალური შეგნება სამის საუკუნის ჭაპან-წყვეტისა, ფანატიკობისა და უმეცრების შემდეგ.

თავ-და-პირველად მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეებში ისე მძიმედ რომ ადგა ოსმალების ტვირთი ბოლგარებს, მაგრამ როცა ოსმალეთი დაუძლურდა, მისმა სხეულმა დაიწყო დაშლილობა, ბერძნული ელემენტი გაძლიერდა და აიშენა საკუთარი სატახტო ქალაქი (ფანარა) თუით სტამბოლში.— მაშინ ეს ტვირთი აუტანელი გახდა მათთვის. მაღალი წოდება ბოლგარიისა, ბოსნიის და სერბიისა ან ამოწყვეტილი იყო,

ან გამაჭმადიანებული, ან მას მხოლოდ ამ გზით, სხვა რჯულის მიღებით შეეძლო თავის შველა და მნიშვნელობის დაცვა; მაგრამ ამასთანავე მალალის წოდების პირნი გადადიოდენ ფანარიოტების რაზმში, რომელნიც იყვნენ ხალხის გამწარებული მტრები და მტაცრვალები.

ფანარიოტები არა სჯერდებოდენ გამოეწურათ უკანასკნელი წვეთი ხალხის სისხლისა, ისინი უპირებდენ არსების მოსპობასაც. «ეს ზნეობით-წამხდარი და გარყვნილი ბიზანტიის ბუშები (ფანარიოტები), რომლის დიპლომატიური სელოვნება იყო ჭორიკანობა, ბეზღობა ან ტიალისწამება, რომლის მმართველობის სისტემა იყო პირადი გამდიდრება—სამარცხვინო დღით იყვნენ დადაღულნი ყველა მწერლებისაგან, ვისაც ჭეონია მათზე ლაპარაკი.»

სახელი ფანარიოტი იყო ერთსა-და-იმავე დროს საეთნოობიც და სალანძღვაც მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში. გაიმეორობით და ხერხით, ანუ უკედ ვთქვათ ხრიკებით, დაიკავეს მათ ყველაფერი; მართებლობაც ისინი იყვნენ, ბანკირებიც, თარჯიმანებიც; დუნაის სათავადოებში იყვნენ გოსპოდარებად (მებატონეებად); ბოლგარიაში — ეპისკოპოზებად; სტამბოლში—პატრიარხებად. საეკლესიო მართველობას იჯარით იძლეოდენ.

ერთი მწერალი ამბობს: «ფანარიოტები ყველეფდენ ბოლგარებს და უნდაო მოუსპონ ეოველივე ღონისძიება თავიანთ მდგომარეობის შეგნებისა. ამიტომ განგებ სტოვებენ ხალხს უმეცრებაში და შეუწყნარებლად სწვავენ ყოველ სლავიანურ ხელ-ნაწერს.»

ფანარიოტები არც ამას სჯერდებოდენ, ისინი იღებდენ

ხალხიდამ ღალას თავიანთ უმსგავსო ქეიფის დასაკმაყოფილებლად.

ბოლგარიელთ მწერალი დრინოვი ამბობს: «ჩვენი ხალხი იყო შვდარი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდამ მოკიდებული. ბოლგარები არ არსებობდენ, როგორც ხალხი; ისინი შადგენდენ დაჩაგრულთა და გასრესილთა ადამიანთა გროვას. თითონ სიტყვა «ხალხი» დაკარგული იყო და მის მაგივრად შემოიღეს „ჩორა," ბერძნული სიტყვა, რომელიც ნიშნავდა სოფლის მცხოვრებლებს, სამუშაოდ და ღალების სახდელად განწესებულებს. თუ ვინიცობაა რომელიმე ბოლგარიელი მიაწვდა უფრო კეთილშობილურ ცხოვრებამდის, ის უნდა გადასდგომიყო თავის ხალხს და გამხდარიყო ბერძნად (ფანარიოტად) რადგან ბოლგარიელს „არ შეშვენოდა" მოქალაქური, კეთილშობილური ცხოვრება. ბოლგარიელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ სოფლის მცხოვრებად და მიწის მუშაკად.»

ამ გვარსვე მდგომარეობაში იყო სერბიაც. „სერბიაში, ამბობს ერთი გამოჩენილი ისტორიკოსი, უფლებდა მთელის თვისის ძალით ოსმალური სისტემა. ხვანთქრის ჯარი ყოველ წლივ დადიოდა მათ მიწებზედ ჯენგრიელების სამზღვრებისაკენ და მოსვენებას არ აძლევდა. მთელი მხარე საბეგებოდ იყო დაყოფილი და ბეგრით სულ-ამორთმეული. იარაღის ტარების ნება არავისა ჰქონდა. 1804 წლის აჯანყების დროს მათი იარაღი მხოლოდ კეტები იყო. ერთი მოგზაური, რომელმაც დაიარა სერბია მეთექვსმეტე საუკუნეში ამბობს, რომ სერბიელები არიან ლაჩრები, დაშინებულები, არ შეუძლიან კაცს პირდაპირ შეხედონო. ყოველ ბუთის წლობით ჰკრეფდენ ახალგაზდა უმაწვილებს, სერბიელების იმედსა და ნუგეშს და მიჰყავდათ სტამბოლში ხვანთქრის მოსამსახურედ. ეს უმაწვილე-

ბი გამოდიოდენ პირველნი მდევარნი და დამღუპველნი ქრისტიანობისა.» (Ранке, Исторія Сербій. Москва 1857 г. стр. 25—26.)

ამ გვარივე გადასახადი აწვათ უველა სლავიანებს. მათ უველას ამაჭმადიანებდენ და ადგენდენ იანიჩარების პოლკს. გამხეცებული იანიჩრები შეიქნენ უველასთვის მეხად და რისხვად და თითონ ოსმალეთსაც ისეთს ზარსა სცემდენ, რომ ხვანთქარი იძულებული იყო წარსულ საუკუნის დამლევს თითონვე დაეშალა და სამუდამოდ გაეუქმებინა იანიჩარის კორპუსი.

ამ მდგომარეობაში სერბიის ჭკუა-გონებას რასაკვირველია ეძინა. მხოლოდ აქა-იქ მიგდებულ მონასტრებში სწავლობდენ ბავშვები სამღვთო-წერილს, წერა-კითხვას. იქვე იბეჭდებოდენ ხან-და-ხან პატარა წიგნები ძველის ხუცურის ენით დაწერილნი, ხალხისათვის გაუგებარნი. „მაგრამ სერბიის ხალხმა — ამბობს სუბოტიჩი—მიიღო ეს გაუგებარი წიგნები განუსაზღვრელის სიხარულით და სასოებით და გონმსავით ინახავდა მათ. სერბიელებს დოსითეოს ობრადოვიჩამდე არ მოეძებნოდათ იმისთანა კაცი, რომელსაც სიტყვა მიეცა ჩამკვდარის ლიტერატურისათვის და მიძინებულ ნაციონალურ გრძნობისათვის სული ჩაედგა.

ნამდვილი გზა ნაციონალურ მწერლისა ძნელი გამოსაჩხრეკია; ეს შეუძლიან მხოლოდ დიდად ნიჭიერს და ბუნებით უხვად დასაჩუქრებულს კაცს, რომელსაც გამოუცდია უბედურება და ტანჯვა ხალხისა, ესმის მისი საჭიროება და სურვილი. ამისთანა იყო ობრადოვიჩი და უველა ის მწერლები, რომელნიც შეუდგნენ სლავიანების აღდგენას. ისინი იყვნენ უბრალო ხალხის შვილები და ევროპიელ მეცნიერებასთან კარგად გაცნობილნი. აქედან წარმოსდგება მათი მხურვალე სიყვარული

ხალხისა. დაუღალავი შრომა ევროპიულ მეცნიერების და განათლების ხალხურ ნიადაგზედ გადმოტანისთვის. ხალხის და სამშობლოს სიყვარულმა დაჭბადა მათი შრომა მათის ეროვნების წარსულის და ესლანდელ ცხოვრების გამოსაკვლეველად. მათმა შრომამ ევროპიულ განათლების გასავრცელებლად შექმნა თანამშრომლები და მოწაფეები, რომელნიც გაცილებით უფრო შორს წავიდენ, დაიწყეს შრომა არა თუ მარტო განათლებისათვის, არამედ პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებისათვისაც. ამ განვითარების ისტორიას ჩვენ მოგითხრობთ მეორე სტატიაში.

**

პარიკი, 1881 წ.

გადაკარგული მხარე.

(«ხევსურები და ხევსურეთი.» თხზულება დ—რის გ. რადდესი.)

(დასასრული *)

ესლა უფრო ვრცლად დაგვჭირდება ლაპარაკი ხევსურების ზოგიერთ იმისთანა ჩვეულებაზედ, რომელსაც პირ-და-პირი დამოკიდებულება აქვს მათს ეკონომიურ მდგომარეობასთან.

ყოველს მთის ხალხს აქვს ერთი რიგი ხარჯი, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს კისერზედ და ეს ტვირთი არის „წირვები,“ გამართული მიცვალებულის მოსახსენებლად. კარგად არის ნაგრძნობი ხალხისაგან ამ გვარ ხარჯების მავნებელი. გამღარიბებელი მოქმედება და ბევრს ადგილს ეცადნენ მათს სრულს ამოკვეთას, ან შემსუბუქებას, მაგრამ იმისთანა ჩვეულების ღალატი და ერთბაშად შეცვლა, რომელსაც ხალხში თვისები საუკუნოებით გაუდგავს, ადვილი არ არის.

ხევსურები მიცვალებულს პირ-მოუპარსავს არ დაუგდებენ ხოლმე; ჭირის-უფლები კი, მგლოვიარობის ნიშნად, წვერს გამოიშვებენ. დედა-კაცები სხვა-და-სხვა ვადამდე, და არა უმეტეს ერთის წლისა, ხორცს არა სჭამენ, მარხულობენ. ვიდრე მიცვალებულს არ დაასაფლავებენ და „შესანდობარს“ ე. ი.

---

*) «ივერია» № 4, 1881 წ.

ნიშანს თოთეის სასრულად არ დაუყენებენ, სოფელში, ან სოფლის გარეშემო თოთეს ვერავინ გაისვრის, თუ არ რომელსამე გაჭირების მიზეზით. დამარხვის დროს ზარით ტირილი იცით, როგორც საზოგადოდ სხვა მთის სალხმა. ბ. რადდე ამ ჩვეულების შესახებ ამბობს: «.... გალავანში, მიცვალებულს გარს შემოეხვევიან დედა-კაცები და ზარითა ტირიან. ერთი მოსთქვამს და სხვები ბანს აძლევენ. ამ მოთქმელს დედა-კაცს ქირაობენ ხოლმე და უველაზედ უკეთესს მოტირალს ამოარჩევენ.»

არც ხევსურეთში, არც დანარჩენს მთაში მე არ გამიგონია და არც მინახავს, რომ ვისმე სატირლად ქირაობდენ და ამ გვარ შრომისათვის თეულს აძლევდენ. მართალია, ზოგან მაგ. ხევში მიცვალებულს კაუ-კაცს უგულმა შეკმაზულს ცხენს გაუოლებენ ხოლმე და ცხენზედ შემოხვეულს ყანაოზს აძლევენ უკანასკნელ მოტირალს, რომელმაც სამარის პირზედ უკანასკნელი სიტყვა უნდა უთხრას მიცვალებულს, მაგრამ ხევსურეთში ეს ჩვეულებაც არ არის.

დამარხვამდის ჭირის-უთვალ მოხუცებულ კაუ-კაცებს უკვარჯენები (ჯოხები) უჭირავთ ხელში, ქუდები თავლებზედ ჩამოთხატული აქვთ და სუელოები ჩამოწეკეტილი. დედა-კაცები ტირილს გარდა, თავიანთ მკვდარს იხსენიებენ აგრეთვე «წეკოს» (მახოგა, მაგარი თამბაქო) კაბოლებით; წეკოთ სავსე ჩიბუხს მოუკიდებენ და უველა ახლად მოსული სამძიმრის სათქმელად ჩაცუცქდება მკვდრის გვერდით, ბოლს გამოუშვებს და უსაყვედურებს მიცვალებულს, ამ გვარის მწუხარების მოტანისათვის; ეს ჩვეულება რადდეს არ გაუგონია და რ. ერისთავს კი თავის თხზულებაში აქვს აწერილი, თუმცა ცოტა სხვა რიგად.

ხევსურეთში მიცვალებულებს მარხამენ სუკეთესო ტანი-

სამოსით, უკუბოდ, ჭაჭებით (ბუნელი ქვა) გაკეთებულს სამარეებში, რომელსაც ზეიდგანაც ჭაჭსა ხურავენ და დანარჩენს მიწით ავსებენ. ამაკე რიგად მარხავენ უველა ხევსურების მომიკვნაკე სალხშიაც და ათასში ერთგან ესლა შემოიდეს კუბო, თუმცა ჭაჭის კედლებს მაინც უკეთებენ სათვალვებს.

რადგე ლაპარაკობს კიდევ იმისთანა სამარეებზედ, რომელნიც ვითომც მიწის ზეით ეოფილიუენ გაკეთებულნი, მაგრამ არც რ. ერისთავი, არც ზისერმანი არაფერს არ ამბობენ ამაზედ და არც მე გამიგონია. მართალია, როგორც ხევსურეთში, ისე სხვა მთიან ადგილებში, მაგალითად, ხევში აკლდამები ბევრია, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს აკლდამები სალხთა დიდ გამდმოსახლების დროს იყოს გაკეთებული აქ გადმოვარდნილ უცხო ტომთაგან *).

დამარხვის დროს არამც თუ მარტოკა ის სოფელი გროვდება, რომელშიაც მიცვალებული სცხოვრობდა,—სრულიად და-

---

*) ამას მე იმიტომ ვამბობ, რომ ჭაჭით გაკეთებული სამარეები ძალიან ძველის დროიდამვე უნდა იყოს შემოლებული და ესა მტკიცდება იმ ძველ სამარეების ამოჩენით, რომელნიც მთელს ხეობაში არიან გაბნეულნი და რომელნი მოსათხრელადაც მოგზაურობდენ გრაფი უვაროვი,, ფილიმონოვი და სხვანი. ეს სამარეებიც სწორედ ისე არიან გაკეთებულნი, როგორც ეხლა აკეთებენ და ისე დაძველებულან, რომ მათში ძვლები სრულებით დამპალა, დანაცრებულა და მიწაზედ თეთრ ფქვილსავითღა მოჩანს. ერთი განსხვავებაა მხოლოდ მაშინდელსა და ეხლანდელ სამარეებში: მაშინ ხალხი ისე მდიდარი ყოფილა, რომ მრავალს ოქროსა და ვერცხლის სამკაულს და რკინის იარაღს აკლანდა მიცვალებულებს და ეხლა ცოცხლებსაც აღარა აქვთ ამისთანა სამკაული. ესეც შეიძლება, რომ ეს სამარეები უცხო-ტომელ ხალხისაგან იყოს დარჩენილი და აკლდამები კი მთის ხალხისა ყოფილიყოს და შემდეგში უცხოელების დამარხვის წესი მთის ხალხსაც მიეღოს. ა. ყ.

შორებულ ადგილებიდამაც მოდის სალხი და ისედაც დაზარალებულმა სასლობამ, უნდა გაუკეთოს წირვა ამოდენა სალხს, ე. ი. კარგად დაუხვდეს საჭმლით და სასმლით თავის მიცვალებულის მოსახსენებლად. ამ შემთხვევაში აღარა ზოგვენ სარს, ძროხას, ლუდს, არაყს. ხევსურები დარწმუნებულნი არიან, რომ სული უკვდავია, გრძნობს ყოველისფერს და რაც საჭიროს დაიკვლის და დაისარჯება მიცვალებულის მოსახსენებლად, ყოველისფერი საიქიოს მიუვა.

ამ პირველ წირვის გარდა, რომელსაც «ჯვარობასაც» ეძახიან, წელიწადში კიდევ რამდენიმე „სიფრო“ *) დაიდგმის, ე. ი. პატარა ჯვარობები გაიმართება და ბოლოს, წლის თავზედ, გლოვა გათავდება დიდის ჯვარობით და დოღებით

დოღების დროს, ბევრჯელ საუკეთესო მარბენად ცხენის პატრონს ძღვევენ სალუდე ქვაბს, რომელიც 80—150 მანეთამდე ღირს. მეორეს ძღვევენ სარს, ან იარაღს, რომელიც ძალიანა თვსობს იმათში, ბაგალითებრ ზოგი თოფი 20 ძროხამდის, და რა ძროხა იქნება იმისთანა. რომ ჩვენს ანგარიშზედ, 15 მან. მაინც არა ღირდეს. მესამესაც ერთი ხელი ტანისამოსი ეძღვევა.

რადგა ამბობს დოღებზედ: „კაცი გაშტერდება, როგორ მაგრდებიან (მსედრები) უნაგირზედ ამ საშინელის დოღების დროს, რადესაც გაქანებულნი მიაჭენებენ თავ-ქვე იმისთანა ბილიკებზედ, რომელზედაც ქვეითი კაციც კი ფეხს მაგრა ვერ მოიკიდებს.“

მართლაც რომ გასაშტერებელია ამისთანა მსედრობა, მაგ-

---

*) სიფრო—სიფრა, გძელი სკამეიკის მაგიერი, რომელზედაც ხორაგს აწყობენ.

რაც მაგასთან კიდევ უფრო ის არის გასაშტერებელი, რომ ხევსურები ამ შემთხვევაში უნაგირებს სრულებით არა ხმარობენ, ცხენებს აქვთ გაკეთებული მარტო „საკუდური“ (საძუე) და „ქარშიკი“ (მოსართავი), ოთხი თითის სიგანე. მატულისგან მოქსოვილი ზორტი. მუცელზედ ამოკლებული. ერთი სული ამ „საკუდურ—ქარშიკზედ“ უკლიათ და ეს იმაგრებს მათ თავდაღმართში, მეორეთიც თავთავრი და აღვირი უჭირავთ და ესა შველის აღმართებში. სხვა სამკაული ცხენს სრულებით არა აქვს-რა.

ხევსურები ძველადგანვე მართლ-მადიდებელი ქრისტიანები ყოფილან, როგორც იმათი მომიჯნავე ქისტები, მაგრამ ყამთა-ვითარებისაგან ქისტებში შემოსულა მაჰმადიანის სარწმუნოება და ხევსურეთშიაც შერეულა რაოდენადმე ძველი რჯული. ამის გამო, რამდენიმე წლის წინად ნაკურთხის მღვდლების მაგივრად ხუცესები სწირავდენ, ლოცულობდენ და სხვა ქრისტიანულს წესებს ასრულებდენ. რასაკვირველია, „ხუცესებისაგან“ სალმრთო-წერილის უცოდინარობამ სრულებით შესცვალა ზოგიერთი ეს წესები. ხუცესების ლოცვა შესდგება ქრისტიანულ ლოცვების აქა-იქა ამოგლეჯილ ნაკუწებისაგან. სალხში არის დარჩენილი ზოგიერთი ჩვეულება კერპ-თაყვანის მცემლობისა, არის ებრაული წესები,—როგორც მაგალითად ზოგიერთს სოფლებში შაბათის დღესასწაულობა; მაჰმადიანის წესები—ბარამეგვის დღესასწაულობა, ღორის უჭმელობა და სხვა. ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან დანიშნული მღვდლები ცდილობენ სწორე გზაზედ დაუყენონ ეს სალხი, გასწმინდონ ქრისტიანობა სხვა რჯულის წესებისაგან, მაგრამ ისინი—მღვდლები—სრულებით არ არიან მომზადებულნი იმ შრომისათვის, რომელიც მათ უკისრიათ და ძალ-

დიტანებით მოქცევა ხალხისა—მაგალითებით ვიცით—კი არ აგეთებს საქმეს, უფრიდაც ამნელებს. რადდე ამ სიგანს ესეთის თვალით არ უყურებს და პირ-და-პირ ამტყუნებს ხალხსა, ჯერ მომზადებულნი არ არიან ამ წმინდა სწავლის მისაღებადაო... მაგრამ ის ემჯობინება თითონ ავტორისავე სიტყვებით გადმოგცეთ ეს ადგილი, რადგანაც ძალიან მიემგზავსება ყელიხოვსკისგან ერთხელ წამოროშილს აზრს, «ვითომც ქართველებს თავის მოყვანილება ისეთი ჭქონდესთ, რომ განათლება და გაკითარება არ შეეძლოთ.» ამისთანა ვალური და წარამარა აზრი ყელიხოვსკისაგან არავის გაუგეირდა, მაგრამ საკვირველია, როგორ ამბობს თითქმის ამ გვარსავე აზრს იმისთანა კაცი, რომელიც მეცნიერებაში თავსა სდებს.

აი თითონ რადდეს სიტყვები: „ის მტირედი წარმატება, რომელიც მოასწრეს მართლ-მადიდებელ სარწმუნოების წარმომადგენლებმა, ამტკიცებს მტირედს მომზადებას ქრისტეს სიტყვების მისაღებად, ასე რომ შეიძლება იმათზედ (სვესურებზედ) მოეწოს იესოს სიტყვები, რომელიც ამბობს: „ზოგი მარცვალი დაეცა კლდეზედ და სხვა.“ (88 გვერ. თხზ. რადდესი.)

ვგონებ სვესურები არ ჩამოუვარდებიან გონების გახსნილობით ბევრს იმისთანა ხალხს, რომელშიაც ქრისტიანობა არის გავრცელებული და ის „მარცვალი,“ რომელზედაც რადდე ლაპარაკობს, უეჭველად ნაყოფს მოიცემოდა. მეესვეს რომ თესვა და იმის მოვლა იცოდეს.

„ხუცესების“ გარდა სვესურებსა ჭყავთ კიდევ სასულიერო წოდების პირნი—„დეკანოზები,“ რომელთ მოვალეობაც არის დროშებისა და ხატების გასვენება, იმათ საუნჯის შენახვა და დამალვა ისეთს ადგილებში, სადაც სხვის ხელი და თვალი

ვერ მისწვდება, სტობაში სალხის „დამწყალობებაᲨ (დალოცვა). დეკანოზად შეუძლიან გახდეს მხოლოდ ის, ვისაც სტი გამოითხოვს, ე. ი. ვისაც ქადაგად დასცემს. ოთველ დღეობის წინად დეკანოზები გადიან საწმენდად სოფლის გარედ და იქ ოთველ-დღე იბანენ ტანს; საჭმელ-სასმელს სოფლის სალხი უზიდავს.

ქადაგად დაცემა ასე მოხდება ხოლმე: როდესაც დღესასწაულობენ რომელსამე სტობას, მაშინ ერთი მლოცველთაგანი ვითომ სტისაგან არის ამორჩეული, წაიქცევა და ენა ჩაუარდება; მიესვევა სალხი. ავად-მყოფი მოჭყვება კანკალს, ძრწოლას, აქედ-იქით აწუდება და ყვირის: „ეაგსეთქ! გაგსეთქ! გაგსეთქ!... მე ვარ ფაშარის ჯვარი!... ოჭ, ოჭ, ოჭ!Შ ამ გვარად ავად-მყოფი სან ჭკვის, სან სრულიად მოუძლურებული ძირს ეცემა. სალხი ეხვეწება სატს, რომ ათქმევინოს ოთველისთვერი, რაზედაც განრისხებულია და რასაც სალხისგან ითხოვს. ბოლოს, როცა ავად-მყოფი ამ თვალთმაქცობით გულს მოიჯერებს, ბევრს მლოცავს შეაწირვინებს საწირავს, სანთელს, საკლავს, ეურატს; მერე ვითომც გონებაზედ მოვა და გამოაცხადებს, რომ ამა და ამ სატმა ამირჩიაო და იმ დღიდამეე ჯერ უმცროს დეკანოზად ითვლება და მასუკან უფროსობასაც მალე მიიღებს.

დეკანოზებს ოთველთვის ლოცვის დროს დროშა უჭირავთ სელში და ამ დროშას შებმული აქვს ზედ შეწირული შანები, სატები, ულლები და ზარები. ამ დროშებს ძველადგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ და ოთველთვის ომის დროს სალხი იმათ წინ გაიძღოლებდა ხოლმე. ბ. რადდე ამბობს, რომ: „ერთი ამ დროშათგანი თ. ვორონცოვის ბძანებით იყო წამოღებული ხახმეტიდგან. ის ინახებოდა თიანეთის საყდარში,

და მღვდელმა ცისკარაშვილმა, თავის სიკვდილის წინად გადმოცა მეო. (რა ნებით?).... უწინ სათავეში ვერცხლის ბუშტი ლ მახვილი ჭქონოდა, მაგრამ ვიღასაც გაუცარცვავს ლ ვერცხლის სამაგიეროდ უბრალო ყესტი გაუკეთებია. ადარა ჭქონდა აგრეთვე ვერცხლის ზარი... ხალხს ისე სწამს ეს დროშა, რომ ყველგან გაჭყვებოდა დეკანოზს, სადაც კი ის წაუძღვებოდა, თუ ამისთანა დროშა ექნებოდა ხელში....“

„ხახმეტელებმა,—ამბობს ბ. რადდე—რამდენჯერმე ითხოვეს, რომ დაებრუნებინათ იმათთვის ეს „წმინდა ნიკთი,“ მაგრამ არ დაუბრუნეს, რადგან უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ მართებლობა არ თანაუგრძნობს ამისთანა რწმუნებას. ამ სიმკაცრემ მაინც ვერ შეარყია ხალხის რწმუნება და დეკანოზები გაჭსადა უფრო ეჭვიანებად და უნდობლებად... ამ დროშასთან ერთად წამოელოთ კიდევ ერთი მეტალის ლოში... და ამბობენ ის ლოში შემდეგში ბოდბოლოვნიეს გურკოს ჩაუკარდა ხელშიო. სამწუხაროა, რომ ამისთანა ნიკთები კერძო პირებს უცვია ხელში და სამუდამოდ იკარგება.“ მართლაც ლ ზოგიერთ პირთა წუალობით საქართველომ ბევრი ისეთი ძველი განძი დაჭკარგა, რომ კაცი თვალითაც ვერსად იშოვის. ვინ იცის, რამდენი ხელ-ნაწერი, რამდენი ძვირ-ფასი ნიკთი, რომლის დროსი, და რა საქმეების მოწამე შეიწირა გარეშე პირების სიბრიყვემ და თვალ-სარბობამ. ამ ნიკთების დაკარგვა უფრო სასულიერო პირთ უნდა დაბრალდეს, რომელთაც არ ესმით, რომ არა აქვთ ნება გარედ გაიტანონ და სხვას გადასცენ, რაც იმათთვის მიუბარებიათ. ამ გვარადვე დაიკარგა რამდენიმე ათასის თუმნის ნიკთეულობა ხეკიდგან და მთიულეთიდგან და ზოგიერთმა მღვდელ-ბლალოჩინებმა ძვირ-ფასის

განძის მაგივრად ორ-შაურიანი ხატები დაარიგეს საყდრებში და სალოცავებში.

ხევსურები სხვა-და-სხვა რიგად მკითხაობენ და ექიმობენ. ზოგნი ფთიღებს ჩამოასხმენ, ესე იგი ბაშბას დაახვევენ თითის-ტარზე და ხატების სახელზედ დაეწყობენ წყლით სავსე ჯამზედ. რომელი ფთიღიც გაიხსნება, იმ ხატის მიზეზი იქნება. ბ. ერისთავს უნახავს ძველით მკითხაობა, რომელზედაც მე არა გამიგონია-რა. ბ. რადდეს სიტყვით ექიმობაც ხევსურების სასულიერო წოდებასა აქვს დაჩემებული, მაგრამ ეს აზრიც შემცდარი აზრია. ხევსურებში ექიმობს ის, ვინც იცის ექიმობა და ამის მცოდნე შეიძლება სუფესიც იყოს, დეკანოზიც და ერის კაციც. მართალია, ავად-მყოფობას უფრო ხატის მიზეზს აბრალებენ ხოლმე და აკითხვინებენ, მაგრამ დაჭრილობის წამლობა კი ისეთი იცია, რომ ბევრს ნასწავლს ექიმს გააკვირვებენ თავიანთ გამოცდილებით. ნასწავლ ექიმების ხელში კაცს ანტონის ცეცხლი (განგრენი) ადვილად უჩნდება და ხევსურეთში კი, როგორც საზოგადოდ მთის სალხში, არც კი იციან რა არის «ანტონის ცეცხლი,» რადგან დაჭრილობას თავის დღეში ისე არ გაუმნელებენ, რომ „ანტონის ცეცხლი“ გაჩნდეს. იარების სარჩენად ხმარობენ სხვა-და-სხვა ბალახეულობას: მრავალ-ძარღვას, მელის-კუდას, კანაფის ძენძს თავფლში ან ერბოში ამოჭყლეტილს; შაბიამანს და გვარჯილას ამოგდებული ძვლის მოსარჩენად, ხორც-მეტის მოსაჭმელად. კიდევ ბევრი სხვა უებარი ბალასის ძირები, ფოთლები, და თესლი იციან წამლად, მაგრამ მალვენ და არავის ასწავლიან. კარგად სწამლობენ წითელ ქარს, ხარის ყვავილს (ავ-ზნის მუწუკს) და სხვა რიგს მუწუკებს, რომელთაც თავის დღეში არ გასჭრიან. კარგად ხმარობენ აგრეთვე წამლობაში, ჭარელას, ხა-

რისძირს, ტუსტის ძირს, კანთეისა ⸗ სელის თესლს, «თორს» (გამბალი და გაღვიებული ქერი), მახორს. მე დავესწარ მოწმად რომ ორმოც-და-ათის წლის კაცი წუალმანგით ავად-მყოფი მოარჩინეს, თუმცა კი თესების სიმსივნე მუცლიმდინ ასვლოდა, და ისე გაძნელებოდა ეს ავად-მყოფობა, რომ თესზედაც კი ველარა ლგებოდა.

ხევსურებს ბევრი დღესასწაულები და უქმეები აქვთ. ეს დიდად აკვირვებს ბ. რადდეს, თუმცა გასაკვირველი აქ არა არის-რა, რადგანაც მთელს ზამთარს შემწუვდეული და მოწყენილი ხალხი, იძულებულია დღეობები ზათეხულობით იქონიოს და ნახოს ის სიამოვნება, რომელსაც ზამთარში მოკლებული იყო. რასაკვირველია, რომ მთელს ზამთარს ტოლ-ამხანაგში გამოწყვეტილი ხევსური ზათეხულს ნეტარებით მოელოდეს და მის მოსვლისათანავე მოსწყურდეს საზოგადოება, დრეს გატარება, სხვების ნახვა და თავის-თავის ჩვენებაც.

რადდე ამბობს: «.... ბ. ერისთავის სიტყვებით ხევსურები ინახვენ დიდ-მარხვას.... დიდ-მარხვაში ჭკიდებენ ვაშლს, რომელშიაც ჩარჭობილია შვიდი თრთა და ოთველ-კვირის დამლევს თითო თრთას გამოაძრობენ. ამ გვარად მეშვიდე თრთას რომ გამოაძრობენ, თავდება მარხვა და მოდის აღდგომა.» ესეგე ჩვეულება ყველგან არის საქართველოში, მხოლოდ ვაშლის მაგიერად, ნატრიანს ბარკსა ჭკიდებენ; იმას ეძახიან ბობოლას. «.... საკვირველია, ამბობს ავტორი, რომ უკანასკნელი ყველიერის დღე და მარხვის სამშაბათი, (ე. ი. ორშაბათი) დიდ დღესასწაულად მიაჩნიათ ხევსურებს.» ეს ჩვეულებაც წმინდა ქართული ჩვეულება არის, და ყველნობას ეძახიან. სხვათა შორის, ესეც გვიმტკიცებს, რომ ხევსურები ქართველის ტომის ხალხია.

ადგომის შემდეგ რამდენიმე კვირა რომ ჩამოვა, იმართება დღეობები და რაც დედა-მიწა მშრალდება და ამწვანდება, ისე დღეობებსაც უფრო ბევრი სალხი ეტანება და ბევრი საწირავი და საკლავი მიდის.

იმაზედ უმშვენიერესს ვერას ნახავს კაცის თვალი, როგორც ერთს ამ გვარს დღეობაში ღამის თევას! წარმოიდგინეთ ამაყად ამართული მთები, რომელთაც თავები თითქო სიბერისაგან გასთეთრებიათ. ხშირად მთავრე დასტქერის მათ ჯ მის შუქზედ ათას-გვარი კლდეები და ქვები წარმოადგენენ სხვადა-სხვა ერთი-მეორეზედ უფრო ფანტაზიურს სურათს. ტოტა ქვეით, მთავრის შუქი ჯერ არ მისდგომია, მშვენიერად გადაჭიმულა მწვანე უვავილებით შემოსილი ველი, რომელზედ გაბნეულან თავ-თავის ბინად მლოცველები და ცეცხლები გაუჩაღებიათ. კაცები შეკურკვილნი ჯაჯვ-ჩაჩქანით, თვრ-ხმალით და სხვა საომარ იარაღით, ცეცხლის შუქზედ ერთი-ორად უფრო მამაცად მოჩანან. ზოგან ველს გვერდზედ აკრავს მშვენიერი უდაბური ტყე, მის თოთლების შრიალს ხმას აძლევს წყაროების ჩუხჩუხი და ჩანჩქერის ხმა, რომელიც მაღალის მთიდამ გადმოჩუხჩუხებს.

აქა-იქა ხედავთ მეფანტურეებს, რომელნიც ლექსებით ქებას შეასხმენ რომელიმე გმირის კაჟ-კაცობას, და ლუდით ან არაყით მოიხსენებენ იმის წარსულს ცხოვრებას. შორს ბილიგზედ ცხენს მოაჯენებს დაგვიანებული ხევსური, რომელიც დაიმედებია თავის თეს-მაგარს ცხენსა და ეურადღებას არ აქცევს, არც ქვებს, არც ხრამებს, არც გადასავარდნებს, თითქო იმას დიდი ხანია თავზედ ხელი აუღია და ორივ ერთი გამხდარა იმისთვის, დღეს მოკვდება, თუ ხვალა...

უმთავრესი ხატობები არიან: «გუდანის ჯვარობა» და

«ხახმეტობა»; ამ ჯვარობებში ესლაც დადიან თეშავები, თუშები, მთიულები, ქისტები და მოხევეები. სხვა დღეობებს კი უფრო კერძო სასიათი აქვთ.

ბ. რადდე მოგვითხრობს თავის თხზულებაში მღვდლის ინაკვის სიტყვით რომ: „ხევსურები ესლაც დაეტმიან ხოლმე თუშებს და თეშავებს, დღეობების წინ, ცხვრების მოსატანებლად საბედნიერ-დღეოდაო. ამ „დავლაში“ უწყალოდა ჭხოტვენ ერთმანერთს. ხევსურები მტრები არიან თეშავებისა...» მტრობის მიზეზი კი აი რა იყო თურმე: „ერთხელ ხევსურებს ცხენებით მარილი მოჭქონდათ, ორ-წყალზედ ჩაუტუდათ ხიდი და თეშავების საქონელმა დალია ეს მარილიანი წყალი.(?)... თუშებთან მეგობრად არიან ხევსურები და უწინდელს დროში შეუერთდებოდენ ხოლმე მათ ქისტებზედა და ლეკებზედ გასალაშქრებლად...“ (გვერ. 99. თხზ. რადდესი).

ეს ადგილი ბ. რადდეს თხზულებისა სავსეა ერთმანერთის მოწინააღმდეგე აზრებით და ეს აშკარად ამტკიცებს, რომ ბატივ-ცემულ ავტორს ხალხის ცხოვრებისათვის ბევრი უურადღება არ მიუქცევია და მოგვითხრობს ალბად ვიღაცა გოჯიევის ან ინაკვის სიტყვებს. ამ წიგნიდამ კაცი ვერას ღონისძიებით ვერ გაიგებს ხევსურების დამოკიდებულებას თეშაველებსა და თუშებთან და თითონ ის ზღაპრული ამბავიც, რომელიც „მარილსა“ და „საქონელს“ შეესება არის ჭორი უსაქმო ფანტაზიისა.

ჩვენ კი ჩვენის მხრით აი რის თქმა შეგვიძლიან: ძველადგანვე ხევსურები და თუშ-თეშავები ერთმანერთს მეგობრულად უცქერდენ და მისდეგ-მოსდევდენ და თუ რომელიმე ღრუბელი გაირბენდა, ან გაირბენს იმათ შუა, უფრო კერძო პირთ შეესება და მაღლეც მორიგდებიან ხოლმე შუა კაცების შეეწყობით.

იმის დასამტკიცებლად, რომ ხევსურები გამხეცებული ხალხი არ არის და ძიელ არ არიან დაშორებულნი ზნეობით თავიანთ მომძე ქართველებთან, ჩვენ მოგვყავს თიანეთის საასამართლოს სტატისტიკური ცნობა, თვითონ რადდეს თხზულებიდგან:

	ქისტებში.	ფშავებში.	ხევსურებში.	თუშებში.	ქართველებ.
კაცის-კვლა, კაცის-კვლის დაპირება, დაჭრა-გაცარცვა . . .	12	3	—	3	1
თავის-თავის მოკვლა	—	—	2	1	—
ქურდობა ან ცეცხლის წაკიდება?	—	1	—	1	—
ერთიანად — —	12	4	2	5	1

თქვენ თითონ ხედავთ, რომ ყველაზედ მეტი წილი დანაშაულობისა მოდის ქისტებზედ, მერე თანასწორი რიცხვი ფშავებზედ და თუშებზედ და მასუკან ქართველები (უფრო კახელები) ბევრით ძალა არა სდგანან ამ მხრით ხევსურებზედ. რასაკვირველია, რომ ეს სტატისტიკა სწორე არ არის, რადგანაც, ბევრით მომეტებული დამნაშავეები იქნებოდენ ხევსურეთში სანამ აქ არის დასახლებული, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სხვა მეზობლების შესახებადაც იმავე პირობებში არის შედგენილი ეს ანგარიში, როგორც ხევსურების შესახებ,—მაშინ დავრწმუნდებით, რომ ხევსურები ისე გაველებული ხალხი არ არის, როგორც რადდეს წიგნის წაკითხვის შემდეგ ეგონება კაცსა.

საზოგადოდ ხევსურეთში ეოველს დავას არიგებენ ბჭეები, რომელთაც თითონ მოდავეები იჩჩევენ. ბჭეებად უფრო დარბაისელ მოხუცებულებს აყენებენ, რომელთაც ხალხში ბა-

ტივის-ტემა და სახელი მოუპოვებიათ. მათი გადაწყვეტილება ადარ გადაბრუნდება და დამნაშავე ყოველის უარის უთქმელად ასრულებს მას. ამის გამო ხუვსურებში აღმასრულებელი უფლება (ადმინისტრაცია) თითქმის არ არის საჭირო: უომისოდაც საქმეები უფრო ჩქარა და უფრო სამართლიანად თავდება. გასაშტერებელია სიმტკიცე და პატიოსნება ხევსურებისა ბჭობის დროს და ხშირად გონივრული მოსაზრება. იმ ბრიყვს, გაუნათლებელს და ველურს სალხს, როგორც იმათ ჩვენ ვეძახით, არ ეჭირვებათ გადაწყვეტილების შესასრულებლად არც ბრწყინვალე მომართულება, ათასის კაბალისტიკურის ნიშნებით და არც მბჭუვინავ—ტანისამოსიანი მსაჯულები. ხევსურებში საჭირო არ არის არც ქალალდი, არც ნოტარიუსები, არც ბეჭედი. ხევსური სესხულობს, ამლევს «იალუსად» (სრგებლით) ფულს, ჭეიდის, ყიდულობს უქალალდოდ ხშირად მარტო ერთის მოწმის თანდასწრებით. ამ მოწმის მოვალეობა არის, საშვილიშვილოდ გადასცეს, რისაც მოწმე ყოფილა და შვილნიც მოვალენი არიან უმოწმონ, როდესაც კი საჭიროება მოითხოვს. საზოგადოდ ეველა დამნაშავეს შეუძლიან თავისი დანაშაული გადაიხადოს საქონლით, რამდენიმე ძროხით, რომელიც უწინ ფასობდა თითო 5 მან. და ახლა კი 12 მანეთამდე ფასობს. რასაკვირველია, ფულითაც, იარაღითაც და სხვა საქონლითაც შეიძლება გადაიხადოს დამნაშავემ გადასახადი.

კაცის-კვლისთვის ხევსურებს ახდევინებენ 60 ძროხამდე. დაჭრისათვის—შემდეგის ანგარიშით: თუ სახენს ალაგას არის კაცი დაჭრილი, ჭრილობაზედ ერთს ქერს სიგძეზედ დაადებენ, მეორესაც სიგანეზედ და რამდენიც ამ გვარად დაეტევა იმდენს ძროხას ახდევინებენ დამჭრელს. თუ უჩენს ალაგას და

არა საშიშოს—მხოლოდ ნასვეარს ახდეინებენ. ტეგეიისაგან ჭრილობისთვის კი გადასახადს ბჭეები ნიშნავენ.

რადდე ამბობს, რომ ვითომც დამნაშავეს, თუნდა გადახდილიცა ჭქონდეს სისხლი მაინც მკვდრის ნათესავებისაგან უნდა ეშინოდეს, რადგან დედის ძმას და სხვა ნათესავს ისევ დავის ატეხა და მოკვლაც კი შეუძლიანო. ამ გვარად შერიგებული თუ მოჭკლა ვინმე, მაშინ ეს უკანასკნელი მკვლელი ნახევარზედ ნაკლებსა ჭსდილობს, ესე იგი 70 გადახდილის ძროხის მაგიერად, 30-სდა უბრუნებს შერიგების შემდეგ მოკლულის ნათესაობას.

ეს რომ ასე იყოს მაშინ რაღა აზრი ექნებოდა შერიგებას? დამნაშავე ყოველთვის ამას იფიქრებდა: მე მივცემ სამოცდა-ათ ძროხას, მაინც მომკვლენ ჯ ჩემს ნათესაობას 30-ს ძროხასდა დაუბრუნებენ; ისინი რას დაჭკარგვენ ჩემის სიკვდილით, 40 ძროხა ხომ მაინც მუქთად დარჩებათ? არა სჯობს ისევ არ შევურიგდე და ორმოცი ძროხა, რომელიც სიკვდილისგან მაინც ვერ მიხსნის, მუქთად მაინც არ დავკარგოო.

მოკლულის პატრონებიც იტყოდენ: რა გვენაღვლება შეგირიგოთ 70 ძროხა შესარიგები გამოგართვათ, მერე მოვკლათ და მარტო 30 დავუბრუნოთო.

ხევსურები ისე სულელები არ არიან. რომ ეს არ ესმოდეთ და ამისთანა მოუაზრებელს დებულებას თავის-დღეში თავის ცხოვრებაში არ შეიტანდენ. ამას გარდა რადდეს ავიწყდება რომ ხევსური მტკიცედ ასრულებს თავის პირობებს და არა ღალატობს თავის დღეში ძმობილად, ან შვილობილად მიღებულს.

მე-107 გვერდზედ რადდე თავის თხზულებაში ამბობს: «.... ციმბირში გაგზავნის მაგივრად დამნაშავე ხევსურებს

(მსაჯულების შუამავლობით) საზოგადოდ ერთის წლით ციხეში ჩასმენ ხოლმე. ეს სანიც საკმარისია, რომ კაცის მკვლელმა-სეესურმა, თუ კი ამ ერთ წელიწადს სიკვდილს გადურჩა, (ალბად ძვირად გადურჩება ხოლმე სეესური ციხეს ტოტხალი, რომ ბ. რადდემ ამაზედ დაიდასტურაკა) უარ-ყოს თავისი შეხედულება კაცის-კვლაზედ.» იქნება მართლა?... წარმოიდგინეთ ბ. რადდე ჩვენ კი აქამდის არ გვეგონა, რომ მაგ გვარი კარგი მოქმედება ჭეონოდა ციხეებს და სატუსალოების. თუ ასეა, მაშ რალას ველით! დავიჭიროთ მთელი „ველური მთის ხალხები,“ შევუყროთ ციხეებში და თუ იქ სულ არ ამოწყდენ, მაშინ საუკეთესო ზნეობის ხალხად გადიქცევიან. თუ ვერ გაუძლო წმინდა ჭაერს შეჩვეულმა მთის ხალხმა სუფრობილეს, რა უშავს?... საზრუნველი ტოტა-და გვეყოლება...

ბ. რადდეს ჭეონია, რომ „სასამართლო, თუ სასტიკად იმოქმედებს, უფრო გამოიყვანს ამ უსიამოვნს ალ ველურს ხალხს (ე. ი. სეესურებს) ცივილიზაციის გზაზედ. ვიდრე მშვიდობის-მყოფელი ეკლესია.“

საკვირველია რომ ამისთანა აზრს ამბობს ის პირი, რომელსაც ბუნების მეტყველება შეუსწავლია ალ კარგად უნდა იცოდეს, რომ ძალ-დატანებით ჩაგონება არასად არ გამოადგება. ამასთანავე ბ. რადდემ ისიც ძალიან კარგად უნდა იცოდეს, რომ ციხეები, სადაც თავ-მოყრილი არიან გაჭვავებულ გულის პატრონნი, სულით ხორცამდე გარყვნილი ავაზაკები, არამც თუ გააკეთებენ კაცის ხასიათს, უფროდაც გაუფუჭებენ.

ესეც რომ არ იყოს, თითონაც რადდე ამბობს, რომ წმინდა ჭაერს დაჩვეული ველური, ძნელად უძლებს მერალს, მოწამლულს ჭაერსაო?

ქურდობისთვის ჩვენური ერთი-შვიდად იხდის. დამნაშ-

ვემ უნდა ორი თავდები მოიუვანოს, მაგრამ ეს უფრო ფორმის გულისათვის არის საჭირო, და მე არ გამიგონია, რომ დამნაშავეს გაეკანჯლოს საქმე და მის მაგივრად თავდებს გადეხადოს. ამ თავდებს „მზეველს“ ეძახიან. თავდებების თოლბაზედ ბ. რადდე რაღაცა ზღაპრებს მოგვითხრობს. ის ამბობს: „თუ დამნაშავე არ გადაიხდის, რასაც გადაუწყვეტენ, მაშინ თავდებს მოეთხოვება. თავდებიც, თუ ვერ მიიღებს დამნაშავისგან, რაც თითონ გადაიხადა, გადახდევინების უფლებას სარგებლით ჭეიდის სხვაზედ. მესამე ხელიდამ შეიძლება ამ გვარად მეოცე ხელში გადავიდეს ეს უფლება და ყოველ ხელიხელთ გადატანაზედ სარგებელი ემატება. ასე რომ ბევრჯერ ერთი ასადა ხდება.“

ჯერ ერთი ესა თუ დამნაშავისაგან შეუძლებელია გადაწყვეტილის გამორთმევა, ამ მეორე პირმა ვიღასგან უნდა აიღოს? და თუ შეიძლებოდა აღება, თავდები რაღად გაჭეიდდა თავის უფლებას და პირ-და-პირ დამნაშავეს არ გამოართმევდა გადასახადს. ეს ხომ აშკარა არის, რომ ვინც თავდებად დაუდგებოდა, უეჭველია გულითადი მეგობარი იქნებოდა, ან ნათესავი და არ მოინდომებდა თავის მეზობლის გაღარიბებას.

მეორეც ესა, ვინ იყიდდა ისიც მეოცე ხელიდამ ამისთანა უფლებას და მისცემდა მაგალითად 80 ძროხას, რომ თითონ აეღო დამნაშავისგან დავ-და-პირველად გადაწყვეტილ ერთის ძროხის მაგივრად 100 ძროხა!!! რომელი ხევსური შესძლებს ამის გადახდას?! ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ თუ პირველი გადაწყვეტილება 7 ძროხა იქნებოდა, ბატ. რადდეს სიტყვებით ბოლოს დამნაშავეს 700 უნდა გადაესადა, თუ 10—1000!!

ხევსურები ბევრს არა ვაჭრობენ, თუმცა მათგან ერბო

ბლომად ჩამოდის თბილისში. ამ ერბოსა და ცოტაოდენს მსხვილ საქონელს გარდა ხევსურეთიდამ არა გამოაქვთ-რა. რასაკვირველია, ანგარიშში ჩასათვლელი არ არის კვერნის, მელის და მგლის ტყავები, რომელიც სანდისსან მოდის ხევსურეთიდამ. მართალია, ხევსურები ასე ცოტასა ჭყიდიან, მაგრამ ადებული თული ჭეოფნით თავიანთ მცირედ საჭირონებისათვის. ისინი ჭყიდულობენ მარილს, სხვა-და-სხვა მძიებს, ღვრინჭილებს, ნაგუწებს, რომელთაც თავიანთ ტანისამოსის მოსართავად ხმარობენ, ნევსებს, ტყვია-წამალს. სხვა ტანსაცმელის მასალას თითონ ხევსურის ქალები ამზადებენ. ცხვრის მატყლისას ქსოვენ ძალიან მაგარ შალებს, ზოგს უფრო მსხვილს—ჩოხებად და ზოგს უფრო წმინდას—ჩოხას ქვეშ (ბერანგად) ჩასაცმელად. სწორედ ხევსურსავით ველურად უნდა იყოს ადზრდილი კაცი, რომ ბერანგად ხევსურული შალი ჩაიცვას.

ქალები ბატარაობიდგანვე სწავლობენ მატყლის თითისტარზედ რთვას და შალების ქსოვას; ასე რომ ხევსურეთში ქალი არ გათხოვდება, თუ ტანისამოსის ჭრა, კერვა და შალების კეთება, ქსოვა არ იცის. ხევსურებს საქებურად მიაჩნიათ სხვა-და-სხვა დარბილებულ ტყავების კეთება, «სილაგის» ამოღება (дублить). მშვენივრად ზელენ აგრეთვე ხარის ტყავებს და აკეთებენ ღვედებს და ფეხთ-საცმელს.

ტანსაცმელს ხევსურები სხვა-და-სხვა ფერადა ღებენ, ენდრალი, ფოლიოთი, სანდლით, ისეთრის ხით და სხვ. უფრო გავრცელებულია მუქი აგურის ფერი, ლურჯი და შავი. ტანისამოსზედ სხვა-და-სხვა სახეებია გამოყვანილი, სხვა-და-სხვა ფერ ძაფებით და ღვრინჭილებით. მაგრამ ეს სახეები არ მიემგზავსება არც ბიბ-უტყვებს, არც მცენარეებს. უფრო ოთხკუთხ, ან სამ-კუთხ სხვა-და-სხვა ფერ ხაზებად არის გამო-

ფვანილი და შიგა-და-შიგ მძიგები და ღვრინჭილები ურევია.

ქალსა თუ კაცს ერთი და იგივე ზეიდგან ჩასაცმელი აქვს, რომელსაც ჭვიან ჩოხა. ეს ჩასაცმელი უფრო საბედნიეროდ აქვთ შესახული და უბრალო ჩასაცმელს კი «ჯუბასა» ეძახიან. ჩოხაც და ჯუბაც ერთმანერთის ჭეკვანან და უფრო გულ-გასხნილს ბერანგს მიემზგავსებიან. სანამ ჩოხას, ბერანგს გული ნაკერი აქვს, საყელო გვერდზედ ამოჭრილი. სხვა ტანისამოსი სკვსურებისა არის შალვარი. ბანდულები*), ჩაფსტები**) და საზამთროდ ტყავები. თავზედ კაცებს ზოგს თუშური ქუდები ხურავთ, ზოგსაც ტყავისა. ქალებს კი თავზედ შალები ახვევია და ყელზედაც ჩამოკვანწიალებული აქვთ მძიგები, ბეგრჯერ ვერცხლის ღილებ-გარეული.

იარაღი სკვსურებისა არის: თოფი, ხანჯალი, ხმალი, დაშნა (სწორეა ხმალი), ჯაჭვი, ჩაჩქანი, ხამელვაგ და თარი, რომელსაც განსაცვიფრებელად ხმა რომბენ. ამას გარდა ყველა სკვსურს უეჭველად აქვს თითზედ და ქამარზედ ჩამოკიდებული რკინის ბეჭედი—„სატერული," რომელსაც ხერხსავით კბილებს უკეთებენ. ხსენების დროს ამ „სატერულებით" აკაწრავენ და ასვენენ ერთმანერთის თავ-პირს. ძნელად ნახავთ ისეთს სკვსურს, რომელსაც პირის-ასუ ამ იარაღით დასახიჩრებული არა ჰქონდეს. სკვსურები იგეთებენ კიდევ «უძრახს» რკინის ბეჭედს, ე. ი. მეჭედელი გაიდვიძებს თუ არა, ადგება და ხმა ამოიღებლივ, პირ-უჭმელმა უნდა გაათავოს ეს ბეჭედი. სკვსურების აზრით, ამ გვარ ბეჭდისა ეშინიან მაგნე სულს და კინც მას

*) ბანდული—ძირებ-დაწნული ფეხთ-საცმელი, მთაში სასიარულოდ.

**) ჩაფსტი—ძირებ-ამოკერილი ფეხთ-საცმელი.

ატარებს, გერას დაკლებს იგი. ამაგე ბეჭდით იღებენ თოფიდამ გაჭედილ ზუმბას. ჩსუბში ხმარობენ კიდევ მათრახებს, რომელნიც ხშირად მგლავის სიმსხონი არიან და ზედა აქვთ დახვეული რკინისა და თითბრის მავთულები სიმძიმისათვის.

ირანდშიეკა ჩასათვლელი საბირაბეწმდე, სასწრაფოო და „ჩანთა“ (ტყვის ბარგი.) ამ ჩანთაში ინახვენ ტყვიას და ხშირად თამბაქოსა და ბუნუთსაც.

ამითი გათავებთ ეტნოგრაფიულს ნაწილს რადდეს თხზულებისას და არას გამბობთ სხვა ნაწილებზედ. რადდეს წიგნში არის ერთი თავი,—მოგზაურობა,—რომელშიაც თითქმის იგივეა გამეორებული, რაც ეტნოგრაფიულს ნაწილშია ნათქვამი. დამატებულია მხოლოდ მტკნარეთა ადწერა, მათი ლათინური სახელები და სახიგარი, რომ ხეკსურებმა კარ უშოკეს წმინდა სადგური ჩვენს მოგზაურს. ამაგე ნაწილში ამბობს რადდე, რომ ხევსურებმა ცხენების მოთხოვნის დრეს. ჩემს ეტიკეს რაღაცა უსიამოვნობა მიაყენა. რა უსიამოვნობა,—რადდე არას ამბობს.

საკვირველია, რა უნდა ეთქვიანო მიზეზი, რომ ხევსურებმა, რომელნიც საზოგადოდ გულ-უსვნი და თავის სტუმრებისთვის თავ-დადებულნი არიან—ამ შემთხვევაში დაივიწყეს თავისი ჩვეულება და სახლში შეშვებაც კი გაუძნელდათ რადდესი. სალხინოგან პატივ-ცემულ «პაპასი» და სხვა ურიადნიკ-ჩაგრებისა?! ამაზედ სტატიის დასაწყისშიკე ვთქვით ორიოდ სიტყვა და გამეორებად ადარა ღირს.

ბოლოს გვინდა ცოტა რამ შევნიშნოთ ხევსურების ენაზედ, რომელიც გაგამტერებთ სიტყვების სიმრავლით და ძველის ქართულის კილოთი. ხევსურეთში თქვენ შესვლებით ბევრს ისეთს

სიტყვას, რომელიც ჩვენ თითქმის სრულებით დაგვიკარგავს და ბევრი თავის მტკრევა გვინდება მათ მოსაგონებლად.

მე ისიც კი მგონია, რომ ამ ენის შესწავლა ქართულს ლიტერატურას დიდს სარგებლობას მოუტანს და გაანთავისუფლებს სხვა-და-სხვა უცხო სიტყვებისაგან.

ამისათვის ურიგო არ იქნებოდა ჩვენის უმაწვილ კაცობისათვის გასეირნება საზოგადოდ მთებში და განსაკუთრებით ხევსურეთში, მთის ხალხის ცხოვრებისა და ენის შესასწავლებლად.

ბოლოს ვისურვებთ, რომ ჩვენს მოწინავე ხალხში, ნამეტნავად უმაწვილ-კაცობაში გაიღვიძოს ამ გვარ მოგზაურობის სურვილმა. ეს მოგზაურობა ყველაზედ უკედ დაანახვებთ იმათ, ხალხის საჭიროებას, ნაკლულევანებას და შეაძლებინებს იმ მხრიდამ მოჭიდონ ხელი საქმეს, სადაც საჭიროა.

ა. ქაზბეგი.

შინაური მიმოხილვა.

დასაწყისი უარ-მყოფელის მიმართულებისა რუსეთში—მომხრეობა ძველისა და ახალისა—ორი დიდი ბანაკი—,,მამები და შვილები''—ევროპის კონსერვატორობა და ლიბერალობა—ორ-კეცი სინდგვა საქმისა—რუსეთში კონსერვატორობა რეტროგრადობად გადიქცა და ლიბერალობა მარტო უარ-ყოფად—პისარევი და მისი ზედ-მოქმედება—რამ წაიტყუა ყმაწვილ-კაცობა—რით იკვებებიან დღესაც ჩვენებური შინ გამომცხვარი ლიბერალები—Современникъ-ი და ბაზაროვი, ბაზაროვი და პისარევი—რად მოხდა?—იჩვენებურ ლიბერალების უკან ჩამორჩომა,—არ იციან—ჩვენ-შიაც ორი ბანაკია—ახალი გუნდი ჩვენებურებისა—მათი მიმართულება—სლავიანების მაგალითი—რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა?—ჩვენი პროგრამა—ჩვენი სიწყაო რა უნდა იყოს.—თვით-ამორჩეული დეპუტატები და ვენზელები—თბილისის თავად აზნაურთა ბანკის კრება.

ნეტარ-სსენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე ავიდა ტახტზედ თუ არა, სულ სხვა, ახალმა ხიზმ დაუბერა რუსეთს. იმ დროამდე თვალ დახუჭვილმა და ენა დაბმულმა რუსეთმა თვალი ააჩილა, ენა ამოიდგა. რასაკვირველია, ეს უცებ არ მოხდა და არც ერთის კაცის ნებითა: ეგ მოიტანა ცხოვრებამ, რომელიც თავის დღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე, ეგ მოიტანა ცხოვრების ნამუშევარმა. ახალმა დროამ თუ თავი რითმე აჩინა, ეგ იმით რომ თვითი-თავი ცოტად თუ ბევრად იცნო და თავის მოთხოვნილებას აჭყვა.

ახლად თვალ-ახილულმა რუსეთმა, რადა თქმა უნდა, ჯერ

თავის-თავზედ დაისვდა; გაიხსრიკა თავისის ყოფა-ცხოვრებისა თირკმელები, შეგნეულობა. ნახა რომ ზოგიერთი მცხოვრებელი ძარღვი ჩაჭსწედომია, ჩირქი ჩასდგომია და შეჭეუბია. შეუდგა მიზეზთა გამოძიებას: რაზე იმოქმედა ასეთ? ნახა რომ მისის სნეულების სათავე თვითონ ცხოვრების წესობაა და აგებულება. ერთსულ და ერთსულ შემოღებული და გაუსლებლად დამკვიდრებული. უარ-ყო იგი წესობა, უარ-ყო ყოველივე, რაც კი იმ წესობას შეჭსწეგდა და ხელს უმართავდა. ამ არსებულის უარ-ყოფამ წამოიწია იმ წრიდამ, რომელსაც გონებით მცხოვრებს საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა და რომელიც ცხოვრების წარმატების ულელის თავში ბირველი ჩადგება ხოლმე. ის საზოგადოება მთელის თავის ძალ-ღონით მიაწყდა ამ უშველებელს საქმეს უარ-ყოფისას და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვა დრო გარდასრულის მგელისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნელად აკვირტებულის ალისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა ბოეზიაში, მეცნიერებაში, თუ ბუნებისტობაში სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად. მათის მართლა და დაუვიწყარის ღვაწლით მაგ თამამმა უარ-მყოფელმა მიმართულებამ ფესვი კარგად განზედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ ახალ მიმართულების მესვეური იყო ახალგანი Современникъ-ი.

ზრთა მოძრაობაში, რაგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უმარად, უბრძოლველად. აქაც ასე მოსდა. ტასდიც არის, რატომ. არსებული, ძველი ისე არ გაცუდდება რომ ვისიმე გამოსაყენი არ იყოს. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ბევრი იმისთანა მოდუნებული და შე-

ლახუელი კაცია ქვეყანაზედ. რომელიც ისე შეეხვევა სოდმე ჭიერსა, რომ შეხვეული ჭიერი შეუხვეველს ლხინს ურჩევნია. მესამე და ყველაზედ უფრო ფესვ-ძაგარი კიდევ ის არის, რომ ოკეელს არსებულს, ოკეელს ძველს თავისი ადგილი უკვე დაუშერია ადამიანის ცხოვრებაში, უმრავლესობისაგან ადიარებული, ნებით თუ უნებლიეთ გულ-შეკერებული და ყმთა ხნიერობით ბეჭედ-დაკრული და დამტკიცებული. ამ სამთა მიზეზთა გამო ძველს, არსებულს მომსრე არ დაელევა. თვითონ ახალიც, რომელიც ძველის ადგილას უნდა ჩამოსდგეს, დაბადებისავე უძალ ისე არ მომწიფდება, რომ ბირში ჩადების და დადეჭის მეტი სხვა ადარა უნდოდეს-რა. როგორც ძველის ობი, ისე ახალის კვირტი ძნელი დასანახავია. ამისათვის მეტად სადი, გამჭრე თვალი უნდა გონებისა.

ამ მიზეზით თითქმის მთელი რუსეთი გაიყო ორ დიდ—ბანაკად: ერთში მოექცნენ ძველის, არსებულის მომსრენი, მეორეში ძველის ურა-მყოფელნი და ახლის მესვეურნი. ბირველს ბანაკს დაერქვა „მამების ბანაკი," მეორეს—„შვილებისა." ეს სწორედ რუსეთში მოგონილი სახელებია და სრულებით არ უნდება იმ საგანს, რომელიც ევროპაში მოქმედებს კონსერვატორების და ლიბერალების გასაჩენად. „მამობა და შვილობა" თვალად გასაჩენი საქმეა. ამისთანა გარეგანად სანიშნავმა სახელ-წოდებამ ბევრს წყალ-წყალა ჭეულს გზა და კვალი დაუბნია რუსეთში და რუსეთის ბაძით ჩვენშიაც. ერთის სიბერე და მეორის სიყმაწვილე საძოფი იყო ზოგიერთა ცრუ-პენტელა კაცისათვის, რომ ერთი ერთს ბანაკში მოექცია და მეორე—მეორეში იმისდა მიუხედავად, თუ რა აზრების მადიარებელნი არიან ან ერთნი და ან მეორენი.

ბირველს შეხედვაში კაცს ეგონება—რუსეთის „მამების"

ბანაკი ერთის მხრით ჯ „შვიდებისა“ მეორის მხრით, ევროპის კონსერვატორობას და დიბერალობას მოასწავებსო. ჩვენის თვალით, ეგ შეცდომა იქნება. თუ რუსეთის დიბერალობა, ამ ბოლონდელ ხანებისა მაინც, ჩამოჭვავს ევროპის დიბერალობას, რუსეთის კონსერვატორობაზედ მაგას ვერ ვიტყვით. რუსეთში ჯუმარიტი კონსერვატორობა არ არის დღეს აქამომდე.

ოთვალნან, სანა კი ისტორიის დირსი ერი თავისითა ჭკოვრებს, ორ ნაირი წოობაა აზრისა და ეგ ორ ნაირი წოობა აზრისა შაადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წოობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და ჭაჭირობებს. ამ ორთა წოობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა, ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი ჯ გაგებული ექნება, მაშინ ეგ მეორე წოობა იმარჯვებს და ოთვალ საქმეთა სათავეში მოექცევა ხალმე. ასლა ეგ წოობა დაიჭერს ბირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭირობებს აჩენს. ამიტომაც ასლად გამარჯვებულს წოობასაც სხვა, ახალი წოობა გამოუჩნდება ხალმე მობირ-და-ბირად. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამ ნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თვითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის-რა გარდა ამ ნაირად თვესის გადანაცვლებისა.

ბირველის წოობის მომხრეებს ევროპაში კონსერვატორებს ეძახიან, მეორისას—დიბერალებს. ბირველები არიან უკვე დადგენილის მცველნი, მეორენი—ახლის მესვეურნი და-

მდინარეში. თუმცა ერთნი ძველის მტვერები არიან და მეორენი ახლის მდინარენი, მაგრამ პირველებს ყველაფერი ძველი არ მოსწონთ და მეორეებს ყველა ახალი არ ენატრებათ. ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოვებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღერგძელობისათვის ჭეშმარიტი დიბერალი თავის სიკუდილს დღეს შეიმოკლებს. ირლანდიისათვის ინგლისის ხელიდამ განთავისუფლება ახალი საქმე იქნება, მაგრამ ჭეშმარიტი კონსერვატორი ირლანდიისა თავს დაჭრდებს, ოღონდ ეგ მოიპოვოს. ინგლისის ეგრედ წოდებული „დიდი ხარტია" ძველი რამ არის, მაგრამ ინგლისის დიბერალი უსიკვდილოდ არ დაჭსთმობს არც ერთს ასოს იმ ხარტიისას.

ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც, მისის გულ-წრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის და თუ ხანდისან ჭეტადავს რაშიმე ქვეყანას, მარტო იმაში, რომ ზოგჯერ იმისთანა ძველსაც გადეფარება, რომელიც თუმცა გამოსადეგი ადარ არის, მაგრამ უვნებელია,—და ძველის ადგილს არ უთმობს ახალსა, მინამ კარგად გულს არ დაუჯერებს, რომ ახალი ეთიოლს მოიტანს. ჭეშმარიტი დიბერალობაც უარ-ყოფს მარტო იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ყამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარისად გაჭრდებია ცხოვრებას და წინ-სვლას უშლის. იგი ნდომობს იმ ძველის მაგიერ იმისთანა ახალს, რომელიც ძველზედ უკედ სულს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებს. ს

ტობრიობას დღეს აქამომდე სხვა გზა არ აღაოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაძებნელად.

ჩვენ ესა ვსთქვით, იმიტომ-რომ ვიჩვენოთ საადამდის შეუძლიან, ჩვენის თვალითა, გაიწვდინოს ხელი ან ძველის მცველმა და ახლის ურა-მეოთველმა, ან ძველის ურა-მეოთველმა და ახლის მდომელმა, რომ ჭეშმარიტს კონსერვატორობას ან ლიბერალობას არ გადაჭსცდეს.

კონსერვატორების უკან და ლიბერალების წინ, მარცხნივ და მარჯვნივ ბევრ-ნაირი სხვა-და-სხვა აზრის ნაკვალევებია კიდევ და თუ ჩვენ მარტო ორი წყობა აზრისა მოვიხსენიეთ, ეგ იმიტომ რომ ცხოვრების მდინარეობის შუა წელი მაგ ორ მხარ-და-მხარ მოარულს წყობას აზრისას უჭირავს.

რუსეთში სულ სხვასა ვხედავთ. აქ «ძამებმა» ისე გაიწიეს, რომ ყველაფერს ძველს გამოესარჩლენ ავისა და კარგის გაურჩევლად და ყველაფერს ახალს დაუწყეს ძაგება და დევნა; გაქარი ჭქმნეს ამაზედ და წინ თვისი ველარ გადმოანაჯეს. ამისი მაგალითი «Русскій Вѣстникъ»-ია და «Московскія Вѣдомости». ეგ ორი უბირველესი თვალავანი «ძამებისა.» ჯერ გუშინ ლაღადებდა „Московскія Вѣдомостя“, დამნაშავეებს რაღა გასაძართლება უნდა, აიღეთ და ჩამოალჩეთო და სასაცილოდ იგდებდა ეხლანდელ განსაძართლების წესს. რომელის შემოღებისათვის განსვენებული იმპერატორი' მადლობით მოიხსენიებს ისტორიაში. არც ერთი კონსერვატორი ეგრეთისა არ იკადრებდა მაგას და ეგრე უსირცხვილოდ არ შეესებოდა მაგ დიდს და ახალს დაწყობილებას, რომელსაც ახალს განსაძართლების წესს ეძახიან. თუ გუშინ ამას კადრულობდენ რუსეთის «ძამები», რაღა უნდა ვჭსთქვათ მასზედ, რაც ამ ოცის წლის წინად იქნებოდა მათის წყალობით?

ᲔᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲬᲧᲐᲚ-ᲒᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲑᲘᲯᲒᲔᲑᲐᲡ «ᲛᲐᲡᲛᲔᲑᲘᲡᲐᲡ,» ᲐᲜᲣ ᲣᲙᲔᲓ ᲒᲔᲡᲘᲗᲥᲕᲐᲗ, ᲒᲐᲥᲘᲠᲓᲐ ᲒᲐᲐᲒᲣᲚᲘᲡᲐ „ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ.“ ᲐᲛᲐᲜ ᲒᲐᲐᲗᲘᲪᲮᲐ, ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲒᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲒᲔᲑᲐᲡᲐ „ᲛᲐᲡᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑ“-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐ „ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲑᲐᲜᲐᲒᲘ ᲘᲥᲐᲛᲓᲘᲜ ᲛᲘᲘᲣᲒᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲐᲠ-ᲧᲝᲤᲘᲜᲐ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲗᲣ ᲛᲐᲠᲪᲮᲝ ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲓᲘᲠᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲣᲐᲠ-ᲧᲝᲤᲘᲡᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲨᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐᲪ, ᲠᲝᲛᲓᲘᲡ ᲣᲐᲠ-ᲧᲝᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲘᲗᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚ-ᲛᲝᲠᲩᲣᲚᲘ ᲔᲡᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲭᲣᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲓᲘᲑᲔᲠᲫᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ. ᲨᲔᲓᲒᲐ „ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲑᲐᲜᲐᲒᲘᲪ ᲛᲐᲠᲪᲮᲝ ᲣᲐᲠ-ᲧᲝᲤᲘᲡᲐᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲕᲣᲠᲜᲝᲑᲐ ᲐᲡᲚᲝᲘᲡᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲒᲣᲗᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲐᲒᲓᲝ. ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲘᲕᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ ᲐᲛ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲣᲐᲠ-ᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲘᲡᲐᲠᲢᲔ ᲓᲐ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲛᲭᲣᲠᲕᲚᲘ ᲮᲘᲡᲐᲠᲔᲒᲘ. ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲭᲣᲠᲑᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲣᲐᲠ-ᲧᲝᲤᲔᲚᲛᲐ ᲘᲥᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲣᲨᲕᲐ ᲡᲐᲓᲐᲒᲔ ᲠᲝᲛ ᲣᲐᲠ-ᲬᲧᲝ ᲗᲕᲘᲗ ᲮᲣᲨᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲠᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘ ᲒᲙᲘ ᲡᲘᲒᲘᲡᲠᲔ ᲐᲛᲯᲝᲑᲘᲜᲘᲡ. ᲐᲛ ᲛᲘᲛᲘᲖᲘᲓᲕᲔᲚᲛᲐ, ᲓᲐᲛᲐᲡᲘᲡᲐᲓ ᲛᲝᲣᲑᲠᲗᲛᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲔᲚᲡᲣᲑᲣᲥᲛᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ-ᲒᲐᲖᲘᲓᲐ ᲛᲭᲣᲠᲕᲚᲘᲡ ᲑᲔᲡᲘᲡᲠᲔᲒᲘ. ᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲭᲣᲠᲑᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲣᲐᲠ-ᲧᲝᲤᲘᲡᲛᲐ ᲘᲥᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲣᲨᲕᲐ ᲡᲐᲓᲐᲒᲔ ᲠᲝᲛ ᲣᲐᲠ-ᲬᲧᲝ ᲗᲕᲘᲗ ᲮᲣᲨᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲠᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘ ᲒᲙᲘ ᲡᲘᲒᲘᲡᲠᲔ ᲐᲛᲯᲝᲑᲘᲜᲘᲡ. ᲐᲛ ᲛᲘᲛᲘᲖᲘᲓᲕᲔᲚᲛᲐ, ᲓᲐᲛᲐᲡᲘᲡᲐᲓ ᲛᲝᲣᲑᲠᲗᲛᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲔᲚᲡᲣᲑᲣᲥᲛᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ-ᲒᲐᲖᲘᲓᲐ ᲛᲭᲣᲠᲕᲚᲘᲡ ᲑᲔᲡᲘᲡᲠᲔᲒᲘ. ᲐᲛᲘᲡᲐᲜ ᲒᲐᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲘᲝᲜᲓᲘᲐ, ᲑᲔᲡᲘᲡᲠᲔᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲖᲘᲓᲕᲔᲚᲡ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲒᲣᲠᲪ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲓᲣᲠᲩᲜᲔᲡ.

ᲔᲡ ᲩᲐᲗᲠᲕᲐ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲛᲐᲠᲪᲮᲝ ᲑᲔᲡᲘᲡᲠᲔᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲖᲘᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲘᲚᲘᲜᲔᲑᲐ. ᲐᲥ ᲧᲝᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲢᲐᲪᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲐᲠ-ᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲗᲐᲛᲐᲛᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲝᲑᲐᲪ ᲘᲧᲝ. ᲧᲝᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲔ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲘᲖᲘᲓᲐᲕᲔᲡ-ᲠᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲘᲗᲐᲛᲐᲛᲔ, ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲝᲑᲐ. ᲡᲘᲗᲐᲛᲐᲛᲔᲡ, ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲚᲔ ᲛᲘᲐᲠᲔ ᲐᲭᲕᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲘᲒᲕᲘᲠᲓᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲧᲝᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡ ᲛᲘᲐᲪᲐᲜᲝᲡ, ᲠᲐᲪ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲡ. ᲑᲐᲪᲐᲠᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲣᲬᲓᲘᲡ ᲨᲝᲚᲛᲔ ᲡᲐᲜᲗᲝᲗᲘᲡ ᲐᲓᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲑᲝᲑᲗ ᲛᲐᲠᲪᲮᲝ ᲘᲛ ᲧᲝᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ-ᲙᲐᲪᲝᲑᲐᲖᲔᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲯᲔᲠ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲣᲬᲠᲘᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲒ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲗᲘ ᲫᲐᲠᲓᲘ ᲔᲑᲝᲕᲜᲗ. ᲐᲠᲪ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲐᲠ ᲛᲧᲝᲤᲔᲚᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲡ

კარგი არა მოუტანია-რა. ბულბულივით უაზრო გალობას ბოეზიისას კრიჭა აუკრა და მადა წაართვა, პატარა-პატარებზედ ბრძად დანდობა სიიქიოს გაისტუმრა, ისტორიას, დიდ-კაცების ტულუტობის მაგიერ, საგნად ერის ყოფა-ცხოვრება მიჰსცა, უმა ადამიანად ადიარა და განათავისუფლა.

ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ბოდოს და ბოდოს უფრო ბისარეგის წყალობით ბევრი რამ მაგ მიმართულებაში ისეთი იყო, რომ ჩალასავით ტკაცა-ტკუცით აბილბილდა და გონება გაუსსნელი უმაწვილ-კაცობა წაიტეუა, როგორც თვრვანა ცეცხლმა. მეორე ნაწილმა უმაწვილ-კაცობისამ კი, უფრო გონება გასსნილმა, სრულად შეითვისა ყოველივე კეთილი მაგ მიმართულებისა და ზურგი შეუქცია ტეუილ-უბრალო ფრაზების ტკაცა-ტკუცსა.

ასე თუ ისე, ბისარეგის უარ-ყოფა დიდ მოდათ შემოვიდა ბრძათოვის. გისაც ადვილად და მოუმზადებელად კუსავით თვსის გამოუოფა უნდოდა ქვეყანაზედ, ეგ მოდა უნდა მიეღო. ამისათვის ორიოდე ფრაზა იყო საკმარო. ერთი ის რომ ბოეზია ჯ ერთობ ხელოვნება რა ჯკვიანი კაცის საქმეა, ერთი წყვილი წადა შექსპირს მირჩევნია; მეორე—პატარები არა მწამსო; მესამე ისტორია ზღაპარიაო და მეოთხე—ქვეყანაზედ მარტო გლეხ-კაცია ადამიანი ჯ თავადი და აზნაური კი არაო. ეს ფრაზები რომ დაგესწავლათ, ლიბერალი იყავით და ლიბერალი. აი სწორედ ამ გვარ ლიბერალობაშ ჩაცვივდეს ჩვენებურის უმაწვილ-კაცობის ბევრი წიალი. დღესაც, ბევ დაკვირდით ჩვენებურს შინ გამოამცდაკარს ლიბერალებს, თუ მარტო ამ უთავბოლოო თერაზებით არ იკვებებოდნენ და ქვეყნის სასაცილოდ თავიანთ თავს ლიბერალებად და რადიკალებად არ

ხადოდენ. ამბავ დაკვირდით, თუ უველგან ს

ბევრი ძველი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ, ბევრი ახალი აწნუსსა დასადგენად და ბევრი გასადევნად. მაგრამ რადგანაც ეოგელი ერე ჯერ „ჩოტკეში“ ჩაგდებული არ არის, ეოგელს ამას ჯერ ჯამი არა აქვს გამოუვანილი, რომ მზა-მზარეულად ხელზედ დაჩვეგის მეტი არა უნდოდეს რა და რადგანაც ჩვენებურის შინ გამოცხვაბს ლიბერალების ლმერთმა იმოდენა ჭკუა არ მიწყალოთ, თვითონ აწნუსონ ის, რაც დღეს რუსეთის ლიბერალების მოძღვრებას შეადგენს, ამიტომაც ჩვენი ტეუილი ლიბერალები დღესაც იმ აზრებში ტრიალებენ, რომელთაც ვარგა ხანია თავისი დრო და ყამი მოიწყალეს, თავისი ჭქმნეს და ჩაი-ლუღის წყალი დალიეს. ამ ხახით ჩვენს ბრძა და ტრუ-ბენტელა ლიბერალებს ჭეშმარიტი ლიბერალობა ცხვირ-წინ გაეპარათ და თუ გაოცების ნიშნად ჯერ ბირი არ დაუღიათ, ვაი ეს რა საქმე მოგვსვლიაო, ეგ იმიტომ რომ ჯერ არ შეუტეეიათ რა დღეში არიან ჩაცვიენულები.

თუმცა „ბრძების და შეიღების“ ბრძოლამ რუსეთში, ბრძად აიოლია ჩვენებური ემაწვილ-კაცობა და იმ ბრძად აეოლიებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ემაწვილ-კაცობის ხასასელობა ესეც უნდა ვთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაბირა და თავისი შეცდომა მალე იცნო. გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოდანზედ. მას აქეთ ჩვენშიაც ემაწვილ-კაცობა ორ-ბანაკად გაიეო: ერთში მოექცნენ ისინი, ვისაც რუსეთის უარ-ეყოფელის მიმართულებიდამ ოთხ ზემოხსენებულ ფურცლებ გარდა არა გამოეტანათ რა, მეორეში — ახალის გუნდის მომხრენი. ბირველებმა დაიჩვეს ხელზედ რუსეთის „მამა შვილობა“, ენაზედ დაიკრეს ზემოდ მოყვანილი ოთხი ტრაზა და დღეს აქამომდე აწიოწოს იმახიან და ეოლად მიდიან. მეორეები კი დაგვიარდ-

ენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტიეიდი აქვს, სულ სხვა თვთერაკი ჭსდევს. ჭსცნეს რომ ჩვენებური დდეკანდდი დდე სულ სხვასა თსოულობს, სულ სხვასა ჭღაღადებს და მაშასადამე ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თვეისის ძალ-ღონითა. და თუ აქაც ბედის წერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა შეიღობა“ არ გამართულიეო, ბრძოლის სა-ენად ის„ სხვა რამე“ უნდა ეოფილიეო და „მამებსა და შვილებ“ შეა მიჯნად დადებულიეო. ის „სხვა რამე“ იეო ჩვე-ნის დაცემულის ეინაობის აღდგენა, ეგეზედ დაუენება და დაცვა ეოფილის მოსალოდნელის თვთერაკისაკან. რომ ეგ თვთერაკი მოსალოდნელი იეო და დღესაც თავიდამ არ აგვ-ცდენია,—ყველასათეის ცხადზედ ცხადია.

იმ ასალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საკანს მიჭ-მართა. მაგ ასალმა მიმართულებამ დაიშერა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე, მნათობი, დრეება და ბოლოს ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუესა და ნაღარასა ჭსცემდენ. საუეთესო წარმომადგენელნი ჩვენის ბოეზიისა სულ მაგას გვამცელდენ, მაგას გვიგალობდნენ დღეს აქამომდე. მართა-ლია, ჩვენის „ეინაობის“ აღსადგენად მაგ ასალს გუნდს ბევრი არა უქმნია რა, რადგანაც ამისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგა ქვეითობდენ. მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ტოტად თუ ბეგრად ეგესი მოაკიდებინეს. ისიც დიდი ამბავი იქნება, თუ ამ გუნდმა ამ საკანზედ მოასწედა ჩვენი ალმაცერად მაყურებე-ლი თვალი და რაც ძალ-ღონეა, სულ, მაგ საქმეს ზედ მოასეია და შეჭასჭიდა. რაც გერ ჭქმნეს ამათ, იქმონენ სხვანი, ოღონდ ამ მიმართულებამ თავი დაიჭირონ ჩვენს ცხოვრებაში

ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს, ვიდრე საჭირველება მოითხოვს.

ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია და რადგანაც ძველია, იმიტომ უკვდრისია და სათაკილო ლიბერალებისთვის. დეე ოთხ-ფრაზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დროამდე, მანამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვსეს ლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველი საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით ადმოჩნდება, სულ ყოველის ფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შეეურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. საოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მოვუბრუნოთ თავი. ვაუენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებელად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ვწონოთ. აი ჭეშმარიტის ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში. ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღეკანდლის დღის მოდადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აჭყვება. გინდათ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელ-წოდება არაფერს შეაშია. ოდონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის.

სლვიანებმა, რომელთ ვინაობასაც სხვა-და-სხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, სულ ამ საქმეს მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა. ამისათვის თავ-გაწირულ კაცებს დღესაც წმინდანებსავით ლოცულობენ და თაყვანსა ჭსცემენ. მათი უკეთესი წარმომადგენელნი იმით ქადულობენ, იმით ლიბერალობენ, რომ მიგ საქმეს მიჭსდგომიან და მარტო მაგით სულდგმულობენ. დღესაც მაგ საქმეს ზედ აკვდებიან და რასაკვირველია, არც მოეშვებიან, ვიდრე თავისას არ გაიტანენ. თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად თავისი წარსული ხელახლად აეყენეს საფლავიდამ, გამოჭსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ეოველისფერი, რაც ძველად ჭქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და საჩუქრად ედვა. გაუტოტხლეს თავიანთ ერს ბოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავ-დადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კეტურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გაჭწმინდეს, გაძლიერეს ენა-ენა, ყამთა ვითარებისაგან გარეგნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოატოტხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ეოთვილა, რა არის და რის იმედი უნდა ჭქონდეს, შეიტყო, და ფეხზედ დადგა, ფერთა შეისხა. ამისი მაგალითი სხვათა-შორის ჩეხელები არიან.

აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ემაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარხმალით შეჭურვილი, აი რა მოელანი უნდა შემოისაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისთვის სამეოთი არ არის კაცმა

დაისწავლოს პარიკის უკანასნაში მოარული ტრაზები და იმითი თავი მოიტანოს. უმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედ-მიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღ-აროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ ზემოდ ვიგულისხმეთ, კაცი ერთს ბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წასდგამს და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დაუჩნევს. ჩვენის მხრით ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკ-ეკ სხვაგან გამოცდილს და გამოუენებულს სხვას ვერას ვუჩ-ვენებთ ჩვენს საიმედო უმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრო-ნი მეფობენ. „ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე როგორ გავმდიდრდეო“ ამბობს ერთი ალაკიანი პატრიოტი. ნამდვი-ლად გულ-შემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულის ფიცარზედ და სხვაზედ არაფერზედ არ წაიტუეოს ჭკუა და ხელი.

ყოველის ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო საქ-მეებში, თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მიუტოლებელს საგანსა და გზას. სხვა საწყაო ტყუილია და ამაო: სხვის ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი.

ამ ერთის თვის განმავლობაში ჩვენში თითქმის სხვაზედ არაფერზედ ლაპარაკობდენ, გარდა ჩვენის ესრედ-წოდებულ «დეპუტატებისაგან» კონვოლებისათვის ვენზელების თხოვნისა.

ქუჩაში შეხვედრის დროს ნაცნობები ერთმანერთს მწარეს ღიმილით, ან გაკვირვებულნი ჰკითხავდენ: გაიგე, როგორ შევურცხვენიავართ ჩვენს დეპუტატებსაო. ბოლშევლებს უთხოვნიათ ჩვენს ენას სხვა და სხვა უფლება მიანიჭეთ, ჩვენს ქვეყანაშიაც ის ცვლილებანი შემოიღეთ, რომელიც რუსეთს ელირსა განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე მეორის მეფობის დროს და ჩვენებს კი ვენზელების მეტი არა უთხოვნიათრაო.

პირველად დოლი ილია ბახტაძემ დაჰკრა, მას მიჰყვა „დედა-კაცების“ და მამაკაცების სმაც და მთელმა საზოგადოებამ შეჰქმნა ყაყანი. ყველა სწუხდა, ყველა ცხარობდა.

მაგრამ აქ არც სამწუხარო და არც გასაცხარებელი არა იყო რა. სამწუხარო და გასაცხარებელი უფრო ის არის რომ ჩვენს საზოგადოებას ან არა სცოდნია რა არის „დეპუტატი“, ან არა სცოდნია, როგორ „ვირჩევთ“ ჩვენ დეპუტატებს.

დეპუტატი არის საზოგადოებისაგან ამორჩეული პირი, რომელმაც საზოგადო საქმეებში თავის ამომრჩეველთ მაგიერ უნდა მონაწილეობა მიიღოს, და თუ რომელსამე მაღალ პირთან გაგზავნიან, საზოგადოების სურვილი და მოთხოვნილება გამოაცხადოს.

ახლა ეს გვიბრძანეთ: ვინ ამოირჩია ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატები?

— არავინ.

— ვინ ამოირჩია თბილისის თავად-აზნაურობის დეპუტატები?

— არავინ.

ოთხიოდე თუ ხუთიოდ პირნი ერთად შეიკრიბნენ, თავი თვისი თვითვე ამოირჩიეს და გაემგზავრენ პეტერბურგისკენ. იქ ერთს მათგანს, როგორც ნაცნობს, დაჩაგრულმა

კონგოლელებმა სთხოვეს, გვიშუამდგომლეთ, რომ მიცვალებულ სელმწიფის სახსოვრად ვენზელები ჩვენც დაგვირიგონო, იმასაც იშუამდგომლა და კონგოლელებს ვენზელები უწყალობეს.

ეს ან რა ცოდვაა, ან გული რად უნდა მოგვდიოდეს! თუ კი ევროპაში თვით-მეფობელობა, თვით-მმართველობა და სხვა და სხვა თვით-უფლებები შემოიღეს, ჩვენ რადა ვგრეგ უკან ჩამოვრჩით რომ ერთის სიტუვის და ერთის დაწესებულების შემოღება ვერ შეგვიძლია. შემოვიღეთ თვით-ამორჩევა და ჩვენმა თვით-ამორჩეულმა დეპუტატებმა თუმცა ბევრი საუკეთესო მიიღეს, მაგრამ სრულიად უმიზეზოდ.

ხან იმაზედ ვკამკამობთ, ვენზელები რად ითხოვეს, ხან იმაზედ, რატომ იგივე არ ითხოვეს, რაც პოლშელმა დეპუტატებმა. ერთიც და მეორეც უსაფუძვლო ჭკვრობაა.

ჩვენი დეპუტატები თვით-ამორჩეულნი იყვნენ, პოლშელები ამორჩეულნი საზოგადოებისაგან. ჩვენებს უნდა თავისთავზედ და თავიანთ მეგობრებზედ ეზრუნათ, პოლშელებსაზოგადოებაზედ; ჩვენებმა თავიანთ ნათესავ, ან მეგობრებ კონგოელებს ვენზელები უთხოვეს, პოლშელებმა ითხოვეს თავიანთ ენის თავისუფლება და თავის ქვეყნისთვის სხვა და სხვა უფლება. პოლშელ დეპუტატებმა, გაზეთების სიტუვით, თურმე ერთბაშადა სთქვეს, რუსული არ გვესმისო, რადგან იცოდენ, რომ მათ ზურგს უკან რამდენიმე მილიონი ხალხი ამოჭეთრებოდა და ეშირვებოდა, რომ სასამართლოებში და სასწავლებლებში მათი დედა-ენა შემოელოთ; ამ აზრით იმათ იკისრეს რუსული ენის უცოდინარობა, თუმცა დარწმუნებული ვართ, ეს ენა იმათ ზოგიერთ ჩვენს „დეპუტატებზედ" უკედ ეცოდინებოდათ.

ჩვენი „დეპუტატები“ ასე როგორ შეირცხვენდენ თავსა; დარწმუნებული ვართ, რო ეკითხათ, უველა მათგანი იტყოდა, ჩვენ რუსული უფრო კარგად გვესმის, ვიდრე ქართული—ოღონდ, ოღონდ....

ერთის სიტყვით ბოლშელს დეპუტატებს უნდა საზოგადოებაზედ უზრუნათ და იზრუნეს კიდეც. ჩვენებს უნდა ეზრუნათ ან თავიანთ თავზედ, ან თავიანთ მეგობარს-ნათესავებზედ.

კვლავ თუ გვინდა რომ ჩვენებმაც ჩვენთვის იზრუნონ თვით-ამოძრჩეკვს თავი დავანებოთ და საზოგადობრივ ამოვირჩიოთ, ჩვენი სურვილი გამოვუცხადოთ და ისე ეავგზავნოთ, სადაც გასავზავნია; თორემ ან ვიცით, ვინ წავიდა, სად წავიდა, რისთვის წავიდა და ვიძახით კი რატომ ესა და ეს ან ითხოვეს. ერთმანერთს ვედრიჭებით, ვიცინით, დახე, დახე ჩვენმა დეპუტატება, რა სახელი გაითქვეს, როგორ მალე უშოვნეს კონვოელებს ვენზელებიო.

ახი ან იქნება რომ „რევიზორის“ გოროდნიჩი გაგვიჩნდეს სიდასმე და გვითხრას,—რო იცინით, რას იცინით? თქვენს თავს დასცინითო!

ამისთანა სამწუხარო მოვლენასთან, როგორიც არის თვით-ამორჩეულ დეპუტატების წასვლა პეტერბურღში და მითგან ვენზელების თხოვნა, ჩვენს ცხოვრებაში სანდისსან მოხდება იმისთანა მოვლენა, რომელიც მანუგეშებელ სხივსავით მოგვეფინება ხოლმე.

აბრიკოს დასასრულს და მაისის დამდეგს ჩვენს საზოგადოებას ტოტალური სიცოცხლე დაეტყობა ხოლმე. ამ დროს მო-

დის საზოგადო კრება თბილისის და ქუთაისისა ბანკების და სხვა და სხვა ქველ-მოქმედ საზოგადოებისა. ჯერ არ ვიცით, როგორ გაიგლის წრეულს ეს კრებები თბილისში, ან ქუთაისში, რა სასიკეთო ნიშნებს შეგვამჩნევთ ჩვენს ცხოვრებას, ან რა გავითარებას დავატყობთ ამ კრებების შემწეობით.

შემდეგს ნომერში იმედი გვაქვს ვრცელს კორესპონდენციას დავბეჭდავთ ქუთაისის ბანკის კრების თაობაზედ ჩვენს ყურნალში და სხვა საზოგადო კრებებზედაც მოვილაპარაკებთ, დღეს კი ორიოდ სიტყვა გვინდა ვსთქვათ თბილისის საადგილ-მამულო ბანკის კრებაზედ, რადგან ზოგიერთი მართლა და სასიამოვნო რამ შეგვნიშნეთ.

ამ კრებამ დაამტკიცა, რომ ჩვენის საზოგადოების წევრნი თვალხუჭანას აღარ თამაშობენ და რასაც რომელიმე გამგეობა, ან დაწესებულება წარუდგენს, გაურჩევლად აღარ ამტკიცებენ. ვინც «თეთრში» ან «შავში» აგდებს თავის კენჭს, იცის რისთვისაც აგდებს და რაცა სწადიან.

თბილისის თავად-აზნაურთა ბანკს წრეულს ცხრასი თუმანი ჭქონდა დარჩენილი საზოგადო საჭიროებისათვის. დიდი ლაპარაკი ასტუდა იმის თაობაზედ, რაზედ მოიხმაროს ეს ფული და სანგრძლივის ბასის შემდეგ ასე დაარიგეს:

ასი თუმანი შესწირეს ბავშვებისათვის საადგურის გასამართავად მიტვალებულ ხელმწიფის სახელზედ.

ასი თუმანი შესწირეს ქართულ თეატრს, ასი—თელავის ქალების სასწავლებელს და ექვსასი თუმანი თბილისის თავადაზნაურთა სკოლას.

ზოგიერთნი მწევრნი ბანკისა მეტად ეწინააღმდეგებოდენ თეატრისათვის შეწირვას. თუმცა ბევრნი უმტკიცებდენ, რომ თუ ეს მცირე ფული არ გადასდეთ თეატრისათვის, შეიძლება

ქართული თეატრი დაიშალოს და მოგვესპოს ის ერთად ერთი დაწესებულება, სადაც ჩვენს ენაზედ ვსიამოვნობთ და ზოგჯერ ჭკუასაც ვსწავლობთო. ვინ იყო მტუანი და ვინ მართალი, აქ ამის გარჩევას არ შევუდგებით; შევნიშნავთ მხოლოდ რომ ამ საგანს ორჯერ უყარეს კენჭი და ორჯერვე თითქმის ერთი და იგივე რიცხვი მოვიდა შავსა და თეთრს უუთში. მხოლოდ მეორედ ერთის კენჭითა სძლიეს თეატრის მომხრეთ. ეს ცხადად ამტკიცებს ჩვენს აზრს, რომ ეხლა ყოველი მწყვრი მნიშვნელობას აძლევს თავის კენჭს და კოჭობას აღარა თამაშობს. მეორე შესანიშნავი კიდევ ეს იყო, რომ როდესაც საზოგადო კრებამ გადასწყვიტა, შესწიროს თელავის სასწავლებელს ასი თუმანი, თან სურვილი გამოაცხადა, რომ ეს ფული ქართულ ენის სწავლების გასაუმჯობესებლად მოხმარებულ იქმნასო.

ეს გარდაწყვეტილება ღირსშესანიშნავია, როგორც ხმა მთელის საზოგადო კრებისა და ჩვენის აზრით საყურადღებოა თვით სწავლა-განათლების გამგეთათვისაც.

ბოლოს შევნიშნავთ კიდევ რომ ძვირად გვინახავს ჩვენში ესეთი მიუდგომლობა, მიუკერძოლობა და პირში თქმა, როგორც ამ კრებაში შევამჩნიეთ. ღმერთმა ჭქნას რომ ქუთაისის კრებასაც ღირსეულად შეესრულებინოს თავისი საქმე და ის ენერგია, სიცხოველე და გამჭრიახობა, რომელსაც იმერლები ხშირად პირად ინტერესებს ახმარებენ, კეთილისა და საზოგადო საქმესთვის მოეხმარებინოთ.

27 აპრილს.

ხელვაფიფის მკვლელები

ზოგჯერ მხოლოდ სიშინელი უბედურება გაგვაღვიძებს ხოლმე სანგრძლივის ძილიდან. ხელმწიფის სიშინელმა სიკვდილმა ყველა გააფხიზლა: გაზეთებს ყურს უგდებდა ისიც კი, ვინც აქამდის არ იცოდა, გაზეთი ბოზართმაა თუ ჩიხითმა. ყველა უნებლიედ კითხულობს, ვინ არიან ეს შეუბოვარნი მკვლელები, რას მოითხოვენ, რას დაეძებენ. რუსეთი ხუთი წლის განმავლობაში ძლიერ აღელვებული იყო სოციალისტურ მოძრაობით და ჩვენ კი მხოლო დდღეს მოგვაგონდა ეს მოძრაობა, მხოლოდ ეხლა დავეძებთ იმ საძირკველს, რომელზედაც აშენდა შეუბრალებლობა და შეუბოვრობა რუსის სოციალისტებისა

თითქმის ყველა რუსის გაზეთში დაიბეჭდა ბრალდება ხელმწიფის მკვლელებისა და ქართველშიაც იყო მოკლედ აწერილი. უეჭველია, ქართველი მკითხველი იმას გაფაციცებით თვალს ადევნებდა, მაგრამ ათას წვრილმან მხარეში, გვგონია, ჭკარგავდა უმთავრეს აზრს, იმ დედა-ბოძს, რომელსაც უჭირავს მთელი შენობა. ამას გარდა გვგონია, — ამ უმთავრესს აზრამდე ბევრმა ვერც კი მიაღწია, იმიტომ, რომ ბრალდება მეტად გაგრძელდა, სათაურშივე ბევრის წვრილმან ჩვენებით დაიტვირთა და მხოლოდ ბოლოს გამოაშკარავა თავის უდიდესი მნიშვნელობა.

ამიტომაც, მეტი არ იქმნება, დავასახელოთ ამ ბრალდებიდან სწორეთ ის ადგილები, რომელთამდეც ან ვერ

მივიდოდა მკითხველი, ან რომელნიც უნებლიედ დაიკარგნენ იმის გონებაში და შეერიენენ ქუჩაში გაგონილ ჭორსა. (აღელვებული საზოგადოება ყოველ დღე ახალ არაკებს იგონებდა, რადგან მართლის გაგება უძნელდებოდა ბეტერბურღის საშორისა და სხვა და სხვა მიზეზების გამო.)

თვალი რომ გადავავლოთ ხელმწიფის მკვლელებს, პირველშივე ერთი რამ გაგვაკვირვებს. ისინი გამოვიდენ ისეთ დასიდამ და იმგვარ საზოგადოებას ეკუთვნოდენ, რომელიც ყოველთვის პატივცემულია.

მაგალითად, კიბალჩიჩი იყო ნამდვილ მეცნიერების ერთგული მსახური და რომელ პოლიტიკელს უნდა მოსვლოდა აზრად, რომ ეს წმიდა მეცნიერულ შრომას თავს დაანებებს ისეთ საზარელ საქმისათვის, როგორც მეფის მოკვლაა. ერთობ ბევრს დანაშაულობას ასვამენ თავს პოლიტიკის და ბევრი დარწმუნებულია, პოლიტიკა რომ შევცვალოთ, ნიჰილისტების ჯოჯოხეთს მოვშორდებითო.

ბევრი ამგვარი შემცდარი აზრი ტრიალებს ჩვენს მკითხველებში და ამიტომ ვისურვეთ აქ მოგვეგროვა პროცესიდამ ბიოგრაფიული ცნობები დამნაშავეებზედ და გამოგვაშკარავებინა მათი რწმუნებანი.

კიბალჩიჩი, როგორც ეველა იმის ამსანაგები, გარდა ურიის ქალის გელფმანისა, რუსი იყო, მოსკოველ მღვდლის შვილი, ჩერნიგოვის გუბერნიიდამ. პროკურორმა მურავიოვმა შეტოიმითა სთქვა, იმას გიმნაზიაში კურსი არ შეუსრულებია. ადვოკატი გერარდი ამტკიცებს, რომ კიბალჩიჩმა, ძლიერ ახალგაზდამ, ჩვიდმეტის წლისამ, მშვენივრად გაათავა კურსი ნოვგოროდ-სევერსკის ღიმნაზიაში და ჯილდოდ მედალი მიიღო. იმავ წელს მოვიდა ბეტერბურგს და შევიდა ინჟენერე-

ბის ინსტიტუტში, ორი წლის შემდეგ გადავიდა საქმიო აკადემიაში, სადაც ბეჯითად სწავლობდა 1875 წლამდე. ამ დროს ის დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. ციხეში კიბალჩიჩი 2 წელიწადი და 8 თვე იჯდა; სასამართლომ ის თითქმის უბრალოდ იცნო და გადუწყვიტა მხოლოდ ერთის თვით დატუსაღება. ის იყო დაჭერილი შემდეგის საქმის გამო: ზათეხულში დროს ატარებდა თავის ძმასთან, ლიპოვეცკის უეზდში; აქ ის გლეხებს დაუმეგობრდა, სურდა ხალხის გაცნობა და იმისათვის შრომა: გლეხებს დაურიგა მრავალი წიგნი და ამათ რიცხვში «ოთხი ძმის არაკი», მმართებლობის წინააღმდეგი თხზულება. ეს წიგნი როგორღაც ჩაუვარდა ხელში ერთს მღვდელსა და ამან გარდასცა მმართებლობას. კიბალჩიჩმა მაღე გაიგო, რომ იმას პეტერბურგში პოლიცია დაეძებს, თითონვე გამოცხადდა პოლიციაში, და იქ დაიჭირეს. პოლიციამ გასჩხრიკა იმის სახლი და იპოვა იქ მთელი შეკრული ტომარა აღკრძალულ წიგნებით სავსე. ამ საქმეში, როგორც ზემოდ ვთქვი, თითქმის გაამართლეს. კიბალჩიჩი ამბობდა: ერთმა ნაცნობმა მომიტანა ეს ტომარა და არ ვიცოდი კი შიგ რა იყოო; რომ მცოდნოდა, ტომრის დაუმალავად პოლიციაში რად წავიდოდიო! 1878 წ. ზათეხულს, ის გამოვიდა სატუსაღოდამ და არზა მისცა საქმიო აკადემიაში, ხელმეორედ მიმიმიღეთო, მაგრამ ამ დროს პეტერბურგში მოჰკლეს ყანდარმების უფროსი, გენერალ ადიუტანტი მეზენცოვი და უკელა საეჭვო ხალგაზდა კაცებს პოლიცია ისტუმრებდა პეტერბურგიდამ, უსამართლოდ (безъ суда). კიბალჩიჩი იძულებული იყო გამოეცვალა თავის სახელი და გვარი, რომ პეტერბურგში დარჩენილიყო სასწავლებლად. ამ დროს ის, გაჯავრებული და დეგნილი მართებლობისაგან, მიუდგა რევოლიუციურ პარტიას;

გაიცნო კვიატკოვსკი, რომელიც შარშან ჩამოაღრჩეს, როგორც დამნაშავე ცელმწიფის სასახლის ათეთქვაში, და შეუდგა ასათეთქ საგნების შესწავლას. გადიკითხა ამ საგნების შესახებ თხზულებები ფრანცუზულ, ნემეცურ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. საჭირო რჩეულებს აძლევდა თავის ამხანაგებს ყოველგან, სადაც კი სდგენიდენ განსვენებულ ხელმწიფეს: ოდესაში, ალექსანდროვსკში, პეტერბურგში. კიბალჩიჩმა გამოიგონა ისეთი, თეფშის მსგავსი იარაღი, რომელიც როგორც უნდა დაეცეს ძირს, იფეთქავს და მსწრაფლად ჭეალავს ადამიანს. მაგრამ კიბალჩიჩი მარტო არა შრომობდა; იმას ეხმარებოდენ ორნი სხვანი, რომელნიც დღემდის არ არიან დაჭერილნი. იმან მარტომ შეადგინა თავის უკანასკნელ ტუ-საღობის დროს ჭაერში საფრენ ჭაეროსტატის ახალი პროექტი.

კიბალჩიჩი თავის რევოლიუციურ მოქმედებაზე სასამართლოში ლაპარაკობდა შემდეგს: 1874 და 1875 წელს ჩვენს დასს სურდა გამოთხოვებოდა იმ საზოგადოებას, რომელშიაც ადიზარდა და სალხს შეერთებიყო. ჩემს დატუსაღებას რომ არ დაეშალა, მეც გავერეოდი დაბალ სალხს და ესლაც იქ ვიქნებოდი. მე მსურდა, ამემაღლებინა ზნეობა და გამეხსნა გონება გლეხკაცებისა, მსურდა, რომ სალხის ძმური გრძნობა მიმწვდარიყო სოციალისტურ გრძნობასთან და ჩვეულებასთან. თუ რომ მართებლობას არ დაეშალა ეს ჩვენი განზრახულობა, ესლა ადარც ამდენი აღელვება იქნებოდა და არც სისხლი დაიღვროდა; არ დაგებრალდებოდა ესლა ჩვენ ხელმწიფის მოკვლა. ჩვენ დღემდის მუშებსა და გლეხებს შორის ვიქნებოდით. იმ გამჭრიახობას, რომელიც მომინდა ასათეთქ იარაღების მოსაგონებლად მიწის უკეთესს შემუშავებას, სამეურნეო იარაღების გაუმჯობესობას მოვახმარებდი.

ვიბალჩიჩის გარდა ერთი უმთავრესი დამნაშავეთაგანი იყო სიმფეროპელ აზნაურის ბეროვსკის. ქალი კარგის ოჯახის შვილი, შინ გაზდილი.

იმან თექვსმეტის წლისამ გაათავა სწავლა უმაღლეს კურსებში, დაანება თავი მშობლების სახლს და წავიდა მასწავლებლად. იქ ცდილობდა შეესწავლა ხალხის ცხოვრება და ამ ცოდნით დაიარაღებული შესდგომიყო იმის ეკონომიურ ყოფის გაუმჯობესობას.

მინდოდა ხალხი გამეღვიძებინაო,—ამბობდა ბეროვსკის ქალი თავის ჩვენებაში,—მაგრამ მართებლობამ გამოგვიცხადა ომი და ჩვენც რევოლიუციის მოსდენა გვნეიზრახეთ. დაუდალავად ვსდევნიდით გასსვენებულ ხელმწიფე იმპერატორს, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ ის არ შესცვლის თავის მტრობას ჩვენთან და თავის პოლიტიკას.

ბეროვსკის ქალი რამდენჯერმე იყო გარეული პოლიტიკურ საქმეებში და ყოველთვის ამართლებდენ; უკანასკნელად გაამართლეს იგი 1878 წ., მაგრამ პოლიციამ უსამართლოდ გაგზავნა ოლონეტკის გუბერნიაში. ბეროვსკის ქალი გზიდამ გამოიქცა, მაგრამ შინ ვერარ დაბრუნდა, ვერარ დაუბრუნდა იმ წუნარ და მშვიდობიან შრომას, რომელსაც შესჩვეოდა თავის მასწავლებლობისა და «წითელ ჯვრის» საზოგადოებაში მუშაობის დროს. ბეროვსკის ქალმა გამოიცვალა სახელი და გვარი და ემალებოდა პოლიციას. ამ მდგომარეობაში ის მიეცა რევოლიუციურ პარტიას.

1879 წელს ესმარებოდა ჭარტმანს, როცა ეს მოსკოვთან ასლო მუშაობდა ხელმწიფე იმპერატორის მატარებელის ასაფეთქად რეინის გზაზედ. ეს საქმე ვერ მოუსდათ და სუხორუკოვები (ასე ერქვათ მაშინ, ტუილ პასპორტის ძალით,

ჭარტმანს და პეროვსკის ქალს) გაიქცნენ, ჭარტმანი წავიდა სამზღვარ გარეგ, პეროვსკის ქალი დარჩა რუსეთში, ის შარშან ზაფხულს, ეიინოვას სახელობით, მოვიდა პეტერბურგს და ეძებდა დონისძიებას სელმწიფის მოსაკვლელად. თვალს ადევნებდა ხშირ-ხშირად სასახლეს და ცდილობდა შეეტეო, როდის გამბრძანდებოდა ხოლმე სელმწიფე თავის სასახლიდამ. როცა ამ საქმის თავი, ყელიაბოვი, პოლიციამ დაიჭირა 27 თებერვალს, იმის მაგიერობა იკისრა პეროვსკის ქალმა; იმან დაიჭირა ასეთქ იარაღის მომზადება, თითონ თავის სელით მოუტანა ეს იარაღები მკვლელებს, გზებზე დაყენა ისინი, ანიშნა ვის როდის რა ემოქმედნა, და მხოლოდ მაშინ დაბრუნდა შინ, როცა შორი-ახლოდამ ნახა თავის პალანის შესრულება.

მაგრამ იმ საშინელ დანაშაულობის სული და გული, რომელზედაც ვლაპარაკობთ, იყო ყველაზე მეტად ანდრია ყელიაბოვი. ეს უბრალო გლეხის შვილი სწავლობდა ჯერ გიმნაზიაში, და მერე უნივერსიტეტში. როცა ის იყო მესამე კურსზე იურიდიკულ ფაკულტეტისა, გამორიცხეს უნივერსიტეტიდამ ერთის წლით, რადგან გამოესარჩლა ერთს სტუდენტს, რომელიც პროფესორმა აუდიტორიიდამ დაითხოვა, რატომ ეურს არ მიგდებო. ამ დათხოვნამ აღელვა მთელი სტუდენტობა, უნივერსიტეტი სამის კვირით დაკეტილი იყო, სამართალში მისცეს ბევრი სტუდენტი, და საქმე გადაწყდა ორის სტუდენტის გამორიცხვით; ერთი ამ ორთაგანი იყო ყელიაბოვი. ყელიაბოვს და იმის ამხანაგს ნება მიეცათ ერთის წლის შემდეგ დაბრუნებულიყვნენ ოდესაში და შესულიყვნენ უნივერსიტეტში.

ერთის წლის შემდეგ ორნივ დაბრუნდენ, მაგრამ უნივერსიტეტში აღარ მიიღეს, მიზეზის აუხსნელად. იმდროინდელ ოდესის სტუდენტებს ბერჯერ გვინახავს ურიოლობაში ეს ტოტხალი უმაწვილი კაცი და უველანი დარწმუნებული ვიუავით, რომ ეს გაათავებს კურსს უნივერსიტეტში და თავის გამჭრიახობას მჭევრმეტყველობას და ენერგიას მოიხმარს, როგორც ნიჭიერი ადვოკატი, ან სახალხო ტრიბუნი. ბედი სხვათვრივ დატრიალდა. ყელიაბოვმა ვერ შეასრულა კურსი უნივერსიტეტში და ის ამ დღეებში ჩამოაღრჩეს, როგორც საშინელი დამნაშავე. იმან დაივიწყა თავის ახალგაზდა ტოლი, თავისი შვილები და გულით და სულით შეუდგა სოციალისტურ პარტიას. ის როგორც იმის ამხანაგები, დარწმუნებული იყო, რომ ხალხის უმთავრესი სენი მდგომარეობს სიღარიბეში. შვიდის წლის განმავლობაში სტეპოვრებდა დაბალ ხალხში; მაგრამ იმიტომ კი არა, რომ აღელვოს მართებლობის წინააღმდეგ. არა, პოლიტიკურ საგნებს ის მაშინ არ ეხებოდა, იმას ჭკონდა მსედველობაში მხოლოდ ხალხის ეკონომიური და საზოგადობრივი მდგომარეობა. მაგრამ დაუსჯელად არ დარჩა ამისათვის ყელიაბოვი. ის ჩასვა პოლიციამ ციხეში და უბრალო კაცი ციხეში გახდა ნამდვილ რევოლიუციონერად, იმ კაცად, რომელმაც განიზრახა მართებლობის დამხობა. ყელიაბოვმა ასათეოქი მაშინა ჩასდო ალექსანდროვსკაში რკინის გზაზე, უნდა აეფეთქა იმპერატორის მატარებელი, მაგრამ ეს განზრახვა ვერ მოუხდა, ასათეოქი იარადი სუსტად იყო მოწყობილი. შარშან ენკენისთვეში მოვიდა პეტერბურღს და აქ აღმასრულებელ კომიტეტის თხოვნით უველათვერი მოამზადა პირველ მარტის ამბის მოსახდენად. ყელიაბოვი იყო გამრიგებელი ამ საქმისა, თუმცა რამდენიმე დღის წინად დაიჭირეს.

რისაკოვი, რომელმაც პირველი ასოფეთქი იარაღი ესროლა ხელმწიფის კარეტას, იყო 19 წლის სტუდენტი სამთო ინსტიტუტისა და ყელიანობოვის შეგირდი. ეს უმაწვილობიდამვე შეჩვეული იყო თურმე სინიდისიან, ჭკვიანურ შრომას, ძალიან მეცადინეობდა და ეს მეცადინეობაც გამოიჩინა ამ საზარელ საქმეშიაც.

დანარჩენი დამნაშავეები, გელფმანის ქალი და ტიმოთე მიხაილოვი იუნენ უბრალო ამსრულებლები სხვა რევოლიუციონერების ბრძანისა.

ხუთი დამნაშავე 3 აპრილს ჩამოაღრჩეს პეტერბურგში სემიონოვის მოედანზედ. მეექვსის, გელფმანის ქალის, მოკვლა გადიდო იმ დროიდე, ვიდრე ორსულობისაგან განთავისუფლდება. იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ჩვენზე ამ საქმის გარჩევამ სასამართლოში, გამოვთქვავთ «იურიდიკულ მიმოხილვის» სიტყვებით: «ჩვენც სხვებსავით გვაწუხებს და გვაკვირებს პირველის მარტის საქმე. მაგრამ ამ გრძნობამ არ უნდა დაგვაბრმავოს, უნდა ცხადად წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა, რომ რკინის ხასიათი ყელიანბოვისა, ენერგია ჰეროვსკის ქალისა, საკვირველი გამჭრიახობა კიბალჩიჩისა და თვით ჭაბუკური თავგანწირვა რისაკოვისა სხვა უკეთეს გზაზე დამდგარიყო. ესლა ჩვენი პირველი ვალია დავფიქრდეთ ამაზე. განა არ გვესმის, რომ ჩვენს ახალგაზდობას გარდა კანცელარიის (ჩვენ დავუმატებთ: და ვაჭრობისა) სხვა ასპარეზი არა აქვს თავის ძალის გამოსაჩენად. ჩვენი სკოლა ცუდად არის მოწყობილი, საზოგადოებისათვის საამსახური ჯერ შეუძლებელია, და უმაწვილ-კაცობამ არ იცის რაზედ მოიხმარონ თავისიქალა: ბუნების კანონით ძალა რამეს უნდა მოხმარდეს. დაგუბებული მდინარე უეცრად გადმოიჩქრიალებს, გამოვა თავის

ნაბირებიდამ და ადელვებული დაამსხვრევს, რაც კი გზაზე დახვდება.

მიგვეთ წუნარი მდინარეობა ამ მოთხოვნილებას, გონიერულად დავაკმაყოფილოთ იგი და ამით მთლად დავამხობთ ეხლანდელ მოუსვენრობას და ნიჰილისტურ რევოლიუციას.

თ.

5/112

განცხადება.

ამა 1885 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, როგორც «ივერიისა» ისე თვე «დროების» რედაქციებში. პირველი იმყოფება მისალოვის ქუჩაზედ, გ. ქართველიშვილის სახლებში, (მისაკალი ეზოდამ), სოლო მეორე სასახლის ქუჩაზედ, სახლი დ. სარაჯიშვილისა.

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

თელავში ვანო როსტომაშვილთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მოსაწერთ წერილი ან ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ» ანუ *«ДРОЭБА»*

მსურველთ შეუძლიან ერთის წერილით დაიბარონ გაზეთი «დროება» და ჟურნალი «ივერია» «დროების» ადრესით.

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორი ილ. ჭავჭავაძე.